ალი

ეროვნული გაზეთი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

31 მარტი ხუთშაბათი 2011

№074 (13371) ფასი 60 თეთრი

მარდალეიშვილს ხმალი უჭრის

ბრინჯაოსმედალოსანი მიხეილ მარდალეიშვილი (მარჯვნიდან მეორე) კვარცხლბეკზე

10

თაობა მოდის თავისუფალი

ორი ვერცხლიც ხინჩეგაშვილისა და მარსაგიშვილისგან



55 კილოგრამი ნონის ფინალი: ულადიმერ ხინჩეგაშვილი (ლურჯ ფორმაში) და ჯამალ ოთარსულთანოვი

10

რა გაცინებთ, რაგაცი

რინო, რუკაზე მაინც თუ იცი, საღ მიდიხარ?

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი ჯენარო გატუზო მომავალი სეზონიდან მახაჩყალის „ანჟიში“ ითამაშებს. „მილანის“ 33 წლის ნახევარმცველი რუსულ კლუბში 2011 წლის აგვისტოში ჩაირიცხება. ამ ინფორმაციას გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ ავრცელებს. იტალიელის ტრანსფერის დეტალები, მათ შორის ფეხბურთელის ფასი, რუსულ პრესას არ დაუზუსტებია.

გატუზოს „მილანთან“ კონტრაქტი 2012 წლის ივნისში უმთავრდება. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ სააგენტო კომპანიამ, რომელიც „რინოს“ ინტერესებს წარმოადგენს, რუსულ კლუბებში გააგზავნა ფაქსი და მათ ფეხბურთელის სამსახური შესთავაზა.

გატუზო „მილანში“ 1999 წლიდან თამაშობს. მიმდინარე სერია A-ში ფეხბურთელმა 26 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი რუსული სეზონის წინ „ანჟიმ“ კიდევ ერთი ვეტერანი ვარსკვლავი - 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ბრაზილიელი რობერტო კარლოსი შეიძინა. რუსეთის ჩემპიონატის სასტარტო ორ ტურში მახაჩყალელებმა ერთი ქულა მოიპოვეს.



გატუზო ძერიმოვის ორმოში

გაფიცვა არ იქნება

ესპანელი მოსამართლე ვერდიქტს კითხულობს: პრიმერას ტური ჩატარდება

8

ვილიარეალი ბარსელონა იქნება... მესის გარეშე

ქართული ფეხბურთი

● ისრაელთან მატჩის შემდეგ

გიორგი დარასელია (მარცხნივ) და თემურ ქეცბაია — ავტორის ფოტო

პრესკონფერენცია და დისკი: პრინციპის ამბავი

როცა სათქმელი არაფერია

მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებისა და მთლიანად დელეგაციის წევრები ძალიან ნირწამხდრები ჩანდნენ, ზოგიერთის თვალებზე ცრემლიც შეენიშნეთ. რა უნდა ვთქვათ – მარცხი მთელი ქვეყნისთვის მწარე გამოდგა, მაგრამ მაინც კარგია, რომ თელავივურ შედეგს ასეთი რეაქცია მოჰყვა. გუნდშიც და ქომაგებშიც ხორვატიასთან გამარჯვებამ სხვა იმედები გააჩინა და უთუოდ ნიშანდობლივად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მარცხს ძველებურად კანონზომიერად აღარ მივიჩნევთ.

დანა პირს არ უხსნიდა **ზვიად სიჭინავას**. ენაწყლიანობით გამორჩეულ სფფ-ის პრეზიდენტს მატჩის შესახებ კომენტარი რომ ვთხოვეთ, გვიპასუხა, სათქმელი არაფერი მაქვსო და გასაუბრებას მეორე დღისთვის შეგვპირდა. მის ხასიათზე მოყვანას გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე **გია ნაცვლიშვილი** ამაოდ ცდილობდნენ.

მარცხის მიუხედავად, "ბლუმფილდზე" შეკრებილმა რამდენიმე ასეულმა ქართველმა ქომაგმა ბიჭები ტაშით გააცილა. თავის მხრივ, საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა მათ ერთგული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადეს და არც ფოტოების გადაღებას და ავტოგრაფებს დაზარდნენ. რამდენიმე გულშემატკივარს სხვებზე მეტად გაუმართლა და ნაკრების მაისურა შეხვდა.

ქართველები წმინდა მიწაზე

გუშინწინდელი ღამე მთელმა ნაკრებმა სასტუმროში გაათენა, დილიდან კი ლეგიონერები აეროპორტისკენ გაეშურნენ და საკუთარი კლუბებისკენ აიღეს გეზი. ხოლო თელ ავივი-თბილისის საღამოს რეისის მგზავრებმა, ანუ ფედერაციის თანამშრომლებმა, ნაკრების პერსონალმა და ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებმა იერუსალიმს მიაშურეს. წმინდა ადგილები ქართველმა ჟურნალისტებმა **გიორგი დარასელიას** დახმარებით მანამდე მოვინახულეთ.

მან და მისმა ვაჟმა, უმცროსმა გიორგიმ მხოლოდ იერუსალიმი კი არა, ღამის მთელი ისრაელი მოგვატარეს, გვაჩვენეს ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე ღირსშესანიშნაობები. დიდი დრო დავყავით ჰაიფაში, სადაც "მაქაბის" ინფრასტრუქტურამ აღგვაფრთოვანა. თუმცა ამაზე მოგვიანებით გიამბობთ...

მზვერავობა დარასელიამ ითავა

ებრაელი ჟურნალისტები **თემურ ქეცბაიაზე** თურმე განაწყენებულები ყოფილან. მიზეზი ისაა, რომ მატჩის წინა დღეს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენციის ჩატარებაზე უარი თქვა. თამაშამდე ეს ამბავი ადგილობრივი სპორტული მედიის მთავარი თემა ყოფილა.

თავის მხრივ, მიზეზი ქეცბაიას უარსაც ჰქონდა – თურმე ებრაელებს ჩვენი სამწვრთნელო შტაბისთვის 26 მარტს გამართული ისრაელი-ლატვიის მატჩის ვიდეოჩანაწერი არ მიუწოდებიათ. სხვა საქმეა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ამ შეხვედრაზე საკუთარ წარმომადგენელს მიავლენდა.

მოკლედ, ასე დარჩნენ ჩვენი ებრაელი კოლეგები მატჩამდელი პრესკონფერენციის გარეშე, ხოლო ქეცბაიამ ზემოთ ხსენებული მატჩის ჩანაწერი მაინც მოიპოვა - აღბათ უკვე მიხვდით, რომ დისკი მას დარასელიამ მიანოდა.

როცა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ქეცბაიას უარის მიზეზი ჰკითხეს, მან უპასუხა, პრესკონფერენციის ჩატარებაზე ვალდებული მხოლოდ თამაშის შემდეგ ვარ და მკითხეთ, რაც გნებავთო.

ლევიმ ზუსტად გამოიცნო

ჰაიფას "მაქაბის" მთავარ მწვრთნელ **ელიშა ლევისთან** რამდენიმე წუთით გასაუბრება მატჩამდეც შევძელით და მის შემდეგაც. თამაშამდე იგი არ იზიარებდა ებრაელი ჟურნალისტების პესიმიზმს და ანგარიშიც ზუსტად იწინასწარმეტყველა, ნამატჩევს კი გვითხრა, ისრაელმა ზუსტად იმის წყალობით გაიმარჯვა, რასაც ვვარაუდობდი – სწორად შერჩეული შემადგენლობითა და ტაქტიკით, უკეთესი ფიზიკური კონდიციებით და ტექნიკური ფეხბურთელებითო.

ძალიან გულდაწყვეტილი იყო მისი მარჯვენა ხელი გიორგი დარასელია. ახლა გამარჯვება ისე მინდოდა, როგორც არასდროს, "მაქაბის" ვარჯიშზე მისვლა არ მეხალისება, რა გაუძლებს ახლა ამათ ბაქიბუქსო, გვითხრა ნახევრად ხუმრობით.

ბუნებრივია, საქართველოს ნაკრების წევრები ლაპარაკის ხასიათზე არ იყვნენ, თითქმის ყველა მათგანმა დანანებით აღნიშნა, გოლი ზუსტად მაშინ გავუშვით, როცა უკეთ ავთამაშდითო.

ალექსანდრე ამისულაშვილს გოლის ეპიზოდის გახსენება ვთხოვეთ. *"ზუსტ სურათს მაშინ აღვიდგენ, როცა მომენტის გამეორებას ვნახავ, ისე კი, გოლი მხოლოდ ერთი ფეხბურთელის ბრალი არ ყოფილა, შეცდომა კომპლექსური იყო".*

ალეკოს ისიც ვკითხეთ, როგორი განწყობით მიემგზავრებოდა კრასნოდარში. *ორ მატჩში სამი ქულა მოვიპოვეთ, რაც მეტოქეების სიძლიერიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს ურიგო შედეგი. გულსატკენი ის არის, რომ ხორვატიასთან გამარჯვებით მოგვრილი დადებითი ემოციები ამ მარცხმა გააუფერულა. ქართველი გულშემატკივარი ამჯერად ვეღარ გავახარეთ, მაგრამ ვფიქრობ, ხალხი ამ მარცხს გვაპატიებს, მთავარია, რომ მთელმა ქვეყანამ ირწმუნა – ქართველი ფეხბურთელები მოედანზე თავს არ ზოგავენ და რაც შეუძლიათ, ყველაფერს აკეთებენ მათ გასახარებლად"*, - გვითხრა ჩვენი ნაკრების ცენტრალურმა მცველმა.

ამისულაშვილთან ვრცელ ინტერვიუს "ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ და სხვა ებრაულ შთაბეჭდილებებზეც გიამბობთ.

ლევან ჯანეზაშვილი
თელ ავივიდან

● არის თუ არა რესურსი?

რეზერვი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისრაელის ნაკრებთან გამოჩნდა, რომ სამდღიან ციკლში მატჩების გამართვა ძალიან ძნელია და გუნდებს ძალების აღდგენა უჭირთ. ასეთ დროს ნაკრებს გრძელი სათადარიგოთა სკამი ჰაერივით სჭირდება, მაგრამ ჩვენს ეროვნულ გუნდში მაღალი კლასის შემსრულებელთა დეფიციტია.

არადა, კიდევ რამდენიმე მოთამაშის იმედი გვაქვს და ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ისინი, რომლებსაც გუნდის გაძლიერება შეუძლიათ.

წაიყვანეთ ასათიანი კიევის დინამოში!

"სოვეტსკი სპორტმა" **იური სიომინს** ინტერვიუ ჩამოართვა, კიევის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ამავე დროს გაზეთის მკითხველთა შეკითხვებსაც უპასუხა. ერთ-ერთი საქართველოს ნაკრების მცველ **მალხაზ ასათიანს** შეეხებოდა, რომელსაც სიომინი ძალიან ენდობოდა და მოსკოვის "ლოკომოტივში" დააწინაურა.

"ასათიანი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ უგუნდოდ დარჩა. წაიყვანეთ კიევის "დინამოში"! – ეს უფრო თხოვნას ჰგავდა.

"ჩვენ ოთხი ცენტრალური მცველი გვყავს, ანუ გუნდი დაკომპლექტებულია. ადრე კი, როდესაც მალხაზი კიევში მივიწვიე, ამ პოზიციაზე დეფიციტი გვქონდა. ჩემი ინფორმაციით, ასათიანი კარიერის გაგრძელებას კვლავ მაღალ დონეზე აპირებს და დარწმუნებული ვარ, ამას მოახერხებს, რადგან რეჟიმის მოყვარული და ჭკვიანი ფეხბურთელია. მიკვირს, რომ დღემდე თავისუფალია" – თქვა სიომინმა.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის დეკემბერში ასათიანმა მოსკოვის "ლოკომოტივი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა, მაგრამ ახალი გუნდი ვერა და ვერ მოძებნა. იყო ინფორმაცია, თითქოს "მონაკო" და მახაჩყალის "ანჟი" კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ხმებად დარჩა.

არადა, უცნაური ისაა, რომ ასათიანს იწვევდნენ მაშინ, როდესაც მოსკოვის "ლოკომოტივთან" კონტრაქტი აკავშირებდა, ახლა კი თავისუფალი აგენტია, რაც თითქოს ხელ-ფეხს უნდა უხსნიდეს, ამ დროს კი გუნდი ვერ მოძებნა. უფრო სწორად, შესაფერისი გუნდი ვერ მოძებნა, თორემ, ჩვენი ინფორმაციით, საკმაოდ ბევრი წინადადებაც ჰქონდა, მაგრამ "ლოკომოტივზე" ნაკლებ კლუბში და უარეს პირობებზე თამაში არ სურს.

დასანანი კია, ასეთ პრინციპულ შეხვედრებში საქართველოს ნაკრებს რომ ვერ დაეხმარა. სხვათა შორის, **თემურ ქეცბაიას** თქმით, უთამაშებლობის მიუხედავად, შეკრებაზე მისი ჩამოყვანა და დაკვირვება სურდა, იქნებ, მაინც გამოგვადგესო, მაგრამ მალხაზი პრობლემების გამო ვერ ჩამოვიდაო.

ასათიანი პრინციპულად წინააღმდეგი იყო მენეჯერებთან თანამშრომლობისა, მაგრამ ახლა მის ტრანსფერებზე **მამუკა ჯუღელი** და ჩეხი მენეჯერი **დალიბორ ლაჩინა** მუშაობენ.

ანანიძე აპრილში

ჯანო ანანიძემ, რომელიც რუსეთის პრემიერლიგის პირველ ტურში "როსტოვთან" გასვლით შეხვედრაში დაშავდა, ვარჯიში განაახლა. "სოვეტსკი სპორტის" ინფორმაციით, ჯანოს ინდივიდუალური გრაფიკით ტვირთავენ.

ანანიძე თბილისში ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდა, მაგრამ კოჭის მყესი ჰქონდა განყვეტილი, მის ვარჯიშს აზრი არ ჰქონდა და ქეცბაიამ მოსკოვში ნაადრევად დააბრუნა.

ცხადზე უცხადესია - ისრაელთან და ხორვატიასთან ნაკრებს ჯანოს ნაირი შემოქმედებითი ფეხბურთელი ჰაერივით სჭირდებოდა.

მჭედლიძე გოლით დაბრუნდა

"ემპოლის" ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედთაგანია, მაგრამ დიდი ხანია, ნაკრებში არ უთამაშია. 28 იანვრის შემდეგ მან პირველად 27 მარტს ითამაშა: იტალიის სერია B-ს ბოლო ტურის გასვლით შეხვედრაში "კროტონესთან" მოედანზე 68-ე წუთზე გამოჩნდა და დაბრუნება ულამაზესი გოლით აღნიშნა. ეს ქართველი თავდამსხმელის პირველი გოლი იყო მიმდინარე სეზონში.

სამწუხაროდ, ლევანი ტრავმებმა გააწვალა და ამის გამო ვერც ეროვნულ **თი** მოხსნეს და იმედია, ახალი მწვრთნელი ტრავმამოუშუშებელს ვარჯიშს აღარ დააძალებს.

ყენია მოედანს მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ დაუბრუნდება. ანუ ვერც 4 ივნისს დაგვეხმარება ხორვატიასთან, უკეთეს შემთხვევაში, 2 სექტემბერს ლატვიასთან თუ ითამაშებს.

ლობჟანიძე ვარჯიშობს

მუცლის კუნთის ოპერაციისა და კუნთის დაჭიმვის შემდეგ დნეპროპეტროვსკის "დნიპროში" მოთამაშე **უჩა ლობჟანიძემ** ვარჯიში განაახლა და მოედანს მალე დაუბრუნდება. ჯანმაგარი და მებრძოლი მარჯვენა მცველი ჩვენი ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. რაც მთავარია, ნაკრებში კონკურენციისთვის თითოეულ პოზიციაზე ასეთი ფეხბურთელი აუცილებელია.

გოგუა???

რა მოხდა **გოგიტა გოგუასა** და თემურ ქეცბაიას შორის ხორვატიის ნაკრებთან მატჩმდელ ვარჯიშზე, შეხვედრის შემდეგ გასახდელში და მეორე დილით ეროვნულზე აღდგენითი ვარჯიშის დროს, ჯერ ზუსტად არავინ იცის. ჯერჯერობით მწვრთნელი და ფეხბურთელი კომენტარისგან თავს იკავებენ.

თუმცა, ზოგადად, დასამალიც რაღაა, ეგაა, ზუსტად ვინ ვის რა უთხრა და რატომ, ამის დაზუსტება შეუძლებელია, ყველა სხვადასხვაგვარად იხსენებს, თუმცა ფაქტი ერთია და სამწუხარო - მწვრთნელსა და ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდათ, რამაც გოგუას გუნდიდან დათხოვნა და ნიჟნი ნოვგოროდში ნაადრევი გამგზავრება გამოიწვია.

ცხადია, გოგიტა გოგუა ნაკრებს ძანაკრებს ეხმარებოდა და ვერც ახალგაზრდულს. **ოთარ გაბელიას** მისი დახმარება ახალგაზრდულ ნაკრებში ამ დღეებში დამთავრებულ ავსტრიულ ოთხთა ტურნირში სურდა, მაგრამ ლევანს გამოძახების დროს ტრავმა აწუხებდა. თუმცა "ემპოლიში" 27 მარტს, ანუ ტურნირის მიმდინარეობისას გამოჩნდა. ხანგრძლივი ტრავმიანობის შემდეგ 21 წლის თავდამსხმელის (24 მარტს გახდა 21 წლის) მოედანზე დაბრუნება გვაიმედებს, რომ ადრე თუ გვიან ნაკრებშიც გამოჩნდება.



იმედი ხვალის: ლევან ყენია (მარცხნივ) და ჯანო ანანიძე

მჭედლიძემ დაამტკიცა, რომ დიდი პოტენციალის თავდამსხმელია, მისნაირი შემტევი კი ნაკრებს ძალიან წაადგება.

ყენია ხუთ თვეში

მუხლზე ოპერაციის შემდეგ **ლევან ყენია** გერმანიაში რეაბილიტაციას გადის, მაგრამ ჯერ ნოლით რეჟიმშია და მოძრაობაც აკრძალული აქვს. მას ხშირად ვეხმიანებით და ვიცით, რომ ლევანი უთამაშებლობას ძალიან განიცდის. თუმცა, მის გასახარად, "შალკეს" მთავარი მწვრთნელი, დესპოტი **ფელიქს მაგალიან** დააკლდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მწვრთნელის საქმეში ჩარევაც გაუმართლებელია, რადგან ქეცბაიამ იცის, რა უნდა და რას ითხოვს ფეხბურთელებისგან. ჩვენ მხოლოდ ამ კონფლიქტის დროული ამოწურვის იმედი გვაქვს.

ძნელი სათქმელია, ამ ყველაფრის შემდეგ ქეცბაია გოგუას გამოიძახებს თუ არა ეროვნულ ნაკრებში, დღევანდელი გადასახედიდან ეს არარეალურად ჩანს, მაგრამ არასოდეს თქვა არასოდესო და ამიტომ კატეგორიულობას მოვერიდებით. თუნდაც იმიტომ, რომ ყენიას გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ფეხბურთელები ჯერ თავადაც ვერ ამბობენ, 4 ივნისს ხორვატიასთან თამაშისთვის რომელი მათგანი იქნება მზად. არადა, მათ ნაკრების გაძლიერება უდავოდ შეუძლიათ.

არ ვიცით, იგივე ითქმის თუ არა გროზნოს "ტერეკის" ნახევარმცველ **ლევან გვაზავაზე**, რომელიც მომჯობინდა და გუნდშიც თამაშობს, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში ვერა და ვერ ითამაშა.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონი

სასიამოვნო საკითხავი უსიამოვნო ფიქრებით

უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრეში სამი ტური გაიმართა და უკრაინულმა მედიასააგენტო "სპორტს.უამ" ზამთრის ტრანსფერები შეაფასა.

"თანდათან ავლენს შესაძლებლობებს ლუგანსკის "ზარიას" შემტევი ნახევარმცველი ჯაბა ლიპარტია. ქართველმა სამივე შეხვედრა სრულად ითამაშა და სამივეში კარად გამოიყურებოდა. მწვრთნელი ანატოლი ჩანცევი შედარებით ნაკლებად ენდობა ფრანგული პასპორტის მქონე ფრანკ მადოუს, სხვა ლეგიონერებისთვის კი თავის გამოჩენის შანსი არ მიუცია" – წერს "სპორტს.უა".

ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მარიუპოლის ილიჩივეცის" ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილიც**: *"ფაქტობრივად, "ილიჩივეცის" ძირითადი შემადგენლობა მთლიანად დონეცკელებმა დაიპყრეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები "შახტარის" ახალგაზრდული შემადგენლობიდან მოვიდნენ, უკვე ჩანს, რომ ბევრი მათგანი პრემიერლიგის დონეს აკმაყოფილებს. განსაკუთრებით გამოვყოფთ თორნიკე ოქრიაშვილს, რომელიც ბურთს მშვენივრად ათვინიერებს. თავი არც სხვა "მეშახტეებს" შეურცხვენიათ".*

იგივეს წერს უკრაინული „სპორტ-ექსპრესიც": *„სამი შეხვედრის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მარიუპოლელთა შემადგენლობაში გამოირჩევიან გამოცდილი დმიტრი ნევმივაკა და ახალგაზრდა, მაგრამ ძალიან პერსპექტიული თორნიკე ოქრიაშვილი".*

ვერაფერს იტყვი, ქართველების ასეთი შეფასება სასიამოვნო წასაკითხია, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ საწყენია, თორნიკემ და მასთან ერთად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების სხვა წევრებმა ავსტრიულ ოთხთა ტურნირზე თავი რომ ვერ გამოიჩინეს - ჩვენმა გუნდმა "ალპე ადრია" სამარცხვინოდ, ბოლო ადგილზე დაასრულა. რა თქმა უნდა, ეს არაოფიციალური ტურნირი იყო და შედეგს დიდი მნიშვნელობა არც ენიჭებოდა, **ოთარ გაბელია** კი კანდიდატების გამოსაცდელად იყენებდა, მაგრამ შედეგი მაინც მეტისმეტად დამთრგუნველია.

მერაბ მამულაშვილი

გაუმარჯოს სიძვირეს!

გურამ კაშია: ახალი კონტრაქტი ახალი კურსით

არნემის "ვიტესის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, გუნდის ხელმძღვანელობამ **გურამ კაშიასა** და იაპონელ **მიჩიპირო იასუდას** კონტრაქტები 2013 წლამდე გაუხანგრძლივა. საქართველოს ნაკრების წევრს, ისევე როგორც იასუდას, ერედივიზიონის გუნდთან ხელშეკრულება ოფციონის წესით (1+2) ჰქონდა გაფორმებული. თუმცა სეზონი ჯერ არ დასრულებულა და არნემელებმა ორივეს შენარჩუნებაზე იზრუნეს.

"ვიტესის" ვებგვერდმა ინფორმაცია 29 მარტს გაავრცელა. როგორც ჩანს, გურამმა კონტრაქტი სანაკრებო შეკრებაზე ჩამოსვლამდე გააფორმა.

მართალია, კაშია გუნდში სატრანსფერო ფანჯრის დახურვის დღეს, 31 აგვისტოს დაიმატეს, მაგრამ "ვიტესში" უკვე 22 შეხვედრის ჩატარება და ერთი გოლის გატანა მოახერხა.

მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა კაშიას სატრანსფერო ფასიც: თუ ჰოლანდიაში გადასვლამდე ცნობილი გერმანული სააგენტო "ტრანსფერმარკეტი" ქართველი მცველის ტრანსფერს 300 ათას ევროდ აფასებდა, ახლა ნახევარი მილიონით, 800 ათას ევრომდე გააძვირა.

შეგახსენებთ, რომ "ვიტესში" ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ არ თამაშობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი **გიორგი ჭანტურია**. მას 18 აპრილს 18 წელი შეუსრულდება, ზაფხულამდე კი კონტრაქტის გაფორმებისა და ჰოლანდიაში თამაშის უფლებას მიანიჭებენ.

ერედივიზიონის აუტსაიდერმა "ვიტესმა" კი იმდენი მოახერხა, რომ ფსკერიდან თავი დაიძვრინა, 29 ქულით 15-ე ადგილზე აინაცვლა და უახლოეს მდევარ "ექსელსიორს" 7 ქულით გაასწრო.

მერაბ მამულაშვილი

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!

ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !

- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

ამბები

სპარტაკმა ჯაკობია ვერ განაცხადა

უკრაინულმა ინტერნეტგაზეთმა "11/11" ხარკოვის "მეტალისტისა" და კიევის "არსენალის" ყოფილ თავდამსხმელ **ლაშა ჯაკობიას** ინტერვიუ ჩამოართვა.

"ამჟამად თბილისში ვიმყოფები და დროებით საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშებ. შემდეგ კი კვლავ უცხოეთში წასვლას ვაპირებ... ბავშვი ვიყავი, როდესაც ბელგიურ "სტანდარდში" ჩავირიცხე. შემდეგ მოვხვდი ხარკოვის "მეტალისტში", სადაც კარიერის საუკეთესო წლები გავატარე. ხარკოვში იყვნენ მშვენიერი გულშემატკივრები, ხელმძღვანელები, გუნდი. თავს ისე კარგად ვგრძნობდი, სხვაგან წასვლას არც ვფიქრობდი. "მეტალისტისა" და "არსენალის" ფეხბურთელებთან დღემდე ვურთიერთობ. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ზაკარლიუკას ვესაუბრე. მადლობა მათ, რადგან ყოველთვის გვერდში მედგნენ. მადლობა "მეტალისტის" დირექტორსა და მთავარ მწვრთნელ მირონ მარკევიჩს, ისინი ხშირად მიკავშირდებიან და მამხნევენ" – ამბობს ჯაკობია.

შეგახსენებთ, რომ ხარკოვის "მეტალისტის" ყოფილი კაპიტანი ამჟამად ცხინვალის "სპარტაკში" ვარჯიშობს. გუნდის პრესატაშე **დავით ცაბაძის** თქმით, ჯაკობია ჯერ "სპარტაკის" განაცხადში ვერ შეიყვანეს, რადგან უკრაინიდან მის სატრანსფერო ფურცელს ელიან.

გირჩევთ: შეიყვანეთ შვილები სამსაჯოზე

კონვენცირებული მსაჯები კონვერტირებული შემოსავლებით

უეფას ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, ამ ორგანიზაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა ორგანიზაციის მსაჯთა კონვენციის შვიდი სრულუფლებიანი წევრი დაამტკიცა – საქართველო, ანდორა, ინგლისი, ლატვია, რუმინეთი, ესპანეთი და უკრაინა. ამგვარად, სამსაჯო კონვენციაში უკვე 43 ქვეყანა განევრიანდა. კონვენციის მიზანი კი მსაჯთა განათლებისა და პრესტიჟის გაზრდა, აგრეთვე სამსაჯო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაა.

ამ ყველაფრის შედეგად, საქართველოს სამსაჯო კომიტეტი ვალდებულია, უეფას სამსაჯო კომიტეტთან შეათანხმოს სწავლების გეგმა, ამას გარდა, დაფინანსების უფლებას იღებს, ანუ უეფადან ჩვენს არბიტრებს დაფინანსების ახალი წყარო ეხსნებათ.

უეფას ვებგვერდის ცნობით, ქვეყანა, რომელიც მსაჯობაში საჭირო სტანდარტებს დააკმაყოფილებს, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციისგან დაფინანსებას ყოველწლიურად მიიღებს.

მოკლედ, ჩვენი მსაჯებისთვის სასიკეთოდ აეწყო საქმე: საქართველოს გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მსაჯებს არც ერთ ქვეყანაში არ აფინანსებენ. ჩვენთან ეს ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასა** და პრემიერ **ნიკა გილაურის** შეთანხმების შედეგად მოხერხდა და ერთი შეხვედრის საზღაურად არბიტრები 864 ლარს იღებენ (და არა 1100 ლარს). მართალია, აზერბაიჯანში ანაზღაურება 1500 დოლარია, რუსეთსა და უკრაინაში კი ბევრად მეტი, მაგრამ საქართველოსნაირ ქვეყანაში 864 ლარი საკამოდ დიდი ჰონორარია. თვეში ოთხი შეხვედრის შემდეგ მსაჯს მცირე მასშტაბის ბიზნესმენის შემოსავალი მაინც გაუჩნდება და ამას უეფას დაფინანსება რომ დაემატება, სულაც აშენდებიან.

როგორც გვითხრეს, აქამდე უეფას კონვენციაში საქართველოს განევრიანებას ორგანიზაციული საკითხები აბრკოლებდა – მსაჯთა ასოციაცია ფედერაციისგან დამოუკიდებლად უნდა არსებობდეს. დღეს კი ფედერაცია სახელმწიფოს ჯიბიდან ფინანსდება და ვერ გეტყვით, როგორ არის დამოუკიდებელი, მაგრამ უეფას კონვენციაში კი გაწევრიანდა.

მერაბ მამულაშვილი

U17. ევრო 2011. ელიტრაუნდი. VI-ტურ

0:5 ნორვეგიამ გაგვაბურთავა



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი ნანტში გამართული ელიტრაუნდის მეორე ტურში ბელარუსთან ნაგებით დაკარგა (0:1). ასე რომ, ნორვეგიასთან ბოლო შეხვედრაში ჩვენებს ქართული ფეხბურთის პრესტიჟის მცირედით გამოსწორებაზე მაინც უნდა ეზრუნათ, მაგრამ **კობა ჟორჟიკაშვილის** განვრთნილები განადგურდნენ - 0:5.

ბოლო ტურში ჯგუფში დაძაბული ვითარება იყო: ნორვეგია ტურნირის მასპინძელ საფრანგეთს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებდა (ორივემ 4-4 ქულა დააგროვა) და ორივეს დიდი ანგარიშით გამარჯვება სურდა. ამიტომ მეტოქეებს დიდი მონდომებით ეკვეთნენ.

პირველ ტაიმში ნორვეგიელთა ნახევარმცველმა **მარტინ რენინგმა** დუბლი შეასრულა, მეორე ტაიმის 71-ე წუთზე კი ნორვეგიელთა შორის თავდამსხმელი **შორეშ ახმადი** გამოჩნდა, რომელმაც 10 წუთში (17-წლამდელები 40-წუთიან ტაიმებს თამაშობენ) ჰეთთრიქი შეასრულა.

საფრანგეთმა კი ბელარუსს "ბართლომეს ღამე" მოუწყო (9:0) და ბურთების უკეთესი შეფარდებით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა.

ნორვეგია–საქართველო 5:0

საქართველო: **თებიძე, მთივლიშვილი, სანდოხაძე, ჭილვარია, ჰუფნაგელი, ენდელაძე (70. ტარყაშვილი), ექვთიმიშვილი, ზივზივაძე (41. მარკოზაშვილი), კახიძე, დიასამიძე (41. ფანცულაია), სამუშია.**

მწვრთნელი: **კობა ჟორჟიკაშვილი.**

გოლი: **1:0 მარტინ რენინგი (27), 2:0' რენინგი (38), 3:0 ახმადი (72), 4:0 ახმადი'(79), 5:0 ახმადი'(80+1).**

გაფრთხილება: **ფანცულაია (41), ჰეიბროტენი (54), ჩაკა (66), ბერიშა (68).**

არბიტრი: **დანი მაკელი (ჰოლანდია).**

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	3	2	1	0	13:2	7
2. ნორვეგია	3	2	1	0	12:3	7
3. ბელარუსი	2	1	0	2	2:14	3
4. საქართველო	3	0	0	2	0:8	0

მერაბ მამულაშვილი

წერილი რედაქციას!

არა ცილ-სწამო...

პატივცემულო რედაქცია!

გწერთ ამ წერილს 30 მარტს - ! ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის დღეს.

„ლელო" ჩვენი უსაყვარლესი გაზეთია, ყოველთვის ჩვენი ეროვნული ინტერესების დამცველი იყო სპორტში და რახან სწორედ „ლელოს" თაოსნობით ჩატარდა პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი, გთხოვთ, ამასთან დაკავშირებით ორი ციტატა გააცნოთ ქართველ მკითხველს.

რედაქციისაგან: *ქვემოთ შემოთავაზებული წერილის დასაწყისში ავტორებს მოხმობილი ჰქონდათ ვრცელი ციტატა „ლელოში" 2007 წლის 30 მარტს გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან, სადაც სრული სიზუსტითაა გადმოცემული ის ატმოსფერო, რომელიც წინ უძღოდა სსრკ კავშირის საფეხბურთო სივრციდან საქართველოს ფეხბურთის გამოსვლას.*

ავტორები გვწერენ: მეორე ციტატა ეკუთვნის ბატონ **დავით გამცემლიძეს** და დაბეჭდილია მის წიგნში „ისტორიის სევდიანი სულისკვეთება", რომელსაც გავეცანით ავტორის ინტერნეტსაიტზე.

ავტორი ნაშრომს ციტირებით იწყებს: „არც მივლია განდიდებისა და ჩემთვის მიუწვდომელისაკენ" (ფსალმუნი 130/13).

შემდეგ ვკითხულობთ:

„დახუთულ საზოგადოებრივ ატმოსფეროში შვებისმომგვრელი გრილი ჰაერივით იყო იტალიის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. პოლიტიკით, ქიშპით, ურთიერთსიძულვილით, სისხლისღვრით, დაპირისპირებით, დაძაბულობით, გაურკვევლობით, დაბნეულობით დაქანცული ადამიანებისათვის იგი მართლაც შვებად იქცა — რეალობიდან გაქცევის საშუალებად.

მაგრამ სულ მალე „მოძრაობამ" სპორტიც მოიცვა. „დინამო" და „გურია" სსრკ ჩემპიონატიდან გავიდნენ. შეიქმნა „ეროვნული ჩემპიონატი". პირველ მატჩს თბილისის „იბერიასა" და ფოთის „კოლხეთს" შორის წინ უძღოდა უნიჭო და უნიათო საზეიმო ცერემონია. ნიშანდობლივია, რომ საკავშირო ტელევიზიაში თავდაპირველად იგზავნებოდა ინფორმაცია, თითქოს „დინამოს" ეწოდა „ივერია". მაგრამ რუსებმა სულ მალე გამოჩხრიკეს სიმართლე და კომენტატორი **მაიოროვი** ნიშნის მოგებით უსვამდა ხაზს ВЗГЛЯД-ის სპორტულ ბლოკში: ყოფილ თბილისის „დინამოს" ეწოდა „იბერია". გასაგებია, აქ რა ნიუანსსიც იგულისხმება.

პირველ მატჩში ფოთის „კოლხეთმა" თბილისის „იბერია" დაამარცხა ანგარიშით 1:0. ერთ-ერთმა თბილისელმა ფეხბურთელმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ქართული ფეხბურთის ლეგენდები: **დათო ყიფიანი, ვოვა გუცაევი, საშა ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე** და სხვები, - უფროსი თაობის წარმომადგენლები, აგრეთვე „სტაჟიანი გულშემატკივრები", რომელთათვისაც ფეხბურთი მთელი ცხოვრება იყო - „ყურებჩამოყრილნი", დანაღვლიანებულნი ისხდნენ ტრიბუნებზე.

ვინც იმ მატჩს ესწრებოდა, უეჭველად დამეთანხმება, რომ სიხარულის შეგრძნება არავის ჰქონდა.

ეს ეპიზოდი ძალიან საინტერესოა ისევ და ისევ ფსიქოლოგიური ატმოსფეროს თვალსაზრისით, რომელიც საქართველოში სუფევდა. ამ ატმოსფერომ და ისეთმა თითქოს „შეჩვეულმა წვრილმანებმა," როგორიც ფეხბურთია, გადამწყვეტი როლი შეასრულა სამოქალაქო ომის ფსიქოლოგიური ფონის წარმოშობაში".

მეორე ციტატის დასასრული.

ბატონი გამცემლიძე მიმართავს 1990 წლის 30 მარტს 75 000-იან სტადიონზე შეკრებილ 100 000 გულშემატკივარს — უეჭველად დამეთანხმებით, ვინც ამ მატჩს ესწრებოდა, სიხარულის შეგრძნება არავის ჰქონდაო. ჩვენ კი, ძალიან დიდი ეჭვი გვაქვს, რომ „ისტორიის სევდიანი სულისკვეთების" ავტორი უეჭველად ერთადერთი იყო იმ დღეს ეროვნულზე შეკრებილთაგან, ვისაც არ უხაროდა.

ინტერნეტსაც და წიგნებსაც უამრავი ადამიანი ეცნობა და კითხულობს, ამიტომაც მივეცით თავს უფლება, დაგვეწერა ეს წერილი და რადგან „ისტორიის სევდიანი სულისკვეთების" ავტორმა თავისი თხზულება წმინდა წერილის სიტყვებით დაიწყო, ჩვენც ჩვენს სათქმელს ათი მცნებიდან ერთით დავასრულებთ: „არა ცილსწამო მოყუასსა შენსა წამებით ცრუითა".

პატივისცემით:
გიორგი კერვალიშვილი
იოსებ ჩახნაშვილი
ზურაბ გიოშვილი

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

● ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲧᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲬᲛᲐᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

...ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲗᲐᲜ ᲬᲐ�გᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲐ �გᲠᲫᲜᲝᲑᲐᲪ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ �გᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲡ, ᲠᲐᲚᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ! ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲐ, ᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲨᲝᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲐᲗᲛᲐᲢᲩᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲣ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲔᲠᲘᲐᲪ, ᲠᲝᲪᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲐᲓᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲘᲛᲔᲓᲒᲐᲪᲠᲣᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲓᲐ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲕᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲓᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

ᲓᲐᲦᲚᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ

... ფეხბურთში, ისე როგორც საერთოდ ბუნებაში, ყველაფერი მეტ-ნაკლებად შედარებითია და ქართველი გულშემატკივრის გულისტკივილიც, აქედან გამომდინარე, ადვილად ასახსნელ-გასაგები უნდა იყოს: ჩვენი შესარჩევი ჯგუფის უპირობო ფავორიტისა და მსოფლიოს რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფი ხორვატიის დამარცხების შემდეგ ისრაელის მართლაც არაფრით გამორჩეულ ნაკრებთან წაგება, როგორ შეიძლება არ გვწყენოდა; ჰო, მართლაც არაფრით გამორჩეულ გუნდთან დავმარცხდით: ორჯერ „სტანდარტული“ შეასრულეს მეტ-ნაკლებად სახიფათოდ, ერთხელ თავური დარტყმით შექმნეს მართლაც ხელსაყრელი მომენტი და, ფაქტობრივად, ერთადერთი გააზრებული კომბინაცია... გოლად აქციეს! „სხვა“, რაიმე განსაკუთრებული მასპინძლების თამაშში არაფერი დაგვინახავს: საქართველოს ნაკრების იდენტური ტაქტიკური სქემით (4-2-3-1) მოასპარეზე ისრაელის ნაკრები ნამდვილად არ იყო უძლეველი გუნდი; თანაც, ყველაზე საწყენი ის იყო, რომ იმ შეხვედრის ერთადერთი გოლი მაშინ გავუშვით, როცა... აშკარად უკეთ ავთამაშდით! თუმცა, ერთდროულად რამდენიმე ჩვენი ფეხბურთელის პოზიციურმა შეცდომამ მასპინძელთა თავკაცი **ლუის ფერნანდესი** ლამის იყო... **ჟოზე მოურინიოს** „დაატოლა“, — საქართველოს ნაკრების კარში გოლის ავტორი **ტალ ბენ ჰაიმი II** მოედანზე ხომ ნუთების შემოსული იყო; ანუ, რაც უნდა სკეპტიკურად შევაფასოთ ისრაელის ნაკრების ფრანგი დამრიგებლის (წარსულში, მართლაც ჩინებული ფეხბურთელის) სამწვრთნელო შესაძლებლობები, რეალობას ვერსად გავექცევით: მის მიერ გაკეთებულმა შეცვლამ მატჩის საბოლოო შედეგი განაპირობა. ამასაც თავი რომ დავანებოთ, სამდღიან ინტერვალში მოპოვებული ორი გამარჯვებით ისრაელი ჯგუფის ფავორიტებში გაერია და მეორე ადგილზე მყოფ ხორვატიას მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება. ისე, სამდღიანი ინტერვალი შემთხვევით არ გვიხსენებია: დროის ასეთ მოკლე შუალედში ორი ოფიციალური მატჩის ჩატარება (მით უფრო, სანაკრებო დონეზე) ნამდვილად არ არის იოლი საქმე. თუმცა, ამ შემთხვევაში მეტოქეები აშკარად არათანაბარ სიტუაციაში იმყოფებოდნენ: მასპინძლებმა ორივე მატჩი (ლატვიასთან და საქართველოსთან) შინ ჩაატარეს, მაშინ, როცა ჩვენს ნაკრებს ხორვატიასთან თბილისური შეხვედრის მერე ისრაელში გადაფრენამ მოუნია; საერთოდაც, **თემურ ქეცბაიას,** ფაქტობრივად, ერთი „სრულფასოვანი“ დღე რჩებოდა ისრაელთან მატჩის წინ გუნდის მოსამზადებლად. სამწუხაროდ, იმის ვარაუდი, რომ ხორვატიასთან უმძიმესი შეხვედრის მერე ჩვენი ფეხბურთელები ძალების სრულად აღდგენას ვერ მოასწრებდნენ, ისრაელთან შეხვედრაში ნათლად გამოჩნდა. ჰოდა, სწორედ გადაღლილობის ბრალიც იყო ის უამრავი შეცდომა, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ რომ დაუშვა; აი, ასეა: გადაღლამ შეცდომები გამოიწვია, შეცდომამ - ჩვენს კარში გატანილი გოლი, ამ გოლმა - ჩვენი მარცხი, ამ მარცხმა - სატურნირო მდგომარეობის გაუარესება და ასე შემდეგ. მოკლედ, ხორვატიასთან 3 ქულა კი მოვიპოვეთ, მაგრამ, ამავდროულად, მთელი ძალა და ენერგიაც თურმე ამ მატჩისათვის გაგვიტანებია...

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲘᲓᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ... ᲛᲐᲠᲩᲘᲔᲚᲝᲑᲐ

ამ წერილს თან ერთვის ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა და დარჩენილი მატჩების კალენდარი; დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ხუთი სანაკრებო დღეა დარჩენილი: 4 ივნისი, 2 სექტემბერი, 6 სექტემბერი, 7 ოქტომბერი და 11 ოქტომბერი. აქედან, ერთის გარდა, ყოველ სანაკრებო დღეს ჩვენი ჯგუფის სამ-სამი თამაში უნდა ჩატარდეს. წესითა და რიგით, 7 ოქტომბერსაც სამი შეხვედრა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ჩვენი ჯგუფის კალენდრის შედგენისას ისრაელის მხარის თხოვნა... დიდსულოვნად გავითვალისწინეთ და ისრაელი-საქართველოს მატჩის თარიღმაც 29 მარტისათვის „გადმოინაცვლა“. თხოვნა კი, ცოტა არ იყოს, დელიკატური იყო: 7 ოქტომბერს ისრაელში რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავენ და უხერხულ მდგომარეობაში მყოფმა ქართულმა მხარემაც ალბათ, უარი ვეღარ განაცხადა. კი ბატონო, ჩვენ ხომ ყველას და ყველანაირი ინტერესი უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ როცა 29 მარტზე ვთანხმდებოდით, ნუთუ გვავიწყდებოდა, რომ სამი დღით ადრე ხორვატიასთან უმძიმესი შეხვედრა გველოდა? თანაც, ზემოთ ნათქვამს დავუბრუნდებით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ ისრაელის უპირატესობას: ლუის ფერნანდესის გუნდს სამდღიან ინტერვალში ორივე მატჩის ჩატარება საკუთარ მოედანზე უწევდა, აი, ჩვენ კი ჯერ თბილისში უნდა გვეთამაშა და ამის მერე უნდა ეწვეულიყავით აღთქმულ მიწას. მოკლედ, შესაძლოა გვიანია, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ კალენდრის ასეთი ფორმით შედგენას არ უნდა დავთანხმებულიყავით! მოვლენების ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ბოლოს და ბოლოს, უეფა „ბრმა“ კალენდარს დაგვიდგენდა და ვინ იცის, იქნებ ავცდებოდით კიდეც სამდღიან ინტერვალში ორი ურთულესი მატჩის ჩატარებას. არადა, 7 ოქტომბერს თუ ვითამაშებდით ისრაელთან სტუმრად, მომდევნო მატჩი უკვე თბილისში გველოდა საბერძნეთთან (თანაც, ოთხი დღის შემდეგ). საბერძნეთთან მატჩით ეს შესარჩევი ციკლი მთავრდება და მოდი, იმაზეც შევთანხმდეთ, რომ დიდი ალბათობით, შესაძლოა, ეს შეხვედრაც გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ჰო, ისრაელთან წაგებით მეოთხე ადგილზეც გადმოვინაცვლეთ, მეტოქეც წინ გავუშვით, მაგრამ არავინ თქვას, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი საბოლოოდ გადაგვეწურაო; ჯერ ერთი, დარჩენილი ოთხი მატჩიდან სამი (ლატვიასთან, მალტასთან, საბერძნეთთან) ჩვენს სასარგებლოდ რომ დავასრულოთ და ხორვატიიდან ქულის წამოღება-არწამოღებაზეც არ ვიმარჩიელოთ, დიდი შანსია, ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად 18 ქულაც გვეყოს; ოღონდ, ამას „აუცილებელი პირობაც“ თან უნდა ახლდეს: მეტოქეებმა ერთმანეთში ქულები უნდა დაკარგონ! ისე, რახან სურვილია, ბარემ ისიც ვინატროთ, რომ ჯგუფში ჩვენი მეტოქეთა ურთიერთშეხვედრათა უმრავლესობა... ფრედ დამთავრებულიყოს, — მოკლედ, მთლად საკუთარ თავზე აღარ ვართ დამოკიდებული; მაგრამ აქვე აუცილებელი „წინაპირობაც“ არ დაგვავიწყდეს: უკვე „წინასწარ დაგეგმილ სამ გამარჯვებას“ როგორ უნდა მივაღწიოთ, თუ შეტევაში აგრესიულები არ ვიქნებით? რაღა თქმა უნდა, უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია, ჩვენმა ნაკრებმა დაცვაში თამაში რომ გამოასწორა (ამ შემთხვევაში მხოლოდ მეკარისა და მცველების გააზრებულ და უშეცდომო ასპარეზობას არ ვგულისხმობთ); მაგრამ ისიც ფაქტია და ყველა ამჩნევს, რომ ჩვენი უპირველესი გუნდის შეტევითი პოტენციალი აშკარად უკეთესის შთაბეჭდილებას უნდა ტოვებდეს. თუმცა ვატყობთ, ერთობ აქტუალურ და პრობლემატურ საკითხს მივადექით, რაზეც ჯერ კიდევ 2009 წლის დეკემბერში (ანუ, თემურ ქეცბაიას ნაკრებში დანიშვნისას) განგაშს ვტეხდით და რაშიც, პირველ ყოვლისა, ადამიანური რესურსის დეფიციტს ვგულისხმობდით. სამწუხაროდ, დღესღეობითაც ამ მწარე რეალობის წინაშე ვდგავართ: ქართულ ფეხბურთში ნამდვილად არა გვყავს იმდენი მაღალი დონის ფეხბურთელი, საერთაშორისო (ანუ, სანაკრებო) დონეს რომ აკმაყოფილებდეს...

2011 წლის 29 მარტი. ისრაელი-საქართველო 1:0. მარცხნიდან: ჯაბა კანკავა, ბებრას ნათხო, ლევან კობიაშვილი

ᲐᲛᲑᲘᲪᲘᲐ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲖᲝᲛᲘᲔᲠᲔᲑᲐ

და აი, მთავარ სათქმელსაც მივადექით, თუმცა რა, თვითონ თემურ ქეცბაიამ არ იცის ჩვენზე უკეთ, თუ რა რესურსია დღევანდელ ქართულ ფეხბურთში? აკი განაცხადა კიდეც ისრაელთან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე: შანსი ყველა კანდიდატს მივეცით და ყველამ ნახა, ვის რა შეუძლია. დიდი რესურსი ნამდვილად არა გვაქვს, მაგრამ ძიებას გავაგრძელებთო. ჰო, მართლაც მწარე რეალობაა: საქართველოს ამ ფორმაციის ნაკრების ბირთვს ხომ ყველაზე ბევრი, 14-15 ფეხბურთელი შეადგენს. ბელმა სერიამ ქართველ გულშემატკივარს სხვა ამბიცია გაუჩინა; თანაც, ისეთი, აქამდე არასდროს რომ არ გვქონია და ჯგუფის ფავორიტის, ხორვატიის დამარცხების შემდეგ ხომ ეს „ამბიცია“, ლამის იყო, მოთხოვნაში გადაიქცა! ჰოდა, სწორედ ამიტომ მივიჩნიეთ ასე მტკივნეულად ისრაელის არაფრით გამორჩეულ ნაკრებთან მარცხი — რასაც გააზრებული და მრავალსვლიანი კომბინაცია ჰქვია, მეტოქემ ერთადერთხელ გვიჩვენა და ისიც ჩვენს კარში მიღებულ გოლად დაგვიჯდა. გაშვებული ბურთი, რაღა თქმა უნდა, არასასიამოვნო იყო, მაგრამ უფრო იმაზე გვწყდება გული, ანგარიშის გათანაბრების, სულ მცირე, ორი შანსი ხელიდან რომ გავუშვით (**ოთარ მარცვალაძისა** და **ლადო დვალიშვილის** გაცუდებულ მომენტებს ვგულისხმობთ); არანაკლებ გვწყდება გული იმაზეც, შეტევის გასაძლიერებლად, თითქმის ერთსა და იმავე ტაქტიკურ ცვლილებებს რომ მივმართავთ და ამ შემთხვევაშიც, ერთი და იმავე ფეხბურთელების გამოჩენას, ფაქტობრივად, ყველა შეგუებული ვართ. ანუ, ისევ და ისევ ადამიანური რესურსის დეფიციტზე ვსაუბრობთ, თუმცა თავს უფლებას მივცემთ და საკუთარ მოსაზრებასაც ვიტყვით, თუნდაც ისრაელთან მატჩთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მწვრთნელის კომპეტენციაში ჩარევას არ ვაპირებთ, მაგრამ, როცა მატჩის დასრულებამდე 20 წუთია დარჩენილი, ხომ შეიძლებოდა უფრო თამამ ტაქტიკურ სქემაზე გადავსულიყავით? ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, ორფორვარდიან ტაქტიკაზე ვსაუბრობთ, ანუ **დავით სირაძე** რომ ლადო დვალიშვილს შეწყვილებოდა და მეტოქეზე ზენოლა ფლანგებიდან მაღალი ჩანოდებებით გაგვეკეთებინა. თუმცა, ამ შემთხვევაში უკვე ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებული სწორედ ფლანგის ნახევარმცველებზე და როგორ ფიქრობთ, მარჯვნიდან ვის უნდა ეტვირთა თამაშის გამწვავება? ან, მარჯვნიდან, გამჭოლი თუ მაღალი ჩაწოდებები ვის უნდა გაეკეთებინა? ჰო, ახალი რა უნდა ვთქვათ: ნებისმიერი მწვრთნელი თავისი გუნდის ტაქტიკას მეტოქიდან გამომდინარე ირჩევს; თუმცა, ქეცბაიას ამას გარდა დამატებითი თავსატეხიც აქვს: კონკრეტულ მეტოქესთან საქართველოს ნაკრების ტაქტიკური განლაგება, ისევ და ისევ, ჩვენი ფეხბურთელების შესაძლებლობებიდანაც არის, ალბათ, ნაკარნახევი...

თემურ ქეცბაია

... წერილის დასაწყისში ბუნებაში არსებულ შედარებითობაზე ვსაუბრობდით და, ალბათ, იქვე უნდა გვეთქვა კიდევ ერთ კანონზომიერებაზეც; გასაგებია, რომ ქართველები მაქსიმალისტები ვართ (ყველგან და ყველაფერში), მაგრამ ასე უცბადაც ნუ მოვითხოვთ სასნაულს. დიახ, სასნაულს — წელიწადნახევარი გამარჯვებას ვერ ვახერხებდით (ვერც ოფიციალურ და ვერც ამხანაგურ მატჩებში), ახლა კი ზედიზედ ათი წაუგებელი მატჩის მერე ერთი მარცხიც როგორმე უნდა გადავიტანოთ. მით უფრო, რომ ჩვენს შესარჩევ ჯგუფში კიდევ ბევრი რამ შეიცვლება, თანაც ვისურვოთ, რომ ეს ცვლილებები ჩვენთვის სასიკეთო ყოფილიყოს...

ᲒᲘᲐ ᲗᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ

	Თ	Მ	Ფ	Წ	Ბ	Ქ
1. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ	5	3	2	0	5-2	11
2. ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ	5	3	1	1	8-2	10
3. ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ	6	3	1	2	8-6	10
4. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ	6	2	3	1	4-3	9
5. ᲚᲐᲢᲕᲘᲐ	5	1	1	3	4-7	4
6. ᲛᲐᲚᲢᲐ	5	0	0	5	1-10	0

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ
ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ-ᲛᲐᲚᲢᲐ

2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲚᲐᲢᲕᲘᲐ
ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ-ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ
ᲛᲐᲚᲢᲐ-ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ

6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲐᲚᲢᲐ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ
ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ-ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ
ᲚᲐᲢᲕᲘᲐ-ᲛᲐᲚᲢᲐ

11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ
ᲛᲐᲚᲢᲐ-ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘ
ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ-ᲚᲐᲢᲕᲘᲐ

● ამხანაგური მატჩები

ყველას რაღაც გაუხარდა!

დენი უილბეკს ინგლისის ნაკრებში დებიუტი ჩაუმწარეს

ინგლისი-განა 1:1

ინგლისი (4-3-3): ჰარი - გ. ჯონსონი (45. ლესლიკტი), ჯეგიელკა, კეჰილი, ბეინესი - მილნერი, ბერი, უილშირი (69. ჯერვისი) - დაუნინგი, ე. იანგი (81. უილბეკი), ქეროლი (59. დეფო)

განა (4-5-1): კინგსონი - პენტსილი, ჯონა მენსა, ვორსა (45. ჯონათან მენსა), ედი (45. ოპარე) - ადიია (69. ტაგოე), კ. ასამოა (84. ინკუუმი), აგიემანგ-ბადუ, ანანი (45. დ. ბოატენგი), მუნტარი (59. აიეუ) - ასამოა გიანი

გოლები: 1:0 ქეროლი (43), 1:1 ასამოა გიანი (90)

გაფრთხილება: მილნერი - ბოატენგი, აიეუ

კუთხური: 7-3; **ჯარიმა**: 17-20; **კარში დარტყმა**: 16-13 (4-4); **თამაშგარე**: 2-3; **ბურთის ფლობა**: 60%-40%

მაყურებელი: 80ᲗᲗ02

ამხანაგურ თამაშებს ხომ დაკვირვებიხართ? ფეხბურთელები, მეტწილად, ბურთს ნინ და უკან უგულოდ აგორებენ და ერთი სული აქვთ, როდის ჩასტვენს მსაჯი. ამჯერად ასე არ იყო. ის კი არა, დაიწერა, რომ ასეთი თვალსასაერო შეხვედრა „უემბლის" სტადიონს რეკონსტრუქციის, ანუ 2007 ნლის შემდეგ არ ახსოვს და ეს მნიშვნელოვანწილად აფრიკელთა დამსახურებაც გახლდათ. მათ გულით უნდოდათ ებრძოლათ, სწორად, ნარმატებით ეთამაშათ და ამიტომაც არ დავობს კაციშვილი, რომ ისინი ფრეს იმსახურებდნენ. **ასამოა გიანის** მიერ ბოლო წამს გატანილ გოლს განელი ფანებიც იმსახურებდნენ. იცით, რამდენი განელი იყო „უემბლიზე"? 20 ათასი! და ეს ხალხი ჩუმად არ იჯდა. გარდა იმისა, რომ თავის გუნდს ქომაგებდნენ, **დენი უილბეკს** ინგლისის ნაკრებში დებიუტი ჩაუმწარეს - როდესაც უილბეკი მოედანზე **ეშლი იანგის** მაგივრად შევიდა, სტადიონი გამაყრუებელმა „ბუუმ" კინაღამ დაანგრია. მიზეზი: უილბეკი მართალია ინგლისში დაიბადა, მაგრამ ეროვნებით განელია და ისტორიული სამშობლოს ნაკრებში თამაშზე უარი თქვა.

ყველაზე მეტად კი ლივერპულელ **ენდი ქეროლს** გაუფუჭეს გუნება. სულ რაღაც 24 საათი იყო გასული, რაც **ფაბიო კაპელომ** მასზე თქვა კარგი იქნება სმას თუ მოუკლებსო. მწვრთნელის ნათქვამის პასუხად ქეროლმა ნაკრების შემადგენლობაში თავისი პირველი გოლი გაიტანა და ნელში გაიმართა, მაგრამ არ შეარგეს.

„გოლის გატანა ძალიან გამიხარდა - თქვა მატჩის შემდეგ ახალგაზრდა ფორვარდმა - ჩვენ კარგად ვითამაშეთ და რასაკვირველია, გული დაგვწყდა, რომ ბოლო წამს მოწინააღმდეგემ გოლის გატანა მოახერხა. ტრავმის შემდეგ თავს უკვე კარგად ვგრძნობ. განელების კარში გატანილი გოლით დავამტკიცე, რომ ისევ ფორმაში ვარ და ინგლისის ნაკრების მაისურითაც არაერთს შევაგდებ".

ქეროლს საგოლე პასი **სტიუარტ დაუნინგმა** ჩააწოდა და საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ ამ ფეხბურთელმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. პრესკონფერენციაზე „ასტონ ვილას" გარემარბმა თქვა:

„ვფიქრობ, ანგარიშის მიუხედავად კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ალბათ, მაყურებელიც დარწმუნდა, რომ ინგლისის ნაკრები ძლიერი გუნდია, თუნდაც დღევანდელი შემადგენლობა ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, მწვრთნელმა შაბათს უელსის წინააღმდეგ რომ ათამაშა.

ბოლო წამს გოლის გაშვებას მაინც-დამაინც არც კაპელოსთვის დაუწყვეტია გული. იტალიელმა თქვა:

„ძალიან გაბარებული ვარ, ასეთი ფეხბურთი რომ ვითამაშეთ. დღევანდელი შეხვედრა ამხანაგურ თამაშს არ ჰგავდა. მოედანზე ერთმანეთის პირისპირ იდგა ორი გუნდი, რომლებიც ცდილობდნენ კარგი ფეხბურთი ეთამაშათ და მეტოქე დაემარცხებინათ. შეხვედრას არც ორთაბრძოლები აკლდა. მოთამაშეები ყოველგვარი შიშის გარეშე იბრძოდნენ. მინდა შევაქო განის ნაკრებიც. ეს ფანტასტიკური გუნდია".

კაპელოს მხარი „არსენალის" ყმაწვილკაცმა, **ჯეკ უილშირმა** დაუჭირა. ინგლისური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა თქვა:

„მსოფლიოს ჩემპიონატამდე კაპელოს ყველა აქებდა და ადიდებდა. ის უშეცდომო ადამიანად გამოჰყავდათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ კი ყველაფრის გამო აკრიტიკებენ. ვფიქრობ, ასე არ შეიძლება. ამ ადამიანს ამოსუნთქვის საშუალება უნდა მივცეთ. ის დიდი მწვრთნელია. მას სხვადასხვა კლუბი უდიდეს წარმატებებთან მიუყვანია და ინგლისის ნაკრებშიც, მე თუ მკითხავთ, წარმატებით მუშაობს".

ლონგზე იფიქრეთ, კლუბებო

ირლანდია-ურუგვაი 2:3

ირლანდია (4-4-2): ვესტვუდი - ფოული, ო'დი, კელი, კლარკი (75. დილეინი) - ლოურენსი (78. მაკგიდი), ფეჰეი (66. გიბსონი), გრინი, კოიჰი (85. სტოკსი) - მაკარტი (66. ტრეისი), ლონგი

ურუგვაი (3-4-3): მუსლერა - კასერესი, ლუგანო, გოდინი - მ. პერეირა, არევალო (64. გარგანო), პერესი (90. სკოტი), ა. პერეირა - ეგურენი (84. ერნანდესი), ფორლანი, კავანი

გოლები: 0:1 ლუგანო (12), 1:1 ლონგი (15), 1:2 კავანი (22), 1:3 ერნანდესი (39), 2:3 ფეჰეი (48-პენ)

გაფრთხილება: ო'დი - კავანი, ლუგანო, ეგურენი

კუთხური: 6-4; **ჯარიმა**: 18-17; **კარში დარტყმა**: 13-14 (5-7); **თამაშგარე**: 1-2; **ბურთის ფლობა**: 55%-45%

მაყურებელი: 25 611

ჯოვანი ტრაპატონის ირლანდიელთა მეორე შემადგენლობამ მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტთან, რაც შეეძლო, იყოჩაღა. დუბლინის „ავივას" სტადიონზე, ერთ მომენტში, სამხრეთამერიკელებმა გვარიანი უპირატესობა მოიპოვეს - 3:1 დაწინაურდნენ და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ირლანდიელები ვეღარაფერს გაანყობდნენ. თითქოსდა ამის მერე ურუგვაის კიდევ უფრო დამაჯერებლად უნდა მოეგო, მაგრამ ასე არ მოხდა. მასპინძლებმა ერთი გოლიც გაიტანეს და 2:3 ნააგეს.

მატჩის შემდეგ ტრაპატონიმ თავისი თავდამსხმელი **შეინ ლონგი** შეაქო. „დონ ტრაპმა" თქვა, რომელიმე კლუბის მწვრთნელი რომ ვიყო, ამ ბიჭის ყიდვაზე სერიოზულად ვიზრუნებდიო. ჟურნალისტებმა კითხვა დაუკონკრეტეს, ჰკითხეს, ხომ არ არის დრო „რედინგის" ფორვარდი პრემიერლიგის ამა თუ იმ კლუბში გადავიდეს. იტალიელმა მწვრთნელმა უპასუხა:

„ერთი წლის წინ ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ ახლა დაღვინდა და გაცილებით უკეთ თამაშობს. მართალია, პრემიერლიგა ძალიან ძლიერი შეჯიბრებაა, მაგრამ ლონგიც ძლიერი ფეხბურთელია. მე რომ რომელიმე კლუბის მწვრთნელი ვიყო, აუცილებლად შევეცდებოდი მის შეძენას. მან ბოლო შეხვედრაშიც კარგად ითამაშა. ეს გახლავთ ფეხბურთელი, რომელიც არა მარტო როგორც მოთამაშე, არამედ როგორც პიროვნება გაიზარდა".

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ტრაპატონიმ ის შემადგენლობა, რომელიც შაბათს მაკედონიასთან ათამაშა, მნიშვნელოვნად შეცვალა. კერძოდ, ირლანდიელებს რვა ახალი ფეხბურთელი ჰყავდათ. ახალი იყო ტაქტიკური სქემაც. დონ ტრაპმა 4-2-3-1 მოსინჯა.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ სამ დღეში ორი გუნდით ვითამაშეთ, ძალიან კარგი შედეგი გვაქვს. თან, ჩვენი მეტოქე გახლდათ სუპერგუნდი, რომლის ფეხბურთელებიც დიდი ხანია ერთად თამაშობენ და მსოფლიოს ჩემპიონატზე სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს".

მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა **დიეგო ფორლანმა** კი მატჩის შემდეგ თქვა: „დღეს ძალიან ახალგაზრდულ გუნდთან მოგვიწია თამაშმა. ძნელი მატჩი იყო, თუმცა, საბედნიეროდ, საგოლე მომენტების მაქსიმალური რეალიზაცია მოვახერხეთ. მოედნის საფარზე კარგს ვერ ვიტყვი, მაგრამ მასზე ბურთი სწრაფად დაქროდა".



შეინ ლონგი

● ამბები



ეროვნული ვენგერი საფრანგეთის წინააღმდეგ

„არსენალის" მწვრთნელი, ფრანგი **არსენ ვენგერი** თავისი ქვეყნის ნაკრებს უპირისპირდება. საქმე ის გახლავთ, რომ ზაფხულში, პრემიერლიგის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, „ლურჯები" აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მინიტურს გეგმავენ. ამ ტურში მონანილეობას მიიღებენ „არსენალის" ფეხბურთელები: **სამირ ნასრი, ბაქარი სანია, გაელ კლიში, აბუ დიაბი** და **ლორან კოშელნი**. მათ ექვს დღეში სამი მატჩის ჩატარება მოუხდებათ: 3 ივნისს „ლურჯებს" ბელარუსის ნაკრებთან აქვთ შესარჩევი შეხვედრა, შემდეგ კი 6 ივნისს უკრაინას და ცხრაში პოლონეთს გაეჯიბრებიან ამხანაგურად.

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** თქვა: *„ვაპირებ რამდენიმე მწვრთნელს შევხვდე და ამ მინიტურნირის აზრი ავუხსნა. ამ მწვრთნელთა შორის ერთადერთი ფრანგია, ვენგერი, რომელიც, ვიმედოვნებ უფრო ადვილად გაიგებს ჩემს ნაფიქრალს".*

ფერგი სამოსანია

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი** ზაფხულში სამი ფეხბურთელის ყიდვას აპირებს. საქმე ის გახლავთ, რომ „ოლდ ტრეფორდზე" ბევრ მოთამაშეს კონტრაქტის ვადა ეწურება და არ არის გამორიცხული ცვლილებების მოწმენი გავხდეთ. ამბობენ, რომ ფერგის ტოპკლასის ფეხბურთელების მიყვანა სურს.

„მი ზანში რამდენიმე ვარსკვლავი გვყავს ამოლებული და ვფიქრობ, ორთან ან სამთან საერთო ენას გამოვნახავთ. თუმცა, უფრო კატეგორიულადაც შეიძლება თქმა - ეჭვი არ მეპარება, რომ რამდენიმე ახალ ფეხბურთელს შევიმატებთ. გლეი ზერების ოჯახს ჩემთვის შემადგენლობის გაძლიერება ზე უარი არასდროს უთქვამს".

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ფერგიუსონის სასურველ მოთამაშეთა სიის სათავეში მეკარე წერია, რადგან **ედვინ ვან დერ სარი** კარიერას ასრულებს. განიხილება „შალკეს" გოლკიპერის **მანუელ ნოიერის** და მადრიდის „ატლეტიკოს" კარის მცველის **დავიდ დე ხეას** ვარიანტები. შოტლანდიელ მწვრთნელს, საკარაუდოდ, ნახევარდაცვის გადახალისებაც სჭირდება. მის მიზანში არიან ჰოლანდიელი **ვესლი სნეიდერი, ჯეკ როდუელი** და „ბლექპულის" ლიდერი, ფერგიუსონის თანამემამულე **ჩარლი ადამი**.

დაცვაში ფერგის უფრო ცენტრალური მცველი სჭირდება. ლაპარაკია „ბოლტონის" **გერი კეჰილსა** და „მილანის" **ტიაგო სულვაზე**. რაც შეეხება თავდასხმას, აქ „მანჩესტერ იუნაიტედს" თავი ქუდში აქვს და ახალი მოთამაშის დამატება მაინც და მაინც არ სჭირდება. ფერგიუსონმა დასძინა:

„ჩვენ ახალგაზრდა ტალანტების მოზიდვა ნამდვილად გვეხერხება. მაგალითად, გასულ ზაფხულზე ჩიჩარიტო შევიძინეთ. თუ ბოლო ექვს წელიწადს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ კრიშტიანუ რონალდო და ნანი გვყავს აღმოჩენილი. მოკლედ, ამ საქმეში ჭიპი გვაქვს მოჭრილი და ვფიქრობ, ასე უნდა გავაგრძელოთ კიდეც. როგორც კი დავრწმუნდებით, რომ სადღაც ნამდვილად არსებობს ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელი, ჩვენ მას ვყიდულობთ".

ვუდგეიტი დაშავდა

ჯონათან ვუდგეიტის საქმე ცუდადაა - 31 ნლის უიღბლო ფეხბურთელმა „ტოტენჰემისა" და „ბერნეტის" ამხანაგური შეხვედრის დროს მყესი დაიზიანა და ძალიან საეჭვოა „დეზების" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** მასთან ახალი კონტრაქტის დადება მოინდომოს.

ახლა უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ვუდგეიტი მომდევნო კვირაში, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „რეალის" წინააღმდეგ ველარ ითამაშებს, თუმცა „რეალი" რა მოსატანია, როდესაც მას სამი ნლის განმავლობაში „სფურზის" ფორმა სულ 65-ჯერ ეცვა.

ვუდის ძველ კონტრაქტს ვადა ამ სეზონის ბოლოს ანუ ორ თვეში გაუდის, რედნაპს კი ნათქვამი ჰქონდა, რომ მასთან ურთიერთობას „როგორც ითამაშებ ისე გადაგიხდი"-ს პრინციპით ააწყობდა.

რედნაპმა თქვა: *„ვუდგეიტის ტრავმა ძალიან ცუდია როგორც კლუბისთვის ასევე პირადად მისთვის. ის ბოლო ხანს ძალიან ინდომებდა და ვფიქრობდი „რეალის" წინააღმდეგ მეთამაშებინა კიდეც. მადრიდში მაინც გუნდთან ერთად წავიყვან. „რეალი" მისი ძველი კლუბია და მის წინააღმდეგ თამაში ჯონათანისთვის ბევრს ნიშნავდა".*

ქეროლი დროგბაა

ჯო კოული ამბობს, რომ **ენდი ქეროლი** „ლივერპულის" **დიდიე დროგბაა**. მოგეხსენებათ, ახალგაზრდა ფორვარდმა, სამშაბათს, განის კარში თავისი პირველი სანაკრებო გოლი გაიტანა, რის გამოც მისმა ლივერპულელმა თანაგუნდელმა ქების სიტყვები არ დაიშურა.

„ქეროლი ძალიან ჰგავს დიდიე დროგბას — თქვა კოულმა — ყველამ კარგად ვიცით, რა ძალის ფეხბურთელია დიდიე, მაგრამ 22 ნლისა ის ენდისავით ძლიერი არ იყო. თან, ქეროლს შეუძლია განვითარდეს და განვითარდეს. ის ძალიან კარგი ბიჭია და „ლივერპულისთვის" საუცხოო შენაძენიც გახლავთ. დამეთანხმებით, ძნელია, დამისახელოთ მასზე და ლუის სუარესზე უკეთესი იანვრის შენაძენი. ვფიქრობ, ასეთი სხვა გუნდებს არ ჰქონიათ".

თავად კოულს უხეირო სეზონის გამო ნაკრებში აღარ იძახებენ, მაგრამ ამისგან ტრაგედიას არ ქმნის და ამბობს, რომ „ენფილდზე" თავს ბედნიერად გრძნობს:

„თავს ბედნიერად ვგრძნობ პროფესიონალი ფეხბურთელი რომ ვარ და „ლივერპულში" რომ ვთამაშობ. ფეხბურთში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ გარანტირებული არავის არაფერი აქვს. თითოეულ ჩვენგანს თავისი ადგილი ყოველდღიური ბრძოლით აქვს მოსაპოვებელი და ეს ძალიან საინტერესოა. ფეხბურთელის ცხოვრებაში არაფერს შევცვლიდი".

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ამხანაგური მატჩი

მატრის გოლის შემდეგ

ვენდეტა საფეხბურთო მოედანზე

პრანდელის ექსპერიმენტმა გაამართლა

უკრაინა-იტალია 0:2

უკრაინა: შოვკოვსკი - ფედეცკი, რაკიცკი, ტიმოშჩუკი, ოშიპკო - სტეპანენკო, როტანი (76. ოლეინიკი), ალიევი (53. დევიჩი), გუსევი - იარმოლენკო, სელეზნიოვი.

იტალია: ვივიანო - მაჯო (46. სანტონი), გასტალდელო, კიელინი (17. ასტორი), კრიშიტო - აკვილანი (46. ჯოვინკო), მონტოლივო, ნოჩერინო, მარკიზიო (88. პაროლო) - როსი (61. მატრი), ჯილარდინო (76. ბონუჩი).

გოლები: 0:1 როსი (27), 0:2 მატრი (81).

საოცარია, როგორ მოახერხა **მარჩელო ლიპიმ** და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ეროვნული ნაკრები ჯგუფში ჩატოვა. თანაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე სუსტ ჯგუფში, სადაც „სკუადრა აძურა“ პარაგვაის, სლოვაკეთის და ახალი ზელანდიის გუნდებმა ჩამოიტოვეს. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ზოგადად იტალიურ ფეხბურთს საუკეთესო დროება უდგას, მაგრამ „აძურას“ რომ აქვს პოტენციალი და თანაც, საკმაოდ დიდი, **ჩეზარე პრანდელიმ** უკვე არაერთხელ დაგვანახვა. სლოვენიაში მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვების შემდეგ, იტალიის ნაკრები კიევს ესტუმრა, სადაც უკრაინის უმთავრეს გუნდთან ამხანაგური მატჩი გამართა და მეტოქეს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. ანუ, ბოლო ოთხ დღეში აპენინელებმა ორი მეტად რთული გასვლითი პაექრობა ჩაატარეს, ორივე მოიგეს, სამი გოლი გაიტანეს და არც ერთი არ გაუშვიათ. შედეგი მართლაც რომ შესანიშნავია და რაც მთავარია, თამაშის ხარისხია საკმაოდ მაღალი. დაცვა ისე დგას, როგორც იტალიელებს სჩვევიათ და შეეფერებათ, შეტევაში კი საკმაოდ დიდი რესურსი გამოჩნდა და პრანდელისაც მუდმივად ასარჩევად აქვს საქმე.

უკრაინის წინააღმდეგ ჩეზარემ ნახევრად ექსპერიმენტული შემადგენლობით იასპარეზა. კარს **ემილიანო ვივიანო** იცავდა, დაცვის ცენტრში კი თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში **დანიელე გასტალდელოსა** და **დავიდე ასტორისგან** შემდგარი ტანდემი ირჯებოდა. მართალია, ძირითად შემადგენლობაში **ჯორჯო კიელინი** გახლდათ, მაგრამ მალევე დაშავდა და სწორედ სარდინიელმა ასტორიმ შეცვალა. მარჯვენა ფრთაზე პირველ ტაიმში **კრიატიან მაჯომ** იასპარეზა, მეორეში კი **დავიდე სანტონი** ვიხილეთ. მარცხნივ **დომენიკო კრიშიტომ** ითამაშა და თანაც შეუცვლელად. ახალი სახეები არც ნახევარდაცვას აკლდა, თავდასხმაში კი სულაც დებიუტანტი, **ალესანდრო მატრი** გამოჩნდა, რომელმაც ნახევარი საათი დაყო მინდორზე და გოლი გაიტანა.

მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან სცადეს სათამაშო უპირატესობის მოპოვება და დიდი ძალებითაც გადავიდნენ შეტევაში - რამდენიმე ნახევარმომენტიც შექმნეს, ძირითად შორიდან ცდილობდნენ მეტოქის კარის აღებას, თუმცა ემილიანო ვივიანო გახლდათ მოწოდების სიმაღლეზე. აქვე ვთქვათ, რომ „ბოლონიას“ კარის დარაჯმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი სახით იტალიას მართლაც საიმედო მეკარე ჰყავს. მოკლედ, უკრაინელები დიდი ძალებით გადავიდნენ მეტოქის ნახევარზე, თუმცა ვერას გახდნენ, იტალიელთა პირველივე მცდელობა კი გოლით დასრულდა - 27-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც დომენიკო კრიშიტომ მეტოქის საჯარიმოში ჩააგდო ბურთი, იქ დიდი არეულობა შეიქმნა და **ალბერტო აკვილანის** მიეცა თავის გამოჩენის შანსი, დაარტყა კიდეც, თუმცა ბურთი ერთ-ერთმა მცველმა აისხლიტა, დამატებაზე კი ყველას **ჯუზეპე როსიმ** აჯობა და გახსნა ანგარიში, 0:1.

პირველ ტაიმში საინტერესო აღარაფერი მომხდარა, მეორე კი დაახლოებით ისევე დაიწყო, როგორც პირველი. უკრაინელებმა სწრაფი გოლის გატანა სცადეს, მაგრამ მათ იერიშებს სიმწვავე აკლდა. ერთი თამაშით რთულია დასკვნების გაკეთება, მაგრამ დარჩა შთაბეჭდილება, რომ უკრაინულ ფეხბურთს მაღალი კლასის მოთამაშეები შემოელია და ეს ის თაობა არ არის, რომელსაც დიდი მიზნების მიღწევა შეუძლია. არადა, მომავალ წელს სწორედ ამ ქვეყანაში (პოლონეთთან ერთად) გაიმართება ევროპის ჩემპიონატი და დიდი იმედი აქვთ სლავებს, რომ ფურორს მოახდენენ. დავუბრუნდეთ თამაშს და აღვნიშნოთ, რომ ერთი ხანობა იტალიელებმა ბურთი დაუმალეს მეტოქეს და თამაშზე სრული კონტროლი დაამყარეს. სტუმართა გამარჯვება მას შემდეგაც არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, რაც დავიდე ასტორი გააძევეს მოედნიდან - პირიქით, სწორედ ამის შემდეგ გაიტანეს აპენინელებმა მეორე გოლი და შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირეს. გოლი კი მართლაც ეფექტური გამოვიდა - შეცვლაზე შესულმა **სებასტიან ჯოვინკომ** მეტოქის ნახევარზე მიიღო ბურთი, ერთი მეურვისგან კარგად გაითავისუფლა თავი და ქუსლით ალესანდრო მატრი მოძებნა, რომელიც მარჯვენა ფრთიდან წამოეხმარა, ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში და სტადიონზე შეკრებილი გულშემატკივრები საბოლოოდ დაადუმა, 0:2. მატჩის ბოლო წუთებზე მასპინძლებმა შეარხიეს ვივიანოს კარის ბადე, მაგრამ ლაინსმენმა სრულიად სამართლიანად თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა და გოლი გააუქმა. მთლიანობაში, იტალიელებმა გაცილებით კარგად იასპარეზეს, უბრალოდ დაჯაბნეს მეტოქე და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მეტიც, იტალიელებმა საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს ევროპის ჩემპიონატის მასპინძლებს. არადა, ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლებისთვის იტალიაც იბრძოდა, მაგრამ უეფამ არჩევანი სწორედ უკრაინა-პოლონეთზე შეაჩერა - ანუ, ეს ერთგვარი ვენდეტა იყო, ოღონდ საფეხბურთო მოედანზე.

მატჩისშემდგომ პრეს კონფერენციაზე ჩეზარე პრანდელიმ შემდეგი განაცხადა: *„ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ შეგირდებმა ჩემი მითითებები ზუსტად შეასრულეს და ძალიან ორგანიზებულად მოქმედებდნენ. იყო რამდენიმე კითხვა, რომლებზეც პასუხი მჭირდებოდა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პასუხები მივიღე. უკრაინელები ხშირად კარგავდნენ ბურთს მოედნის ცენტრში, რამაც მნიშვნელოვნად გაგვიადვილა ამოცანა. მართალია, მატჩი ამხანაგური იყო, მაგრამ შედეგსაც მნიშვნელობა ჰქონდა და საბედნიეროდ, გავიმარჯვეთ“.*

როგორც ზემოთ ვთქვით, გოლით აღნიშნა სანაკრებო დებიუტი ალესანდრო მატრიმ. ნამატჩევს, „იუვენტინო“ ემოციებს ვერ მალავდა: *„ასეთ დებიუტზე ვერც კი ვიოცნებებდი და თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ. ჯოვინკოს პირადადაც ვუთხარი მადლობა და აქედანაც ვეტყვი - შესანიშნავი პასი მომცა და ისლა დამრჩენოდა გოლი გამეტანა. როდესაც ბურთი სებამ მიიღო, მაშინვე გავეხსენი, რადგან კარგად ვიცი მისი პლეიმეიქერული შესაძლებლობები და დარწმუნებული ვიყავი, რომ პასს არ დამიგვიანებდა. მოკლედ, ყველაფერი იდეალურად დასრულდა“.*

ნაპოლი

დე ლაურენტისმა 40 მილიონი გაამეტა



აურელიო დე ლაურენტისი

მიმდინარე სეზონში, „ნაპოლი“ შესანიშნავად ასპარეზობს და ამაში დასარწმუნებლად, საკმარისია, რომ სერია A-ს სატურნირო ცხრილს ჩავხედოთ. შესაბამისად, სამხრეთული გუნდის წამყვანი ფეხბურთელების მიმართ არაერთი ევროპული გრანდი იჩენს ინტერესს. თუმცა, ნეაპოლელები არავის გაყიდვას არ აპირებენ და პირიქით, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გაძლიერება აქვთ მიზნად დასახული. ამის შესახებ „ნაპოლის“ პრეზიდენტმა, **აურელიო დე ლაურენტისმა** განაცხადა და უმჯობესია, პირდაპირ მას გადავცეთ სიტყვა:

„ჩვენს ფეხბურთელებზე რომ მოთხოვნაა არ მიკვირს, მაგრამ ისიც მინდა განვაცხადო, რომ არავის გასხვისებას არ ვაპირებთ. პირიქით, სატრანსფერო პერიოდს აუცილებლად ნაყოფიერად გამოვიყენებთ და არაერთ მაღალი დონის ფეხბურთელს დავიმატებთ. შემიძლია კონკრეტული თანხაც კი ვთქვა, რომელიც უკვე გადადებული გვაქვს - გუნდის გასაძლიერებლად 40 მილიონ ევროს დავხარჯავთ. სხვაგვარად წარმოუდგენელია, რადგან მომდევნო სეზონში სერია A-სა და იტალიის თასის გათამაშებასთან ერთად, ჩემპიონთა ლიგაში მოგვიწევს ასპარეზობა“.

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნეაპოლელთა ინტერესის სფეროში მეტწილად ნახევარმცველები არიან - აქტიურად საუბრობენ „უდინეზედან“ **გოკჰან ინლერის** და „ლივერპულიდან“ **ლუკას ლეივას** შესაძლო გადაბირების თაობაზე. ასევე, ვარაუდობენ, რომ სამხრეთელები **ბორხე ვალეროს** ყიდვას შეეცდებიან, რომელიც ესპანეთის პრიმერადივიზიონში ასპარეზობს და „ვილიარეალის“ ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. აქვე ვთქვათ, რომ „ნაპოლიმ“ უკვე მიაღწია შეთანხმებას „ესტუდიანტესთან“ და მომდევნო სეზონიდან, ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი არგენტინელი მცველი, **ფედერიკო ფერნანდესი ვალტერ მაძარის** განკარგულებაში იქნება.

რომა

დი ბენედეტო რომას მფლობელია

უკვე ოფიციალურად

„რომას“ გულშემატკივრებისთვის მისალოცად გვაქვს საქმე, რადგან ხანგრძლივი მოლაპარაკებები გუშინ დასრულდა და კლუბის ოფიციალური მფლობელი იტალიური წარმოშობის ამერიკელი ბიზნესმენი **ტომას დი ბენედეტო** გახდა. ტომასი ორშაბათს ჩავიდა რომში და ჯერ კიდევ აეროპორტში განაცხადა, რომ სულ მალე ყველა დეტალი მოგვარდებოდა - ასე აგიხდეთ ყველაფერი, შეთანხმება მიღწეულია, ხელშეკრულებას ხელი მოეწერა, რომლის ძალითაც კლუბის 60% დი ბენედეტოს გადაეცა. დარჩენილი 40% ბანკ „უნიკრედიტის“ საკუთრებაში დარჩა, ანუ სენსების ოჯახი კლუბს ბოლომდე ვერ შეელია. მართალია, მართვის სადავეები მათ ხელში აღარ იქნება, მაგრამ თანამფლობელის სტატუსით ყველა შემთხვევაში ისარგებლებენ.. ამასთან, დი ბენედეტოს და სენსებს კარგი ურთიერთობება აქვთ და სავარაუდოდ, ერთობლივი ძალებით შეეცდებიან „რომას“ ახალ სიმაღლეზე აყვანას.

ტომას დი ბენედეტო იტალიაში დიდი გეგმებით ჩავიდა, მისი სურვილია, რომ „ჯალოროსი“ ევროპის საუკეთესო გუნდი გახდეს და საამისოდ, არც ენერგიას დაიშურებს და არც ფინანსებს. აქედანვე ცნობილია, რომ მალე ახალი სტადიონის პროექტს წარმოადგენს, რომელიც ინგლისური სტილის, სუფთა საფეხბურთო იქნება. ჟურნალისტებთან საუბარში მკაფიოდ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე გუნდს ხუთი-ექვსი უმაღლესი კლასის ფეხბურთელის დამატება სჭირდება და ზაფხულში სატრანსფერო ბაზარზე აუცილებლად იაქტიურებს. დიდი პატივისცემა გამოხატა **ფრანჩესკო ტოტის** მიმართ და არც **ვინჩენცო მონტელას** დასწყვიტა გული, რომელიც მომავლის მწვრთნელად მონათლა. ბოლოს დავძინოთ, რომ კლუბის პრეზიდენტის პოსტს თავად მფლობელი, ტომას დი ბენედეტო დაიკავებს.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა



ტომას დი ბენედეტო

ამხანაგური მატჩი



1001-ე გოლი გერმანიის ნაკრების კარში: ვიზემ უილკშირს პენალტი ვერ აუღო

1001 გოლი გერმანიის კარში

ლიოვის შეგირდებს ტესტმატჩები არ უყვართ...

გერმანია-ავსტრალია 1:2

გერმანია (4-2-3-1): ვიზე - ტრეში, ა. ფრიდრიხი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, შვაინშტაიგერი (64. კროოსი) - შიურლე, თ. მიულერი (64. გიოტცე), პოდოლსკი - გომესი (73. კლოზე).

ავსტრალია (4-4-2): შვარცერი - უილკშირი, ნეილი, ოგნენოვსკი, კარნი - ემერტონი, ვალერი, იედინაკი, მაკკაი - კიულერი (80. კრუსე), ჰოლმანი (90. მაკგართი).

გოლები: 1:0 გომესი (26), 1:1 კარნი (61), 1:2 უილკშირი (64-პენ)

გაფრთხილება: ტრეში, კლოზე - იედინაკი, მაკკაი.

მაყურებელი: 30 152

როგორც მოსალოდნელი იყო, გერმანიის ნაკრებმა ავსტრალიასთან ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ითამაშა (**იოახიმ ლიოვმა**, პირველი გუნდიდან სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ **ბასტიან შვაინშტაიგერი, თომას მიულერი** და **ლუკას პოდოლსკი** გამოვიდა), მაგრამ წესით, გერმანია ავსტრალიას მეორე გუნდითაც უნდა უგებდეს. გერმანელები იგებდნენ კიდეც (**მარიო გომესის** გოლით), მაგრამ მეორე ტაიმში, ოთხ წუთში ორი გოლი გაუშვეს, მერე ვეღარ გაათანაბრეს და დამარცხდნენ. ეს იყო გერმანიის ნაკრების პირველი წაგება მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალის შემდეგ (0:1 მომავალ ჩემპიონ ესპანეთთან) და ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ მუნდიალზე ბუნდესგუნდმა ავსტრალია 4:0 გაანადგურა.

ავსტრალიასთან შეხვედრამ კიდევ ერთი ფაქტი გამოკვეთა: გერმანიის ნაკრებს ტესტმატჩებში მოტივირება უჭირს. თვითონ განსაჯეთ: მართალია, ბუნდესგუნდმა მუნდიალის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებიდან ყველა მოიგო, სამაგიეროდ, არც ერთი ამხანაგური არ მოუგია. ავსტრალიასთან კი, სულაც დამარცხდა. შესაბამისად, მიონხენგლადბახის „ბორუსია პარკზე" შეკრებილი ქომაგები (30 152) იმედგაცრუებულები დარჩნენ. ასეთივე განცდა დაეუფლებოდა ლიოვსაც, რადგან იმედები ვერც ცენტრალურმა მცველებმა, **არნე ფრიდრიხმა** და **მატს ჰუმელსმა** გაუმართლეს და არც მარცხენა მცველის პოზიციაზე გამწესებულ **მარსელ შმელცერს** უთამაშია კარგად. შესაბამისად, იოგიმ ჯერ კიდევ არ იცის, ვინ უნდა ათამაშოს ხოლმე დაცვის ცენტრში, **პერ მერტეზაკერის** გვერდით და ვინ უნდა გაამწესოს მარცხენა მცველად.

ავსტრალიასთან კარგად მხოლოდ ორი ფეხბურთელი გამოიყურებოდა: „მაინცის" გარემარბი **ანდრე შიურლე** და გომესი. შვარცერის კარში გატანილი გოლი სწორედ ამ წყვილის დამსახურებაა: შიურლეს პასით გომესმა იხეირა. ცუდი კი ისაა, რომ ეს იყო გერმანელების ერთადერთი რეალური საგოლე მომენტი პირველ ტაიმში, ხოლო მეორე ნახევარში კი, ბუნდესგუნდს საქმეები უფრო ცუდად წაუვიდა.

სატელევიზიო ექსპერტის როლში მყოფ **ოლივერ კანს** ყველაზე მეტად შვაინშტაიგერის, მიულერისა და პოდოლსკის თამაში არ მოეწონა. მისი აზრით, ამ სამეულმა არ მოინდომა, რაც კანს სერიოზულ პრობლემად მიაჩნია.

საიუბილეო გოლები გერმანიის ნაკრების კარში

გოლი	თარიღი	მეტოქე	ავტორი	მეკარე	შედეგი
1-ლი	5.4.1908	შვეიცარია	ჰანს კემპფერი	ფრიტც ბაუმგარტენი	3:5
250-ე	4.12.1935	ინგლისი	ჯორჯ კემსელი	ჰანს იაკობი	0:3
მე-500	29.12.1963	მაროკო	რაშა ალი	ფრიტც ევერტი	4:1
750-ე	18.6.1992	ჰოლანდია	რონ ვიჩგე	გოდო ილგნერი	1:3
მე-1000	29.3.2011	ავსტრალია	დევიდ კარნი	ტიმ ვიზე	1:2

საინტერესოა ისიც, რომ გერმანიის ნაკრებმა არსებობის ისტორიაში მე-1000 გოლი გაუშვა. ეს შეხვედრის 61-ე წუთზე მოხდა და მისი ავტორი ავსტრალიელი **დევიდ კარნია**. ბუნდესგუნდს პირველი გოლი 1908 წელს შვეიცარიელმა **ჰანს კემპფერმა** გაუტანა, 103 წლის, ანუ, მთელი საუკუნის შემდეგ კი, გერმანელებმა მეათასე გოლი ავსტრალიელისგან მიიღეს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს გოლი ყველაზე მტკივნეული იყო გერმანიის ნაკრების ისტორიაში. ბუნდესნაკრების კარში გატანილი 1001 გოლიდან, გერმანელებისთვის ყველაზე ავადგასახსენებელი შემდეგი გოლებია: 1966 წლის „უემბლის გოლი"; 1986 წლის მუნდიალის ფინალში არგენტინელი **ბურუჩაგას** მიერ გატანილი გოლი; 2006 წლის მუნდიალის ნახევარფინალში, იტალიელი **ფაბიო გროსოს** მიერ მატჩის 119-ე წუთზე გატანილი გოლი და 2010 წლის მუნდიალის ნახევარფინალში **კარლეს პუიოლის** გოლი, რომელმაც გერმანია ფინალს მიღმა დატოვა...

შალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაული: 2012 წლამდე აქ ვარ!

მერე რა, რომ მაგათი წავიდა? რაული რჩება! პროფესორი კი ბალასტს მოიშორებს

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც რაული „რეალიდან" „შალკეში" გადასვლას დათანხმდა, **ფელიქს მაგათი** იყო და მიუხედავად იმისა, რომ „დესპოტი ფელიქსი" „შალკეს" მთავარი მწვრთნელისა და მენეჯერის თანამდებობიდან გაათავისუფლეს, რაული **ლევან ყენიას** კლუბიდან წასვლას არ აპირებს. გონსალეს ბლანკო ამბობს, მე კონტრაქტი მაგათთან კი არა, „შალკესთან" გავაფორმეო.

„გელზენკირხენიდან წასვლას არ ვაპირებ. „შალკესთან" კონტრაქტი 2012 წლამდე მაქვს გაფორმებული და ზუსტად ვიცი, რომ ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე აქ ვითამაშებ," - განაცხადა რაულმა „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. შეგახსენებთ, მაგათის „შალკედან" წასვლის შემდეგ, გავრცელდა სპეკულაციები, რომ ზაფხულში გელზენკირხენულ კლუბს რაულიც დატოვებდა.

„ცხადია, ჩემი დარჩენა იმაზეცაა დამოკიდებული, სურს თუ არა კლუბს ჩემი შენარჩუნება, მაგრამ ჩემთვის არავის უთქვამს, აღარ გვჭირდებიო და ვფიქრობ, ამას არც არავინ მეტყვის," - აგრძელებს რაული. ესპანელი თავდამსხმელის გაყიდვის თემა იმიტომ წამოიჭრა, რომ რაული „შალკეს" ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოთამაშეა და იმის გამო, რომ გუნდი გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვერ იასპარეზებს და შესაბამისად, უეფასგან მილიონებს ვეღარ მიიღებს, კლუბის ბოსები ახალ მწვრთნელ **რალფ რანგნიკს**, სავარაუდოდ, სახელფასო ფონდის შემცირებას მოსთხოვენ.

თუმცა რაული აღიარებს, რომ ფელიქს მაგათთან ძალიან კარგი, განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. *„შალკეში" სწორედ მან გადმომიყვანა. ფელიქსმა დამარწმუნა, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადამედგა და მერე, რვა თვის განმავლობაში მენდობოდა, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ. ფელიქსს ამასწინათ ტელეფონით ვესაუბრე და ყველაფრისთვის მადლობა გადავუხადე,"* - ამბობს რაული.

ესპანელის მიზანი, პირველ რიგში, გერმანიის თასის მოგებაა. შეგახსენებთ, რომ „შალკე" თასის ფინალშია, რომელიც 21 მაისს გაიმართება. გარდა ამისა, გელზენკირხენული კლუბი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშიცაა, სადაც მილანის „ინტერს" ხვდება და აუტსაიდერად მიიჩნევა.

„შანსები 20/80-ზეა და ცხადია, აუტსაიდერები ვართ, მაგრამ ორი უმნიშვნელოვანესი თამაში გველის და თუ ძალიან მოვინდომებთ, გამორიცხული არაა, რომ გაგვიმართლოს კიდეც," - აცხადებს რაული.

რაული „შალკეს" ახალ მწვრთნელ რალფ რანგნიკსაც კარგად უგებს

რას აპირებს რანგნიკი?

დარწმუნებულები ვართ, რანგნიკს რაულის გაშვებაზე არც უფიქრია, მაგრამ ის ფაქტია, რომ „პროფესორი რალფი" ზაფხულში არაერთ ზედმეტ ფეხბურთელს მოიშორებს. დაიწყო თუ არა მუშაობა, პირველი, რაც თქვა, ის იყო, რომ გუნდში ძალიან ბევრი უსარგებლო ფეხბურთელია. „რურ ნახრიხთენის" ინფორმაციით, რანგნიკი „შალკედან" ძალიან ბევრი ფეხბურთელის გაშვებას გეგმავს. ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ იმაში, რომ ზაფხულში გელზენკირხენულ კლუბს აუცილებლად დატოვებენ **დანილო აველარი, ალი ქარიმი, ანგელოს ხარისტეასი** და **ხუნმინ ჰაო**. მათ „შალკესთან" კონტრაქტები უმთავრდებათ და ფაქტია, რომ რანგნიკი და მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არც ერთთან არ აპირებენ.

პრობლემატურია და კითხვის ნიშნის ქვეშაა **ჩიპრიან დეაცის, ნიკოლა პლესტანის, ვასილეოს პლიციკასის, ჰანს შარპეისა** და **ალექსანდერ ბაუმიოჰანის** მდგომარეობებიც - ამ ფეხბურთელებს „შალკესთან" მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ. ჯერჯერობით გაურკვეველია, რას უპირებს რანგნიკი ნახევარმცველ **ალბერტ შტრაიტს**, რომელიც მაგათმა პირველი გუნდიდან მოკვეთა და რომელსაც „პროფესორი რალფის" დანიშვნის შემდეგ, პირველ გუნდში დაბრუნების იმედი გაუჩნდა. დიდი შანსია, რომ ზაფხულში „შალკედან" **კრისტიან პანდერი** და მეკარე **მათიას შობერიც** წავიდნენ. პანდერი ძალიან კარგი მარცხენა მცველია, მაგრამ უმეტესად ტრავმირებულია და გელზენკირხენულ კლუბს მისი მუქთად შენახვა აღარ უნდა. რაც შეეხება შობერს, ეს უკანასკნელი ამბობს, სათადარიგოთა სკამის ხეხვას ვერ შევეგუებიო. ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას კი მას ვერავინ მისცემს - მიუხედავად იმისა, დარჩება თუ არა გუნდში **მანუელ ნოიერი**.

მოსალოდნელი ტრანსფერები

ჰამბურგი კრაფტს ელაპარაკება

ვინ იქნება მთავარი მწვრთნელი: იონინგი, ოლსენი, სოლბაკენი თუ ლაუდრუპი?

თომას კრაფტი შეიძლება ჰამბურგში გადავიდეს

გუნდესლიგის „უკანასკნელი დინო" „ჰამბურგი", ერთადერთი გუნდია, რომელიც პირველი ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა, მეკარის ძებნას იწყებს. საქმე იმაშია, რომ გუნდის დღევანდელი მეკარე **ფრანკ როსტი** ხელმძღვანელებს გულზე არ ეხატებათ და თანაც, ეს უკანასკნელი ზაფხულში 38 წლის ხდება. შესაბამისად, HSV-ს შეფებმა სერიოზულად დაიწყეს ახალი კიპერის ძებნა და „კიკერის" ინფორმაციით, მათთვის სასურველი მეკარეების სიაში პირველ ადგილზე „ბაიერნის" პირველი ნომერი **თომას კრაფტია**, რომელიც ზაფხულში, შესაძლოა, უფასო იყოს.

გუნდის ბოსებმა როსტზე (419 თამაში ბუნდესლიგაში) პირველ რიგში მისი ასაკის გამო აიცრუეს გული და ესეც რომ არ იყოს, ფრანკი ყოველთვის კრიტიკულია ხელმძღვანელობის მიმართ, რაც მათ ასევე არ მოსწონთ. რაც შეეხება კრაფტს: „ბაიერნის" ახალგაზრდა მეკარეს რეკორდმაისტერთან კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება და მიუნხენური გრანდის ხელმძღვანელებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ, კარს მომავალ სეზონშიც მას ანდობენ თუ ახალი მეკარის ყიდვას ეცდებიან. ფაქტია, რომ 22 წლის კრაფტი „ბაიერნის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არაფრისდიდებით არ დათანხმდება და რაკი ტენდენცია იმაზე მიუთითებს, რომ ბავარიელები ზაფხულში ახალ გოლკიპერს შეიძენენ, „ჰამბურგს" კრაფტის ხელში უფასოდ ჩაგდების ძალიან კარგი შანსი გაუჩნდა. „კიკერის" ცნობით, ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსებმა კრაფტის აგენტთან უკვე გამართეს პირველი მოლაპარაკებები...

პარალელურად, ჰამბურგის შეფები დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, თუ ვინ უნდა იყოს გუნდის მთავარი მწვრთნელი მომდევნო სეზონში. HSV-ს ამჟამად **არმინ ფეეს** ყოფილი ასისტენტი **მიხაელ იონინგი** წვრთნის, რომლის პოსტზე დატოვება ნაღდად არ არის გამორიცხული, მაგრამ როგორც ირკვევა, „ჰამბურგის" ახალ სპორტულ დირექტორ **ფრანკ არნესენს** მიაჩნია, რომ უმჯობესია, გუნდი სკანდინავიელ მწვრთნელს ჩააბაროს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, არნესენის ფავორიტები მისი თანამემამულე **მიქაელ ლაუდრუპი** და ნორვეგიელი **სტალე სოლბაკენი** არიან. გაირკვა, რომ არნესენი ორივეს შეხვდა და ესაუბრა. მათ გარდა, არნესენი დანიის ნაკრების თავკაც **მორტენ ოლსენზეც** სერიოზულად ფიქრობს.

რუდი და გიუნდოგანი დორტმუნდში?

უნდათ, თუ არ უნდათ, დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელებს ზაფხულში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ყიდვა მოუწევთ, რადგან BVB-მ ჩემპიონთა ლიგაში უნდა იასპარეზოს, ეს შემადგენლობა კი ორმაგ დატვირთვას და კვირაში ორ-ორ თამაშს ვერ გაუძლებს.

გაზეთ „დერ ვესტენის" ინფორმაციით, **იურგენ კლოპმა** გუნდის ხელმძღვანელებს ზაფხულისთვის ორი ფეხბურთელი მოსთხოვა: „ნიურნბერგის" ნიჭიერი გამთამაშებელი **ილქაი გიუნდოგანი** და „ჰოფენჰაიმის" ცენტრალური ნახევარმცველი **სებასტიან რუდი**. ორივე კრეატიული ნახევარმცველია და როგორც გიუნდოგანს, ისე რუდის, ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლიათ თამაში. კლოპს ეს ფეხბურთელები სწორედ ამის გამო მოსწონს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცი

უცხოური ფეხბურთი

● არშემდგარი ლოკაუტი

გაფიცვა არ იქნება

მოსამართლე ვერდიქტს აცხადებს

ამ შაბათ-კვირის ტური ესპანურ პრიმერადივიზიონში კალენდრის მიხედვით ჩატარდება - მადრიდის სასამართლომ ესპანეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგას (LFP) გაფიცვის უფლება არ მისცა. ამას წინათ „სევილიას“ ბოსები მედიასთან საუბარში ამბობდნენ, რომ სიტუაცია ესპანურ ფეხბურთში მხოლოდ სატირალი აღარ არის, უკვე ძალზე სასაცილოცაა და მთელი ევროპა დაგვცინის კიდეცო. მართლაც, წარმოიდგინეთ, ორგანიზაცია, რომელიც ჩემპიონატის ორგანიზატორია, თავად არის გაფიცვის წამომწყები, მას კი... კლუბები უჩივიან, ნუ იფიცებითო.

შეგახსენებთ, რომ LFP-ს დადგენილება 30-ე ტურის ივნისში გადადების შესახებ, მადრიდის სასამართლოში 6-მა კლუბმა, „ვილიარეალმა“, „ბილბაომ“, „რეალ სოსიედადმა“, „სარაგოსამ“, „ესპანიოლმა“ და „სევილიამ“, გააპროტესტა. „მარკა“ წერს, რომ სასამართლომ სწორედ „მეამბოხეთა“ მხარი დაიჭირა. მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს - კლუბებში უკმაყოფილებაა იმის გამო, რომ სატელევიზიო ტრანსლაციებიდან შემოსული თანხები ძალზე არათანაბრად ნაწილდება - უდიდესი ნაწილი თანხისა „რეალისა“ და „ბარსელონას“ სალაროებში შედის, სხვა კლუბებს კი გროშებს აძლევენ. ამას ემატება კანონი, რომლის თანახმადაც კვირაში ერთი თამაში აუცილებლად უნდა გადაიცეს უფასო ტელევიზიით და ამ თამაშიდან შემოსავალს კლუბები და ლიგა ვერ ნახულობენ. LFP სწორედ ამ მეორე კანონის წინააღმდეგ გამოვიდა ჯერ კიდევ თებერვალში. მაშინვე გადაწყდა, რომ ლიგა გაიფიცებოდა, თუკი მთავრობა არ დათმობდა - შეთანხმებას ვერ მიაღწიეს და 29-ე ტურის შემდეგ LFP-მ ერთტურიანი ლოკაუტი გამოაცხადა, მაგრამ ახლა კლუბებმა უჩივლეს...

ამ ტურში ყველაზე საინტერესო მატჩი ვალენსიის მხარეში, „ელ მადრიგალზე“ შედგება, სადაც მესამეადგილოსანი „ვილიარეალი“ ჩემპიონ „ბარსელონას“ უმასპინძლებს. თუკი იქ „ბარსას“ ფეხი დაუცდება, საჩემპიონო რბოლა უკიდურესად დაიძაბება, ახლა კი კატალონიელები „რეალს“ 5 ქულით უსწრებენ.

● ფურია როხა

მოგება კარტოფილის ყანაში

ესპანეთის ნაკრებმა შარშანდელ მუნდიალს ბრწყინვალე შედეგით უნია - ყველა საკვალიფიკაციო მატჩი მოიგო, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდი იმავეს გაკეთებას ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც აპირებს - „ლა ფურია როხამ“ Ო თამაშიდან ყველა მოიგო. სამშაბათს ესპანელებმა მეტოქე ლიტვასთან ბრძოლაზე მეტი ენერგია კაუნასის სტადიონის საფართან ბრძოლას შეალიეს, რომელსაც მხოლოდ ფორმალურად ერქვა მინდორი (ესპანელებმა მას „კარტოფილის ყანა“ უწოდეს), მაგრამ მაინც 3:1 მოიგეს.

საოცარია, მაგრამ ბოლოს ესპანელებიც დათანხმდნენ იმ მინდორზე თამაშს, რომელიც მწვანის ნაცვლად ყავისფერი იყო და უეფამაც დაადასტურა - თამაში შეიძლებაო. ესპანელთა გამოცდილმა თავკაცმა შემადგენლობაში ცვლილებებს მიმართა - დაცვის მარჯვენა ფლანგზე **ანდონი ირაოლა** გაამწესა, საყრდენ ნახევარმცველად **ხავი მარტინესი**, ცენტრფორვარდად კი - **ფერნანდო ლორენტე**. მოკლედ, დელ ბოსკემ ერთდროულად სამი ბილბაოელი შეუშვა და ბასკთა რიცხვმა სასტარტოში 5-ს მიაღწია (**არბელოა** და **ჩაბი ალონსო**). მარჯვენა შემტევ ფორვარდად **სანტი კასორლამ** ითამაშა, მარცხნივ - **დავიდ ვილიამ**. ნახევარდაცვას **ჩავის** ბრწყინვალე თამაში კრავდა, არბელოამ დაცვის მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა, დელ ბოსკემ ცენტრში **ალბიოლისა** და **პიკეს** წყვილიც მოსინჯა. მოკლედ, ცვლილებები საკმარისი იყო.

ლიტვა-ესპანეთის მატჩის სიუჟეტი მოკლედ რომ აღვწეროთ ასეთი რამ გამოგვივა - პირველ ტაიმში ჩავის დარტყმული მცველს მოხვდა და რიკოშეტით შევარდა ლიტველთა კარში, თუმცა „ვალენსიაში“ მოთამაშე **მარიუს სტანკევიჩიუსმა** გაათანაბრა. ესპანელებს გამარჯვებაში ტადას კიანსკასის ავტოგოლი დაეხმარა, რასაც მოჰყვა შეცვლაზე შესული **ხუან მატას** გოლიც.

ესპანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთ სათამაშო სტილს არ უღალატეს და ჯიუტად ცდილობდნენ მოკლე პასებით ფონს გასვლას, რასაც ხელს საშინელი საფარი უშლიდა. მიუხედავად ამისა, პირველი ტაიმის დასაწყისში „ფურია როხას“ უპირატესობა იყო სრული. ამიტომაც არავის გაუკვირდა, როცა მე-20 წუთისთვის ესპანელები დაწინაურდნენ - „ბარსელონელებმა“ ვილიამ და ჩავიმ ერთმანეთში გაითამაშეს ბურთი და ამ უკანასკნელის დარტყმა **ანდრიუს შკერლას** მოხვდა, მიმართულება იცვალა და კარში აღმოჩნდა. სტუმრებს გაუმართლათ, თუმცა დამსახურებულად.

ლიტველებმა ფონს გასვლა კონტრშეტევებით სცადეს, რომლებსაც ტაიმის მეორე ნახევარში შეტევებიც მოაყოლეს და მსოფლიოს ჩემპიონს უკან დაახევინეს, თუმცა რაიმე ღირებული ნამდვილად ვერ შექმნეს, აი, ფერნანდო ლორენტეს კი ნამდვილად მართებდა ანგარიშის ორამდე გაზრდა - კასორლას პასის შემდეგ ბასკის დარტყმულს **კარჩემარსკასი** გადაეღობა.

57-ე წუთზე მასპინძლებმა რაულ ალბიოლის შეცდომის გამო გაათანაბრეს, ბურთი სტანკევიჩიუსმა ჩაიგდო და დაბალი დარტყმით **კასილიასის** კარი დალაშქრა - 1:1. თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათი რჩებოდა, მინდვრის საფარი და მაყურებელი ლიტველთა მხარეს იყო, თითქოს, სენსაციაც მომწიფდა...

ასეთი იყო მოედანი

ესპანელები გოლს ხარობენ

დელ ბოსკემ უმალ **სილვა** და მატა ჩართო საქმეში. 70-ე წუთზე ჩავიმ მარცხენა ფლანგზე მატა მოძებნა, რომელიც ლორენტესთვის აწოდებდა, მაგრამ **კიანსკასმა** მეტისმეტი მოინდომა და საკუთარი გოლკიპერი დაამწუხრა. ეს იყო თამაშის გადამწყვეტი მომენტი. ლიტვას აღარ შეეძლო მსოფლიოს ჩემპიონთან მატჩში მეორედ გაეთანაბრებინა ანგარიში, მასპინძელთა გუნდი დაიღალა და ესპანელებმაც პატარა სასწაული ამ ტალახიან მოედანზეც აჩვენეს - ჩავი-სილვა-მატას ულამაზესი კომბინაცია „ფურია როხას“ მესამე გოლით დასრულდა. უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ ევრო 2012-ზე ესპანეთის ნაკრებს ვიხილავთ, საინტერესოა, როდაცვაში დიდებულად იმოქმედა, არადა, თითქოს, მოედანს ამის საშუალება არ უნდა მიეცა.

ჩავი (ესპანეთი): *„მინდორზე ბალახი არ იყო საერთოდ - ირგვლივ სულ ქვიშა. და ეს ხდება 2011 წელს? ასეთი მოედანი არის ფეხბურთის შეურაცხყოფა. ასეთი საფრის მიუხედავად, გუნდმა ითამაშა დიდებულად. მიზანი მიღწეულია - ორ თამაშში 6 ქულა ავიღეთ და ევროპის ჩემპიონატამდე ერთი ნაბიჯიღა გვაშორებს“.*

ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი): *„ვაჯობეთ ძალიან მამაც მეტოქეს, რომელიც იბრძოდა უკანასკნელ წუთამდე. ბედნიერები ვართ, რადგან ევრო 2012-ის ფინალური ეტაპისკენ უდიდესი ნაბიჯი გადავდგით წინ. არა მგონია, რომ ეს გუნდი უფრო სუსტი იყო, ვიდრე ის, რომელმაც გრანადაში ჩეხები დაამარცხა“.*

რაიმონდას ჟუტაუტასი (ლიტვა): *„შედეგი არ არის კარგი, რადგან ვერ შევასრულეთ ჩვენი სათამაშო გეგმა. მაგრამ ვიბრძოლეთ, რამდენიც შეგვეძლო. ამისთვის მადლობა ბიჭებს. ვფიქრობ, ვპროგრესირებთ და მეორე ადგილის დაკავების შანსი არ დაგვიკარგავს“.*

ვისენტე დელ ბოსკემ 37-ე მატჩი მოიგო, როგორც ესპანეთის ნაკრების თავკაცმა. მან ერთი მოგებით გაუსწრო **ხავიერ კლემენტეს**, რომელმაც 1992-1998 წლებში „ფურია როხას“ 36 მატჩი მოაგებინა. 38 მატჩი მოიგო **ლუის არაგონესმა**. დელ ბოსკეს გუნდმა 101 გოლი გაიტანა და მხოლოდ 30 გაუშვა.

ესპანეთის ნაკრებს ევრო 2012-ის I ჯგუფში სამი მატჩიღა დარჩა გასამართავი. მისი დანევის თეორიული შანსები შოტლანდიასა და ლიტვასაც შერჩათ, თუმცა უფრო პრაქტიკული ჩეხთა შანსია - ჩეხები „ფურია როხას“ 6 ქულით ჩამორჩებიან. დელ ბოსკეს გუნდი 6 სექტემბერს ლიხტენშტაინს უმასპინძლებს და ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ყველა კითხვას (თუკი ასეთი დარჩა) პასუხიც მაშინ გაეცემა. 7 ოქტომბერს ესპანელები ჩეხეთს ესტუმრებიან, ხოლო 11-ში შოტლანდიელებს მასპინძლობენ.

ესპანეთის ნაკრები ამ შესარჩევ ციკლში

მეკარე: იკერ კასილიასი (5 თამაში, - 5 გოლი).

მცველები: სერხიო რამოსი (5 თ), ჟერარდ პიკე (5 თ), ხოან კაპდევილა (4 თ), კარლოს მარჩენა (3 თ), ალვარო არბელოა (3 თ), რაულ ალბიოლი (1 თ), ანდონი ირაოლა (1 თ).

ნახევარმცველები: ანდრეს ინიესტა (4 თ, 1 გ), ჩაბი ალონსო (4 თ), სერხიო ბუსკეტსი (4 თ), სანტი კასორლა (4 თ), ჩავი (3 თ, 1 გ), ხუან მატა (1 თ, 1 გ), ხავი მარტინესი (1თ), ხესუს ნავასი (1 თ).

თავდამსხმელები: დავიდ ვილია (5თ, 4 გ), დავიდ სილვა (4 თ, 2 გ), ფერნანდო ლორენტე (3თ 3 გ), ფერნანდო ტორესი (2თ 2გ).

ამ შესარჩევ ციკლში ჯერ არ უთამაშიათ ისეთ ფეხბურთელებს როგორებიც **ვიქტორ ვალდესი, კარლეს პუიოლი** და **სესკ ფაბრეგასი** არიან.

● ამბები

მესი არც ვილიარეალთან

„ბარსელონას“ გულშემატკივრებმა ამერიკიდან ცუდი ამბავი შეიტყვეს, **ლიონელ მესიმ** იქ კოსტა რიკასთან ამხანაგურ მატჩში მონაწილეობა ტრავმის გამო ვერ მიიღო და ის ვერც „ელ მადრიგალზე“ იქნება პრიმერადივიზიონის 30-ე ტურის ცენტრალურ მატჩში „ვილიარეალის“ წინააღმდეგ. არგენტინის ნაკრებმა 0:0 ითამაშა კოსტა რიკასთან. არგენტინელთა თავკაცი **სერხიო ბატისტა** მიიჩნევს, რომ მან უბრალოდ არ გარისკა მესის ჯანმრთელობით, თუმცა ნაკრების ექიმები ამბობენ, რომ მესიმ „ვილიარეალთან“ მატჩშიც უნდა დაისვენოს. ვფიქრობთ, იმავე გადაწყვეტილებას მიიღებს „ბარსას“ სამედიცინო შტაბიც, რადგან გუნდს კარს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი მოადგა „შახტართან“ და მესის ჯანმრთელობით გარისკვა მართლა არ ღირს.

კოკე ნახევარ პრიმერას მოსწონს

მადრიდის „ატლეტიკო“ სეგუნდადივიზიონის ლიდერის, „რაიო ვალეკანოს“ მცველ **კოკეს** თამაშით არის მოხიბლული და დიდი შანსია, ზაფხულში კოკე მადრიდში აღმოჩნდეს. 23 წლის კოკე „რაიო ვალეკანოს“ აღზრდილია, 2007 წლიდან ამ კლუბში თამაშობს და უკვე 100-ზე მეტი მატჩიც ჩაატარა. სხვათა შორის, „ატლეტიკოს“ გარდა კოკეს შეძენა „სევილიას“, „ვილიარეალსა“ და „სპორტინგსაც“ სურთ.

რაიო აჯანყდა

სეგუნდადივიზიონის ლიდერი „რაიო ვალეკანო“ ისეთ ფინანსურ კრიზისშია, რომ ფეხბურთელებს უკვე ყელში ამოუვიდათ დაპირებები და შესაძლოა, მომავალ ტურში თამაშზე უარი თქვან კიდეც. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი დღიდან ისინი ვარჯიშებზე აღარ დადიან.

კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ სამი შესაძლო მყიდველი შერჩეულია და უკვე ამ კვირაში შეიძლება ერთ-ერთმა კრიზისში მყოფი „რაიო ვალეკანო“ შეიძინოს კიდეც. კლუბის პრეზიდენტმა **მარია ტერესა რივერომ** ისიც კი განაცხადა, რომ თუ „რაიო“ „ბეტისს“ დაამარცხებს, ახალი ინვესტორი მადრიდულ კლუბთან ხელშეკრულებას გააფორმებს, მაგრამ ფეხბურთელები უკან დახევას არ აპირებენ, მათ ლამაზი სიტყვების ნაცვლად საქმე სჭირდებათ.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-ხორვატია

სლავენ ბილიჩი: ქართველებს დავუმტკიცებთ...

ხორვატია ივნისის მოლოდინში

საფრანგეთი-ხორვატია 0:0

საფრანგეთი: ლორისი – რევეიერი, რამი (სახო 90), მექსე, კლიში – მატუიდი (მვილა 87), ა. დიარა, ნასრი (გურკუფი 87), მალუდა (რიბერი 59) – ბენზემა (გამეირო 75), მენეზი (რემი 60)

ხორვატია: რუნიე (პლეტიკოშა 46) - სრნა (ვიდა 80), შიმუნიჩი, ლოვრენი, ჩორლუკა - პერიშიჩი (პეტრიჩი 71), ვუკოვიჩი, კრანჩარი, პრანიჩი (სტრინიჩი 24/რაკიტიჩი 46), მოდრიჩი - ელიავიჩი (ჯალინიჩი 56)

მაყურებელი: 70 000

მსაჯი: ალან კელი (შოტლანდია)

საფრანგეთისა და ხორვატიის უგოლო ფრის შემდეგ ბალკანელთა გულშემატკივრები ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთი ნაწილი უკმაყოფილოა მათი ეროვნული გუნდის ასპარეზობით, მეორე პირიქით, საქართველოსთან წაგების შემდეგ ფრანგებთან მიღწეული შედეგით დაკმაყოფილდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ **სლავენ ბილიჩის** შეგირდებმა უკანასკნელი შეხვედრა ისევ სუსტად ჩაატარეს. ბილიჩი ეროვნულ ნაკრებში უკვე 5 წელია მუშაობს. ამ დროის განმავლობაში სულ 5 მატჩი წააგო. დაგვეთანხმებით, ძალიან ბევრი მწვრთნელი დაიტრაბახებდა ამ შედეგით, მაგრამ ხორვატებში მაქსიმალისტები ჭარბობენ და მწვრთნელისგან კონკრეტულ პასუხებს ითხოვენ. მაგალითად, რატომ გაატარა 90 წუთი მინდორზე საქართველოსთან **მლადენ პეტრიჩმა**, ფეხბურთელმა, რომელსაც პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. რატომ იყო, რომ ფრანგმა შემტევებმა ლამის გადაქელეს ხორვატი მცველები? ისინი აცხადებენ, რომ არა **სტიპე პლეტიკოშა** და **იოსიპ შიმუნიჩი, ლორან ბლანის** ბიჭები აუცილებლად გაიტანდნენ გოლსო – ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება ახლოს დგას სიმართლესთან. ზემოთ ნახსენებ ორ ფეხბურთელთან ერთად ფანებს პრეტენზია მხოლოდ **ლუკა მოდრიჩთან** არ აქვთ. მიუხედავად ამისა, ბილიჩმა მატჩის შემდეგ ერთი კრიტიკული ფრაზაც კი არ გაიმეტა შეგირდების მისამართით. აი, რა განაცხადა მან: *"შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ჩვენი უტეხი ხასიათი გამოვაჩინეთ. მინდა მივულოცო ფეხბურთელებს, რომ მათ მოახერხეს ძალების მოკრება იმის მიუხედავად, რომ მატჩამდე მათი განწყობა თითქოს სკეპტიკური იყო. პარიზული მატჩი კარგი საშუალება იყო რეაბილიტაციისთვის.*

ფრანგების ასეთი დომინირება არ გამკვირვებია, რადგან ისინი ამას ყოველთვის ახერხებენ საშინაო მატჩებში. ჩვენ სერიოზული წინააღმდეგობა გავუწიეთ მეტოქეს, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ დაცვაში მოვიკოჭლებდით. გავითვალისწინოთ, რომ სანაკრებო მატჩებისას წნეხი ფანების მხრიდან ძალიან დიდია. ჩვენი ყოველი წაგება ხომ ხორვატიაში დიდი დრამატიზმით აღიქმება.

ისრაელი-საქართველოს მატჩის ანგარიში არავისთვის მიკითხავს, რადგან მიმაჩნია, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ ჩვენს ხელშია. ივნისში ქართველებს დავუმტკიცებთ, რომ მათთან თამაში უბრალოდ ძალიან ცუდ დროს მოგვიხდა.".

მატჩი ძალიან დაძაბული აღმოჩნდა, რისი შედეგიც იყო ის, რომ რამდენიმე ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო, მაგალითად, 24-ე წუთის შემდეგ თამაში ვერ განაგრძო **დანიელ პრანიჩმა**, ვის ნაცვლადაც **ივან სტრინიჩი** შემოვიდა. დაშავებული ფეხის გამო მეორე ტაიმში ეს უკანასკნელიც გამოცვალეს და მარცხენა მცველად თამაში ნომინალურმა მარჯვენა მცველმა **ვედრან ჩორლუკამ** განაგრძო. სიხისტეში არც სტუმრები მოიკოჭლებდნენ, დაშავდნენ **ქარიმ ბენზემა** და **ადილ რამი**. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, მათი ტრავმები სერიოზული არ აღმოჩნდა.

მწვრთნელის მსგავსად საბრძოლო განწყობაა ხორვატ ფეხბურთელებში - ისინიც ივნისს ელოდებიან. თამაშის დასრულებისთანავე ჟურნალისტებთან სასაუბროდ **ნიკო კრანჩარმა** მოიცალა. მის ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

- თბილისში წაგების შემდეგ იმდენად აგზნებული ვიყავი, რომ არც კი ვფიქრობდი ფრანგებთან დაპირისპირებაზე. ვენაში თურქებთან წაგების შემდეგ (20.VI. 2008. 1:1, პენ. 1:3. ევროპის ჩემპიონატის - ფინალი. რედ.) ეს ჩემს კარიერაში ყველაზე მძიმე წაგება იყო. რა იქნება მომავალში? უნდა შევეგუოთ, რომ ეს მატჩი წავაგეთ და დაველოდოთ ივნისს. დარწმუნებული ვარ, ყველაფერს გამოვასწორებთ.

- ნუთუ ნაკრები გულშემატკივართა შორის უკვე აღარ იწვევს ნდობას?

- თუკი ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენთან რამე წესრიგში არ არის, ცდება. იცით, რა? შეიძლება ჩვენ ერთმანეთისთვის არ ვიყოთ საუკეთესო მეგობრები, მაგრამ რაღაც კლანებზე და დაჯგუფებებზე ლაპარაკი სისულელეა. დამერწმუნეთ, ჩვენ საკმაოდ შეკრულნი ვართ საერთო მიზნებისთვის საბრძოლველად და ერთად მივაგნებთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს.

- თქვენი ნდობა მწვრთნელის მიმართ იმდენადვე ძლიერია, როგორც ადრე?

- ფეხბურთელები ბილიჩს დიდად ვაფასებთ, ის ჩვენთვის ავტორიტეტია. რაც თბილისში მოხდა, ეს ცუდი იყო, მაგრამ ასეთი რამეები ყოველთვის მოულოდნელად ხდება. დარწმუნებული ვარ, მსგავსი მომავალში აღარ განმეორდება. ვიცი, რომ ევროპის ჩემპიონატის საგზურს აუცილებლად მოვიპოვებთ.

-რაც შეეხება თქვენს სამომავლო საკლუბო გეგმებს... "ტოტენჰემში" სათამაშო პრაქტიკით განებივრებული არ ხართ.

- არ ვიცი, მივიღებ კონკრეტულ წინადადებას და დავფიქრდები. გააჩნია კიდევ კლუბს და ქვეყანას, საიდან იქნება შემოთავაზება.

- ინგლისიდან წასვლა არ გინდათ?

- არა, ჩემი თვითმიზანი არ არის ინგლისში თამაში.

- ივნისში საქართველოსთან დაპირისპირებას დისკვალიფიკაციის გამო ტოვებთ.

- თამაში სპლიტშია დანიშნული. იმის მიუხედავად, რომ "პოლიუდეს" ჩვენთვის ცუდ არენას მიიჩნევენ და იქ მოუგებელ სერიებზე ხშირად ლაპარაკობენ, ნაკრები მზად არის იქ საასპარეზოდ. თუკი მართლა არსებობს რამე ცუდი აურა და ამის გამო ვერ ვიგებთ, ესე იგი მოვიდა დრო ეს ახლა გავაკეთოთ.

- თანაგუნდელებთან თუ გილაპარაკიათ და მათ თუ უნდათ სპლიტში ასპარეზობა?

- დიახ, ერთხელ ვილაპარაკეთ ამ თემაზე და ბიჭები ამაში პრობლემას ვერ ხედავენ.

● ამბები

იბრა ისევ ფეხებს იძნევს

ზლატან იბრაჰიმოვიჩი გარდა იმისა, რომ თავის ტექნიკურ არსენალს მშვენივრად იყენებს თამაშებისას, ფეხებს ხანდახან "არადანიშნულებისამებრაც" ხმარობს და კარატისტის ტექნიკას უადგილო ადგილას იყენებს, მაგალითად თანაგუნდელებთან ჩხუბში. ალბათ გახსოვთ, რომ მან "მილანელოზე" **როდნი შტრასერი** გალახა, ხოლო **ოგუჩი ონიევუს** ვარჯიშზე ლამის ფეხი მოსტეხა. როგორც შვედური პრესა წერს, იბრა მოლდოვასთან მატჩის წინ (2:1 შვედეთის სასარგებლოდ) ნაკრებში მის თანაგუნდელებზე "გადაერთო". მან და **კრისტიან ვილჰელმსონმა** ბურთი ვერ გაიყვეს, რასაც თავდამსხმელის მხრიდან აგრესია მოჰყვა – ფეხი საჯდომში საკმაოდ მტკივნეულად ამოარტყა. ფაქტი, რომ ფეხბურთელებს საქმის წიხლებით გარჩევა აღარ გაუგრძელებიათ, შვედეთის ნაკრების სხვა ფეხბურთელების დამსახურებაა.

მწვრთნელი 21 აპრილს

გუშინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელსაც ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. შეგახსენებთ, რომ **იური კალიტვინცევი** დღემდე მხოლოდ მოვალეობის შემსრულებლად მიიჩნევა. სხდომის შემდეგ სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ჟურნალისტების წინაშე **გრიგორი სურკისი** წარდგა. გთავაზობთ მის განცხადებას: "ახლა ყველა ელის, რომ ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობას დავასახელებ, მაგრამ ამას ამწუთას ვერ გავაკეთებ. ჩვენ ავწონ-დავწონეთ კანდიდატურები და იმ რამდენიმე პიროვნება ზე შევთანხმდით, რომლებიც შეიძლება რომ დაინიშნონ. საბოლოო გადაწყვეტილება 21 აპრილს გამოცხადდება. იქამდე ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრ კონსულტაციას გავივლით და გავმართავთ მოლაპარაკებებს პოტენციურ კანდიდატებთან".

სურკისმა დაადასტურა, რომ აღმასკომს მხოლოდ რამდენიმე მწვრთნელზე ჰქონდა მსჯელობა. ესენი არიან იური კალიტვინცევი, **ოლეგ ბლოხინი, პაველ იაკოვენკო**, პრეზიდენტმა მხოლოდ გაკვრით ახსენა **მარჩელო ლიპი**.

ლუკასის თანხმობა, მექსეს უარი

"ლივერპულის" ოფიციალურმა საიტმა გუშინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ კლუბმა 28 წლის **ლუკას ლეივასთან** ახალი, ხანგრძლივი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი "ენფილდზე" 2007 წელს **რაფაელ ბენიტესმა** გადაიყვანა. მან მას შემდეგ თავი ვერაფრით შეაყვარა "წითლების" გულშემატკივრებს. ამის მიუხედავად, **კენი დალგლიშმა** ბრაზილიელ ფეხბურთელთან თანამშრომლობის გაგრძელება საჭიროდ მიიჩნია.

გარდა წარმატებისა, ამ გზაზე მერსისაიდელებმა მცირე მარცხიც იწვნიეს. "რომას" ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა **ფილიპ მექსემ** "ლივერპულს" კატეგორიული უარი უთხრა. ფილიპმა არა ზოგადად კლუბის, არამედ ქვეყნის დატოვება არ ისურვა. მას კარიერის იტალიაში გაგრძელება სურს. ხმების თანახმად, მისი სამსახურით დაინტერესებული იყო "არსენალიც". რეალურ კანდიდატურებს შორის მხოლოდ "მილანს" ასახელებენ.

● ჩელსის სამზარეულოში

დიდი ფილი ლონდონში ცხოვრებით კმაყოფილი იყო, სამუშაოთი – არა

სკოლარიმ ხმა ამოიღო

ჩელსის" ყოფილმა დამრიგებელმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ბრაზილიურ ტელევიზიას ინტერვიუ მისცა, სადაც ყოფილ კლუბ "ჩელსის" შიდა სამზარეულოდან საინტერესო ამბები გაიხსენა. სენიორ ლუიშ ფელიპე "სტემფორდ ბრიჯზე" 2008 წლის ივლისში მიიწვიეს. როგორც ჩანს, ლონდონელთა ბოსები მას თავიდანვე ნაკლებად ენდობოდნენ, რადგან ტრანსფერებისთვის სულ რაღაც 8 მილიონი ფუნტი გამოუყვეს, რომელიც "ბარსელონადან" **დეკუს** გადაბირებაში დაიხარჯა. სამხრეთამერიკელმა სპეციალისტმა თანამდებობაზე მხოლოდ თებერვლამდე გაძლო - ის დაითხოვეს. ეს ის ინფორმაციაა, რომელსაც საზოგადოება ისედაც ფლობდა... მაინც რა ილაპარაკა საინტერესო? კი, ბატონო, მოუსმინეთ მას: *"ძალიან მიჭირდა გუნდში თავმოყრილი ამდენი ვარსკვლავის დამორჩილება. ზოგიერთი ფეხბურთელი იქამდეც კი მიდიოდა, რომ პირდაპირ საბოტაჟს მიწყობდა და ჩემს დარიგებებს დემონსტრაციულად არ უსმენდა. მთავარი პრობლემა, რომელსაც გუნდში შევეჯახე, ეს დიდიე დროგბა იყო. მას თავი გუნდის უმთავრესი ფიგურა ეგონა, რომელსაც ჩემი წესების საწინააღმდეგოდ, ძირითადში ადგილი გარანტირებული უნდა ჰქონოდა. მე დროგბას ადრიანოში გაცვლა მსურდა, თუმცა ეს გარიგება პირადად რომან აბრამოვიჩმა დაბლოკა. ძალიან მინდოდა რობინიოს ყიდვაც, თუმცა ამის წინააღმდეგ ისევ და ისევ აბრამოვიჩი წავიდა და საბოლოოდ ის "მანჩესტერ სიტის" დარჩა. ფეხბურთელებს ერთმანეთთან მეგობრობას ვერ მოვთხოვდი, მაგრამ ის, რაც მიხაელ ბალაკსა და დეკუს შორის ხდებოდა, ზღვარს გადადიოდა. გერმანელი, უბრალოდ, არ ელაპარაკებოდა თანაგუნდელს. მიხაელს დეკუსი უბრალოდ შურდა. ბალაკს იმის პრეტენზიაც ჰქონდა, რომ გასახდელში ლიდერი ყოფილიყო, თუმცა იქ ძალიან ბევრი ვარსკვლავი და ძალიან ბევრი ძლიერი ფეხბურთელი იყო, რომ მას ეს მისია ეტვირთა.*

ყველაფრის მიუხედავად, "ჩელსიდან" წამოსვლა ძალიან განვიცადე, რადგან ლონდონი მშვენიერი საცხოვრებელი ადგილია, პრემიერლიგა კი დიდებული ტურნირი. მას მერე მთელი ორი თვე ვიყავი დეპრესიაში და ფეხბურთის გაგონებაც კი აღარ მსურდა".

● მარსელი

ლუჩო მარსელში დარჩება

ბოლო დროს ძალიან ბევრს წერენ "მარსელის" ერთ-ერთ ლიდერ **ლუჩო გონსალესის** სატრანსფერო ამბებზე. ისიც კი ითქვა, თითქოს, მას საფრანგეთიდან წასვლა გადაწყვეტილი ჰქონდა. ფეხბურთელმა კატეგორიულად უაყო ეს ხმები. მისი თქმით, ის კსლუბთან სიამოვნებით გაახანგრძლივებდა კონტრაქტს. *"ჩემს ხელშეკრულებას "ოლიმპიკთან" ვადა ორ წელიწადში გასდის, თუმცა ახალ შეთანხმებას ხვალვე თუ შემომთავაზებენ, მზად ვარ, ამ წინადადებაზე დავფიქრდე. მარსელში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და სხვა ქალაქში საცხოვრებლად გადასვლის პერსპექტივა არ მხიბლავს,"* – განაცხადა ფეხბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ "ველოდრომზე" არგენტინელი 2009 წელს "პორტუდან" გადავიდა. ფრანგებს მისი ტრანსფერი 18 მილიონი ევრო დაუჯდათ.

● ლიონი

ფიქრები გარაიზე

აღმოჩნდა, რომ "რეალის" არგენტინელი ცენტრალური მცველი **ესეკილ გარაი** "ლიონის" სატრანსფერო გეგმების ნაწილია. ესპანური გამოცემა "ასის" მტკიცებით, ფრანგები მზად არიან 24 წლის ფეხბურთელში 10 მილიონი ევრო გადაიხადონ. იმავე გაზეთის მტკიცებით, ეს თანხა საკმარისი არგუმენტი უნდა იყოს სამეფო კლუბის ხელმძღვანელობისთვის, რათა მათ სამხრეთამერიკელი "ლიონს" დაუთმონ. გარაის კონტრაქტს ვადა 2014 წელს გასდის. თუმცა მოსალოდნელია, რომ ფეხბურთელისთვის ბრძოლაში "ვოლფსბურგი", "მილანი" და "ვილიარელიც" ჩაებმებიან. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელმა სულ რაღაც 2 მატჩი ჩაატარა. ის უთამაშებლობით აშკარად შეწუხებულია.

ფრანგული პრესის მტკიცებით, "ლიონის" ბრაზილიელ მარცხენა მცველ **მიშელ ბასტოსს** "იუვენტუსის" გარდა "ტოტენჰემიც" ეკურკურება. ლონდონელები ამ ფრონტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გააქტიურდებიან, თუკი გაირკვა, რომ ისინი თავის უელსელ ვარსკვლავ **გარეთ ბეილს** ვერ შეინარჩუნებენ.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● წყალბურთი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ფავორიტმა პოზიცია განიმტკიცა

თბილისი. ოლიმპიადის აუზი. 30 მარტი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

საქართველო-საბერძნეთი 8:11

3:3, 3:4, 1:3, 1:1

საქართველო: 1. ზურაბ ჭუმბურიძე (ლიგამუსი), 2. გალაქტიონ ლაითაძე (თბილისი, 1 ბურთი), 3. მარკო ელაჩა (რიეკას პრიმორიცა, ხორვატია,), 4. იოვან პოპოვიჩი (ლიგამუსი), 5. მარკო კორდიჩი (ლიგამუსი,2), 6. გიორგი ხვედელიანი (ლიგამუსი), 7. რევაზ ჩომახიძე (ლიგამუსი, 1), 8. მიხეილ ბაღათურია (თბილისი, 2), 9. ზურაბ რურუა (კ. ლიგამუსი), 10. კონსტანტინე გეგელაშვილი (ლიგამუსი), 11. ტატო ნიკოლეიშვილი (ლიგამუსი), 12. მარკო ელეზი (ბრესშია, იტალია, 2), 13. ალექსანდრე ნამორაძე (თბილისი). მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი, მწვრთნელი მირიან ასათიანი.

საბერძნეთი: 1. ფილიპოს კარამპეტსოსი (პანათინაიკოსი), 2. ემანუილ მილონაკისი (ოლიმპიაკოსი, 1), 3. არტინ ელმისიანი (ვოულიაგმენი, 1), 4. ანდრეას მირალისი (პანიონიოსი), 5. ევანგელოს-იოანის დელაკასი (ოლიმპიაკოსი, 1), 6. არგირის ტეოდოროპოულოსი (ოლიმპიაკოსი), 7. ხრისტოს ასროდაკისი (ოლიმპიაკოსი), 8. გეორგიოს ტიკასი (ოლიმპიაკოსი, 4), 9. კონსტანტინოს მოურიკისი (პანიონიოსი, 2), 10. იოანის ფოუნტოულისი (ოლიმპიაკოსი, 2), 11. ავრაამ ალიჩანდისი (ლარისა), 12. მატეოს ვოუგარაკისი (ვოულიაგმენი), 13. სტილიანოს პროტონოტარიოსი (ვოულიაგმენი). მთავარი მწვრთნელი დრაგან ანდრიჩი, მწვრთნელი კონსტანტინოს ვამიაკირისი.

მსაჯები: გერვინ რეინინკი (გერმანია) და გემ ფალიკრაჩი (თურქეთი).

დელეგატი: ბულგარელი ანდრეი კონსტანტინოვი.

საბერძნეთის წყალბურთელთა ნაკრები მეშვიდე წელიწადია, სპორტის ამ სახეობის მსოფლიო ელიტაში შედის. ამდენად, ის კონტინენტის E შესარჩევ ჯგუფში თავიდანვე ფავორიტად მიიჩნეოდა. ელადელებმა გუშინ ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, თუმცა, საქართველოს ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრისხანე მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია – უფრო მეტიც, პირველ და მეორე მეოთხედებში არაფრით ჩამოუვარდებოდა სტუმრებს. დარჩენილ დროში კი გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

„ოლიმპიკის“ აუზში თავიდან ბერძნები დაწინაურდნენ 2:0, მაგრამ პერიოდის ბოლომდე **ჩომახიძემ, კორდიჩმა** და **ბაღათურიამ** სამი ბურთი გაიტანეს. პირველი რვაწუთიანი მონაკვეთი მაინც ფრედ დამთავრდა (3:3) – წონასწორობა **ელმისიანმა** აღადგინა. მეორე პერიოდიც დაძაბულად წარიმართა. ელინელები შესვენებამდე ერთბურთიანი სხვაობით გავიდნენ წინ. მატჩში გადამწყვეტი მესამე პერიოდი აღმოჩნდა. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, სერბი **დრაგან ანდრიჩის** შეგირდებმა ის ორბურთიანი უპირატესობით (3:1) მოიგეს. საბოლოოდ ჯგუფის ფავორიტმა 11:8 გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში ერთპიროვნულად დაწინაურდა. ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა ათენში გაიმართება.

ვაჟა დანელია

● ფარიკაობა

მარდალეიშვილის მარდად მოქნეული ხმალი

მიხეილ მარდალეიშვილი (მარჯვნიდან მეორე)

იორდანიაში დაიწყო კადეტ და იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს 9 სპორტსმენი ასპარეზობს. იუნიორ მოხმალავეებში წარმატებით გამოვიდა თანატოლთა შორის მსოფლიოს და ევროპის თასების სამგზის პრიზიორი **მიხეილ მარდალეიშვილი.** მან ზედიზედ სძლია ერაყელ **ალ ფილფ ბასიმს** (15:9), ბელარუს **სერგეი კისელს** (15:7), ამერიკელ **ჯეფრი ლოსს** (15:11), გერმანელ **იანიკ ოფერკიხს** (15:11) და ნახევარფინელში გავიდა, სადაც იტალიელ **ლუკა კურატორისთან** დამარცხდა 13:15 და საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს ფარიკაობაში პირველი მედალია ამ რანგის შჯიბრებებში.

დღეს იუნიორებში **ლუკა ღაღანიძე** (რაპირა) მოსინჯავს ძალებს. პირველი აპრილიდან კი საფარიკაო ბილიკებზე კადეტები გავლენ: **სანდრო ბაზაძე, ლაშა მიქელაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, თათია აფციაური** (ოთხივე-ხმალი) და **არჩილ უგულავა** (რაპირა).

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

ბასილაშვილი ისევ ამერიკაში გაამოჩნდა

28 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (232) თვეზე მეტი კომერციული ტურნირების გარდა არსად გამოდიოდა. მისი დაბრუნება საერთაშორისო ასპარეზზე ესპანურ მონსონში შედგა, თუმცა დაბრუნებას წარმატებულს ვერ ვუწოდებთ - მაკა 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრად იყო განთესილი, მაგრამ ვერ შეძლო ძირითადში გასვლა. ორი შეხვედრის მოგების შემდეგ ჩახნაშვილი პორტუგალიელ **ჟოაო კოელერთან** (286) დამარცხდა - 4:6, 5:7. ჩვენებური წყვილთა ბადეში ხორვატ **ივანა ლისიაკთან** (241) ერთად თამაშობს. პირველ წრეში მათ მე-4 ნომრად განთესილი რუსები (**ბრატჩიკოვა, ივანოვა**) დაამარცხეს - 6:4, 1:6, 10:6. მეოთხედფინალში მათი მეტოქე **დენტონისა** (იტალია) და **პივოვაროვას** (რუსეთი) დუეტია.

მოკლედ, წყვილები ჩვენი გოგონების ძლიერ მხარედ იქცა - ჩინურ ვენშანში (50 ათასი დოლარი) **ოქსანა კალაშნიკოვამ** (196) ერთეულთა ბადე მალევე მოილია, წყვილებში კი უკრაინელ **ვერონიკა კაპშაისთან** (324) ერთად პირველი წრე დასძლია, ფრანგ **დე გუბერნატისსა** და **ხორვატ მიაჩიკას** მოუგო - 6:4, 4:6, 10:4. მეოთხედფინალში ჩვენებური და უკრაინელი ტაივანელი **ჩანისა** და ბრიტანელი **რობსონის** დუეტს შეხვდებიან.

ნიკოლოზ ბასილაშვილი (705) ოკლაჰომა სიტიში (15 ათასი დოლარი) ტურნირის ძირითად ბადეში 17 წლის ამერიკელ **კრისტოფერ ჰეუორთს** ხვდება, რომელსაც ორგანიზატორებმა „უაილდ ქარდი“ მიანიჭეს. ანთალიის ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გასვლა ვერ მოახერხა **გიორგი რევაზიშვილმა**, რომელიც გათამაშებიდან მე-3 საკვალიფიკაციო წრეში გამოვარდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩემპიონოდ, მაგრამ წარმატებით

ოქრო ისევ წაგვართვეს - მერამდენედ! ახალი თაობა კარგად მოდის

გუშინ დორტმუნდში, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ნაკრებმა ორი ვერცხლი მოიპოვა – **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55) და **დავით მარსაგიშვილმა** (84), თუმცა სწორედ ამ უკანასკნელის ფინალის გამო ეს ტურნირი დიდხანს დარჩება ჩვენი მღელვარების საგნად. სპორტის ამ სახეობაში უნამუსობა აღარ გვიკვირს, მაგრამ რაც აქ მოხდა, იშვიათია - რუსთა ფალავან **ანზორ ურიშევს** იმდენად დაუმსახურებელი ქულა მისცეს, რუსულ საჭიდაო ფორუმებზე იქაურებმაც კი აღიარეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მარსაგიშვილს გამარჯვება წაართვეს, როგორც ორი წლის წინ - ბერძენ-რომაელ **მანუჩარ ცხადაიას** (66). ასე შეინარჩუნა რუსთა ყაბარდოელმა ათლეტმა ურიშევმა შარშან მოპოვებული ტიტული, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) დიდმოხელეთა უნამუსობა კი სანამდე შეიძლება მივიდეს? ახი იქნება, მსგავსი რამეებისთვის ჭიდაობა საერთოდ რომ ამოიღონ ოლიმპიადის პროგრამიდან, რაზეც წლების წინ კულუარებში მართლაც ლაპარაკობდნენ.

ცხადია, მომხდარი ძალიან ცუდია, მაგრამ შედეგების ვიწრო ჭრილს თუ თავს დავანებებთ და ჩემპიონატს უფრო გლობალურად განვიხილავთ, ბოლო წლების პესიმიზმი, რომელმაც ლამის წაგებულის სინდრომამდე მიგვიყვანა, თავისუფლად შეგვიძლია, ოპტიმიზმზე გადავცვალოთ. ამის საბაბს ახალი თაობის გამოსვლა გვაძლევს - გერმანიაში ჩვენმა ნაკრებმა სამი მედალი მოიპოვა და სამივე ახალგაზრდების მონაგარია. ამ ორი ვერცხლის გარდა, გუშინწინ **დავით ხუციშვილი** (74) ბრინჯაოს დაეუფლა, ამ ტრიოდან კი ან უკვე ევროპის ვიცე-ჩემპიონები ჯერ ისევ ახალგაზრდულ ნაკრებში ირიცხებიან და წლეულს იქაც უნდა იჭიდაონ. როგორც იქნა, FILA-ამ გუშინწინდელი შეხვედრების ნახვის საშუალება გუშინ მოგვცა და რაც ხუციშვილს ვუყურეთ, კიდევ უფრო მოგვეწონა. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მართებს, მაგრამ უდავოდ დახვენილი ფალავანია, დაცვაში შეუდარებელი. იქნებ ჯერ ცოტა ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, ეს ტრიო ლონდონის ოლიმპიადაზე რომ ვერ გამოვიდეს. გვჯერა, იქაც მხოლოდ მონანილეობისთვის არ წავლენ. მოკლედ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ თაობათა ცვლის პროცესი უმტკივნეულოდ მიმდინარეობს.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე შარშანაც იჭიდავა და, როგორც ეტყობა, ის გამოცდილება ძალიანაც წაადგა. – ამჯერად შეუდარებლად უკეთ გაისარჯა. მან მისთვის ჩვეულ შემტევ, თვალსაჩინო სტილში იჭიდავა, ყველა შეხვედრაში ბლომად აგროვა ქულები ანუ შედეგისა და ესთეტიკის შეხამება მოახერხა, რითაც მაყურებელს თვალსაჩინო სანახაობა შესთავაზა. 19 წლის გორელი ათლეტი პირველ წრეში ისვენებდა და ამიტომ ჩემპიონატზე ოთხი შეხვედრა გამოუვიდა. მან სამივე ორთაბრძოლა ძირითად დროში მოიგო. პირველ ორში კი პირდაპირ გაანადგურა მეტოქეები – ალბანელ **ფლორიან რეხას** ჯამში 14:0 მოუგო ანუ ორივე პერიოდში სუფთად აჯობა, შვეიცარიელი **ურს ვილდი** კი 4:0; 6:0 დაამარცხა. ამით ნახევარფინალში გავიდა, სადაც უკვე ბევრად ძლიერი მეტოქე ელოდა – აზერბაიჯანელთა მოქმედი ევროპის ჩემპიონი **მაჰმუდ მაგომედოვი**. შეგახსენებთ, რომ მას ზუსტად ტურნირის დაწყების წინა დღეს – 28 მარტს დაუმთავრდა დისკვალიფიკაცია, რაც შარშანვე, კონტინენტის პირველობის მოგების შემდეგ მისცეს აზერბაიჯანში რუსთაგან უნებართვოდ გადასვლის გამო. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამჯერად ნახევარფინალამდე უფრო ძნელი გზა ამ ავარელმა გაიარა – სხვებთან ერთად, ახალგაზრდებში თურქი მსოფლიოს ორგზის და ევროპის ჩემპიონი **აჰმედ პეკერი** და ასევე ახალგაზრდებში ევროპის უკრაინელი ვიცე-ჩემპიონი **ნიკოლა აივაზიანი** დაამარცხა. მოლოდინისამებრ, ჩვენებურს მასთან გაუჭირდა, თუმცა მძიმე ბრძოლაში მაინც იმარჯვა – 1:1; 2:1. აი, ფინალში რუსთა ჩეჩენი ევროპის ჩემპიონი **ჯამალ ოთარსულთანოვი** საგრძნობ უპირატესობას ფლობდა. აქ ჩვენებურმა წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწია, რომელიც ფრედ დამთავრდა – 2:2, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით წარმატებად მაინც ჩეჩენს ჩაეთვალა. მეორეში ხინჩეგაშვილი ვერაფერს გახდა და 2:8 დათმო. ამდენად, ქართველი ფალავანი ვერცხლის მედალს დასჯერდა, თუმცა ეს მისთვის მაინც დიდი წარმატებაა. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მზარდია და ეჭვიც არ გვეპარება, მთავარი ჯილდოები წინ ელოდება. მათ შორის – ლონდონის ოლიმპიადაზეც. ახლა მისთვის მთავარი საზრუნავი სწორედ სალიცენზიო შეჯიბრება – შემოდგომაზე სტამბოლში გასამბრთლი მსოფლიოს ჩემპიონატია, სადაც ყოველ წონაში ექვს-ექვსი ლიცენზია გაიცემა.

მისთვის ჩვეულ შემტევ სტილს არც მარსაგიშვილმა უღალატა და ესთეტიკა-შედეგის შეზავებაზე ხინჩეგაშვილთან დაკავშირებით ზემოთქმული მასაც თავისუფლად მიესადაგება. ფინალამდე მან ოთხი შეხვედრა გამართა და ყველა დამაჯერებლად მოიგო – მაკედონიელ **დეიან ბოგდანოვთან**, თურქ **იბრაჰიმ ბოლუკბასისთან**, შვეიცარიელ **მარკო ლუკას რისენთან** და ნახევარფინალში რუმინელ **პიოტრ იანულოვთან**. ამათგან ყველა ორთაბრძოლაში ორივე თუ არა, ერთი პერიოდი მაინც მოიგო დიდი უპირატესობით – 4, 5 და 6 ქულით. შთამბეჭდავია მისი სტატისტიკა - ამ ოთხ მეტოქეს 25 ქულა აართვა, თავად კი მხოლოდ ორი დაკარგა!

ფინალში ჩვენებურმა პირველ პერიოდში საგრძნობლად დაჯაბნა მეტოქე – 4:1 მოუგო, მეორე კი 0:1 დათმო და დადგა ავბედითი დამატებითი დრო. მარსაგიშვილი იქაც 3:1-ს იგებდა, ცოდვის კალო კი ბოლო 8 წამში დატრიალდა – ურიშევმა ჯერ 1-ქულიანი შესვლა გააკეთა, ზედ ბოლო ნამზე კი კიდევ ერთი ქულა მითვალა. თუმცა ამითაც კი ჩემპიონი ჩვენებური ხდებოდა - ანგარიში გათანაბრდა და 3:3 გახდა, მაგრამ რადგან ჩვენებურს სამქულიანი გდება ჰქონდა, პერიოდსაც იგებდა. ყველაფერი თითქოს დღესავით ნათელი იყო - ჩვენი ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე** და მარსაგიშვილის პირადი მწვრთნელი **დავით ხურცია** ლეიბზე შეუუვარდნენ შეგირდს, მსაჯი კი ხელის აწევის რიტუალისთვის ამზადებდა ფალავნებს, როცა რუსებმა გააპროტესტეს, რაც სამსაჯომ კომისიამაც დააკმაყოფილა - ურიშევს ბოლო ილეთი 2-ქულიანად გადაუკეთეს, რითაც ანგარიში 4:3 გახდა მის სასარგებლოდ. ჩვენმა მწვრთნელებმა ბევრი კი იყვირეს, მაგრამ FILA მსგავს შემთხვევებში შეუვალია. ცხადია, მომხდარი ძალზე ცუდია, თუმცა ახლა ამას არაფერი ეშველება და ისევ იმ ხარვეზებზე მივუთითოთ, რამაც მარსაგიშვილი დააღალატა. ესაა სუნთქვა და ფიზიკური მომზადება – მისი მუდმივი მტრები. დამატებით დროში საგრძნობლად დაიღალა და ურიშევს ამიტომ დაუთმო ინიციატივა. ამ ხარვეზის გამოსწორების გარეშე იქნებ მეტოქეს კი მოუგოს, მაგრამ მსაჯებსა დ FILA-ს მაღალჩინოსნებს ვერ მოერევა. ეს პრობლემა მისთვის არახალია.

გუშინ კიდევ ორმა ჩვენებურმა იასპარეზა – ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **კობა კაკალაძემ** (66) და ევროპის ექს-ჩემპიონმა **დავით მოძმანაშვილმა** (120). მათ ორ-ორი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ ბოლომდე საბრძოლველად ძალა არ ეყოთ და არც სანუგეშოში გადასვლის საშუალება მიეცათ. ამათგან მოძმანაშვილის გამოსვლას გამოვარჩევთ – მეორე წრეში რუსთა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ბახტიარ ახმედოვი** დაამარცხა. აი, ამის შემდეგ აზერბაიჯანელ **ჯამალედინ მაგომედოვთან** წააგო, რომელიც კარგად გვახსოვს თბილისში 2009 წელს გამართული ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატიდან – მაშინ 96 კილოგრამში გაიმარჯვა. ის საბოლოოდ მესამეზე კი გავიდა, მაგრამ ვფიქრობთ, მოძმანაშვილს ახმედოვთან გამარჯვების შემდეგ მისი დამარცხებაც მართებდა. ვიმედოვნებთ, სამომავლოდ ჩვენებური მოუმატებს და ამასაც შეძლებს. მთავარია, მან ირწმუნა, რომ დოპინგის გარეშეც შეუძლია შედეგების მოპოვება.

დღეს და ხვალ დორტმუნდში ქალები იჭიდავებენ, 2-3 აპრილს კი ჩემპიონატში ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან.

ირაკლი თავაძე

ქვარცხლბეკი. ვაჟები

55 კგ. 1. ჯამალ ოთარსულთანოვი (რუსეთი), 2. **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (საქართველო),** 3. მაჰმუდ მაგომედოვი (აზერბაიჯანი), ულადისლაუ ანდრეიეუ (ბელარუსი).

66 კგ. 1. ჯაბრაილ ჰასანოვი (აზერბაიჯანი), 2. ლეონიდ ბაზანი (ბულგარეთი), 3. ადამ ბატიროვი (რუსეთი), საბა არაშ ჯავად ბოლაგი (გერმანია).

84 კგ. 1. ანზორ ურიშევი (რუსეთი), 2. **დავით მარსაგიშვილი (საქართველო),** 3. შარიფ შარიფოვი (აზერბაიჯანი), გეორგიტა სტეფანი (რუმინეთი).

120 კგ. 1. ფატიჰ ჩაკიროღლუ (თურქეთი), 2. ალექსეი შემაროვი (ბელარუსი), 3. ჯამალედინ მაგომედოვი (აზერბაიჯანი), დანიელ ლიგეტი (უნგრეთი).



დავით მარსაგიშვილი და ანზორ ურიშევი

● საქართველო სნაკრები

ლაგუნ არა!

ცქიტიშვილი გასკეთიდან წამოვიდა

დოსიე

ნიკა ცქიტიშვილი

დაიბადა: 14.04.1983
სიმაღლე: 215 სმ.
წონა: 111 კგ.
პოზიცია: ფორვარდი

კარიერა

1997-98 კოლხა
1998-99 თსუ/სტუ
1999-01 სლოვენია (სლოვენია)
2001-02 ბენეტონი (იტალია)
2002-04 დენვერი (NBA)
2004 გოლდენ სტეიტი (NBA)
2005 მინესოტა (NBA)
2006 ფინიქსი (NBA)
2006 ნიუ იორკი (NBA)
2007 კახასოლი (ესპანეთი)
2007-08 ტერამო (იტალია)
2008-09 ფუენლაბრადა (ესპანეთი)
2009 პანიონიოსი (საბერძნეთი)
2009-10 ფუენლაბრადა (ესპანეთი)
2010-11 გრან კანარია (ესპანეთი)

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ნიკა ცქიტიშვილი** თავისუფალი აგენტია. მან ესპანურ კლუბ „ლაგუნ აროს“ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ხელშეკრულება გააუქმა. ამის მიზეზი ორივე მხარის უკმაყოფილება იყო: ნიკა სათამაშო დროის შეზღუდვას უჩიოდა, ხოლო კლუბის მესვეურები - კალათბურთელის დაბალ შედეგიანობას.

გამოცემა Noticias de gipuzkoa-ზე ამ თემას პუბლიკაცია მიეძღვნა, რომლის თარგმანსაც მკითხველს აქვე ვთავაზობთ:

„27 წლის ქართველი ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი „ლაგუნ აროს“ მაისურით აღარ ითამაშებს. ამ მოვლენას გუნდის მთავარი მწვრთნელი, **პაბლო ლასო** ასე გამოეხმაურა:

- *ბოლო დროს ცქიტიშვილის შედეგიანობამ იკლო. აქედან გამომდინარე, საუკეთესო გამოსავალი კონტრაქტის გაუქმება იყო.*

„სკიტამ“ სეზონი კარგად დაიწყო, რამდენიმე მატჩის ბოლო წუთზე გადამწყვეტი ქულაც ჩააგდო, მაგრამ შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. იანვარში ზედიზედ სამ თამაშში მწვრთნელმა იგი მოედანზე არ გაიყვანა. თუმცა, მწვრთნელ-კალათბურთელმა საერთო ენა მაინც გამოვნახეთ და მეოთხე შეხვედრაში ცქიტიშვილმა „კახასოლის“ წინააღმდეგ ეფექტურადაც ითამაშა. ამას კვლავ დაღმასვლა მოჰყვა და საქმე კონტრაქტის გაუქმებით დასრულდა“.

შეიძლება, მწვრთნელს მართლაც ჰქონდა უკმაყოფილების საბაბი, მაგრამ არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ კალათბურთელის შედეგიანობა სათამაშო დროზეა დამოკიდებული, ცქიტიშვილს კი იანვრის შემდეგ მწვრთნელი აღარ ენდობოდა.

საბოლოოდ ნიკას „ლაგუნ აროს“ მაისურით 24 მატჩი მოუგოდა, საშუალოდ 14 წუთში 5.3 ქულასა და 2.4 მოხსნას აგროვებდა.

საინტერესოა, რომ საწყის 13 მატჩში ქართველი ფორვარდი გაცილებით ნაყოფიერად მუშაობდა: 17 წუთში 7.2 ქულა, 3.7 მოხსნა. ბოლო 11 თამაშში: 10.5 წუთი, 3.3 ქულა, 1.6 მოხსნა.

რჩება ერთი კითხვის ნიშანი: მოასწრებს თუ არა ნიკა სეზონის ბოლომდე რომელიმე კლუბში გადასვლას. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სატრანსფერო ფანჯარა უკვე დახურულია.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ნიკოლოზ ცქიტიშვილი: შრომითა და ერთობით ევრობასკეტზე მიზნის მიღწევა შესაძლებელია

ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე ჟურნალისტი **ჯეფ ტეილორი** ევრობასკეტი-2011-ის მონაწილე გუნდებზე რიგრიგობით აქვეყნებს ინფორმაციებს. ბელგიის, ესპანეთისა და უკრაინის შემდეგ საქართველოს ჯერი დადგა. ტეილორი ვალენსიაში დაესწრო „ლაგუნ აროსა“ და „ვალენსიას“ დაპირისპირებას, რომელიც ლაგუნელთა მაისურით **ნიკა ცქიტიშვილისთვის** ბოლო იყო. ჯეფ ტეილორი ნამატჩევს შეხვდა ქართველ ფორვარდს და ელაპარაკა როგორც კლუბზე, ასევე ნაკრებზე. გთავაზობთ პუბლიკაციის ქართულ ვერსიას.

საქართველო

„ნიკოლოზ, ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრებში თამაშს თუ აპირებ? - ვკითხე ცქიტიშვილს. იგი „ვალენსიასთან“ წაგების გამო უხასიათოდ ჩანდა, თუმცა ნაკრები რომ ვახსენეთ, გახალისდა:

- *დაუჯერებელია - საქართველო ევრობასკეტზე! სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში მითამაშია, ეროვნულის ღირსებას 1999 წლიდან ვიცავ. მანამდეც და მას მერეც ბევრს ვმუშაობდით, მაგრამ ევროპის პირველობის საგზური ერთხელაც ვერ მოვიპოვეთ. ევრობასკეტი 2011-ის შესარჩევ ეტაპზე მეორე ადგილზე გავედით და საკვალიფიკაციო ტურნირში თამაში დავიბევეთ, მაგრამ მოულოდნელად ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 24-მდე გაზარდეს და სასიხარულო ინფორმაცია მივიღეთ - საქართველო ევრობასკეტზე ითამაშებს.*

საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ეტაპზე რვიდან ხუთი მატჩი მოიგო და მხოლოდ ბელგიას ჩამორჩა.

ევრობასკეტი

ნიკა ცქიტიშვილის გუნდი D ჯგუფში სლოვენიასთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ბელგიასთან და ბულგარეთთან მოხვდა. ჯგუფიდან საუკეთესო სამეული გადის. ქართველებს წარმატების იმედს ნაკრების შემადგენლობა აძლევს: **ზაზა ფაჩულია** გასულ შესარჩევზე გუნდის მთავარი მექანიკე იყო (15.8 ქულა), **ვიქტორ სანიკიძეს** ყველაზე მეტი მოხსნა ჰქონდა (9.4). ასევე დიდ როლს ასრულებდნენ **მანუჩარ მარკოიშვილი, ტორინ გრინი** (ნატურალიზებული ამერიკელი „გრან კანარიადან“) და **გიორგი ცინცაძე.**

- *კარგი გუნდი გვყავს, რომელშიც ბევრი ნიჭიერი კალათბურთელია შეკრებილი. მთავარ მწვრთნელად ძლიერი სპეციალისტი, იგორ კოკოშკოვი მუშაობს. ერთობითა და დაუღალავი შრომით ევრობასკეტზე წარმატების მიღწევის იმედი გვაქვს,* - ამბობს ნიკა ცქიტიშვილი და დასძენს:

- *წინასწარ ვიცით, რომ რთული ბრძოლები გველის. ჩვენს ჯგუფში ხომ რუსეთი, სლოვენია, უკრაინა, ბელგია და ბულგარეთი ითამაშებენ. თუმცა, სამეულში მოხვედრის შანსი გვაქვს, რაც დამოკიდებული იქნება, როგორ კონდიციებში შეხვდება საქართველოს ნაკრები ევრობასკეტს. ამისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ.*

NBA

ცქიტიშვილი 2002 წლის დრაფტზე „დენვერ ნაგეტსმა“ აიყვანა, მაგრამ ქართველს ამერიკული კარიერა სათანადოდ ვერ აეწყო. იგი ევროპაში 2006 წელს დაბრუნდა, ითამაშა ესპანეთსა და იტალიაში.

- *ამერიკა საინტერესო იყო. მქონდა რთული დროება და საკუთარი გარჯით განწილებული ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ მეტის გაკეთება შემეძლო. დღევანდელი გადასახედიდან მსჯელობა იოლია - ამერიკაში წასვლა არ უნდა მეჩქარა, იტალიაში რამდენიმე წელი კიდევ მეთამაშა, მაგრამ იმდენად მიმზიდველი იყო NBA-ს კლუბიდან მიღებული წინადადება და ამერიკაში თამაშის პერსპექტივა, რომ ევროპაში დარჩენაზე უარი ვთქვი.*

„სკიტა“ აშშ-ში დაბრუნებას აპირებს:

- *ამერიკაში ცხოვრება სასიამოვნო იყო. ამ ზაფხულსაც ვაპირებ ოკეანის გაღმა გამგზავრებას.*

ესპანეთი

ნიკოლოზ ცქიტიშვილმა სეზონის დასაწყისში რამდენიმე თამაში მაღალ დონეზე ჩაატარა, თუმცა ბოლო დროს სიტუაცია გაუარესდა. ამიტომ, ქართველი კალათბურთელისა და „ლაგუნ აროს“ გზები გაიყო.

- *ყველაფერი კარგად იქნება, საკუთარ თავზე კვლავაც ბევრს ვმუშაობ და იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში ისეთ კლუბში ვითამაშებ, სადაც საკმარისი დრო მექნება,* - ამბობს ცქიტიშვილი.“

საქართველო და ევრობასკეტი — დარჩა **153** დღე

ავს-ზრია-ლი ევროპის ცენტრში

საქართველო-ავსტრია, გავიცნოთ და გავიხსენოთ

***სამშაბათის** ნომერში ლატვიის ნაკრების შესახებ მოგითხრეთ. მას მერე გაირკვა კიდევ რამდენიმე სპარინგ-მეტოქის ვინაობა და გადავწყვიტეთ, თითოეული მოწინააღმდეგე ყოველდღიურად გაგაცნოთ. ჩვენი ნაკრები მოსამზადებელი ციკლის საწყის ორ შეხვედრას ავსტრიასთან ჩაატარებს და დღეს სწორედ ამ ქვეყნის გუნდზე მოგითხრობთ. ხვალ ესტონეთზე შევჩერდებით, შაბათის ნომერში კი რუსეთზე... გემახსოვრებათ, რომ შაბათობით ევრობასკეტზე ქართველთა მეტოქეებზე ვრცლად ვლაპარაკობთ.*

საქართველოს ნაკრებს ლუქსემბურგი ყველგან თან სდევდა - ჯუჯებთან 6 ოფიციალური მატჩი ჩავატარეთ. თუმცა, ამხანაგურებიანად სარეკორდო, 7 შეხვედრა ავსტრიელებთან გავმართეთ. ამ ზაფხულს ეს რიცხვი ცხრამდე გაიზრდება - 30 და 31 ივლისს **იგორ კოკოშკოვის** კრებული კიდევ ორჯერ გაეჯიბრება ავსტრიას.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია შეკრებისთვის ყოველთვის ისეთ ადგილს არჩევდა, საიდანაც ევროპის სხვადასხვა კუთხეში საკონტროლო მატჩებისთვის ნაკრების გადასვლა გაადვილდებოდა. ასეთი მოსახერხებელი ადგილმდებარეობა ავსტრიას აქვს. თანაც, ქართველები არც პირობებს უჩივიან და უკვე მესამე სეზონია, მოსამზადებელ შეკრებას ავსტრიაში გადიან.

ამ ორი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას შორის თბილი ურთიერთობა 2006-07 წლების შემდეგ დამყარდა - ავსტრიელებთან ევრო-2009-ის შესარჩევზე ერთ ჯგუფში მოვხვდით. პირველ მატჩში 19-ქულიანი ჩამორჩენა **ზაზა ფაჩულიასა** და **ტაირონ ელისის** ძალისხმევით აღმოვფხარით - 68:63 მოვიგეთ. თბილისურ შეხვედრაში კი **მანუჩარ მარკოიშვილის** დამაჯერებელი თამაშის წყალობით ავსტრიელებს შანსი არ დავუტოვეთ.

ამ გუნდს პირველად 1997 წელს კვიპროსში ვეთამაშეთ: საფინალო სირენამდე წამები რჩებოდა, როცა **მამუკა ტურაშვილმა** შორეული ორქულიანი გამოიყენა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებით დროში მოედანზე ტრავმირებული **ვლადიმერ სტეფანია** შევიდა და ამ მოგებით ქართველებმა შესარჩევ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

თუ ოფიციალურებში ავსტრიას 3:0-ს ვუგებთ, ამხანაგურებში ანგარიში საყიმოა - 2:2.

წლეულს ავსტრიელები მზადებას ივლისის დასაწყისში შეუდგებიან და საქართველოსთან ორ ამხანაგურ მატჩს შედარებით უკეთეს კონდიციებში შეხვდებიან... ავსტრიის ნაკრები B დივიზიონის A ჯგუფში ჰოლანდიის, ესტონეთისა და ლუქსემბურგის წინააღმდეგ თამაშობს (2 მოგება, 1 წაგება).

ევრო-1999

საკვალიფიკაციო

25.05.1997

საქართველო-ავსტრია დ.დ. 67:60

34:31, 22:25, 11:4

საქართველო: თორთლაძე (38წთ, 3ქ, 3მ, 4ბ, 1ჩ), ტურაშვილი (27წთ, 11ქ, 3მ), სტეფანია (5წთ, 2ქ, 1მ), ბეჟანიშვილი (26წთ, 10ქ, 10მ, 1ბ, 1ჩ), ხოშტარია (15წთ, 2ქ, 2ბ), ნაცვლიშვილი (45წთ, 22ქ, 15მ, 1ჩ), ბერძენიშვილი (33წთ, 9ქ, 9მ), სანაძე (9წთ, 3ქ), ჩხეიძე (19წთ, 5ქ)

ევრო-2007

B დივიზიონი

06.09.2006

ავსტრია-საქართველო 63:68

19:13, 22:13, 15:24, 7:18

საქართველო: ელისი (37 წთ, 20ქ, 5მ, 5ბ, 1ჩ, 1დ), მ. მარკოიშვილი (27 წთ, 9ქ, 2მ, 1ჩ), ა. ბოისა (10 წთ, 3მ), ვ. ბოისა (33 წთ, 5ქ, 2მ), ფაჩულია (35 წთ, 24ქ, 7მ, 2ჩ, 2დ), გამყრელიძე (19 წთ, 2ქ, 4ბ, 1მ), ცინცაძე (7 წთ), ცქიტიშვილი (11 წთ, 3ქ, 2მ, 1ჩ), სანიკიძე (21 წთ, 5ქ, 6მ), ნაცვლიშვილი (1 წთ)

25.08.2007

საქართველო-ავსტრია 85:74

21:22, 21:15, 24:19, 19:18

საქართველო: ცინცაძე (33 წთ, 5მ, 2ბ, 3ჩ), ელისი (36 წთ, 14ქ, 3ბ, 1ჩ), მ. მარკოიშვილი (27 წთ, 22ქ, 3მ, 1ბ, 1ჩ), სანიკიძე (32 წთ, 14ქ, 9მ, 3ბ, 1ჩ, 1დ), ფაჩულია (38 წთ, 25ქ, 5მ, 3ბ, 1დ), გამყრელიძე (5 წთ), ნაცვლიშვილი (23 წთ, 5ქ, 7მ, 1ბ, 1ჩ), ტულუში (6 წთ, 5ქ, 2მ, 1ჩ)

ამხანაგურები

05.08.2008

ავსტრია-საქართველო 76:74

25:20, 18:16, 15:24, 18:14

საქართველო: ცინცაძე (24 წთ, 5ქ, 3ბ), ა. ბოისა (18 წთ. 2ქ), სანიკიძე (13ქ. 10მ), ცქიტიშვილი (25 წთ. 20ქ. 9მ), ფაჩულია (30 წთ. 9ქ. 3ბ); გამყრელიძე (20 წთ. 9ქ), ვ. ბოისა (22 წთ. 9ქ), შერმადინი (3 წთ. 2ქ), ტულუში (14 წთ. 5ქ), ტომარაძე (5 წთ), შენგელია (4 წთ)

08.08.2008

ავსტრია-საქართველო 77:74

21:17, 25:20, 13:12, 18:25

საქართველო: ცინცაძე (27წთ, 9ქ, 3ბ, 3მ), ა. ბოისა (12წთ. 3ქ. 4მ), სანიკიძე (23წთ. 1ქ. 9მ), ცქიტიშვილი (26წთ. 18ქ. 8მ), ფაჩულია (25წთ. 20ქ. 5მ); გამყრელიძე (30წთ. 7ქ. 5ბ. 4მ), ვ. ბოისა (23წთ. 5ქ. 4მ. 3ბ), შერმადინი (5წთ. 2ქ), ტულუში (13წთ. 3ქ), შენგელია (16წთ. 6ქ. 4მ)

7.08.2009

ავსტრია-საქართველო 73:77

21:18, 19:17, 13:17, 20:25

საქართველო: გამყრელიძე (11წთ), ვ. ბოისა (34წთ, 15ქ), ცინცაძე (35წთ, 17ქ, 4ბ, 3ჩ), შერმადინი (35წთ, 14ქ), ტულუში (5წთ), სანიკიძე (39წთ, 11ქ, 12მ), მეტრეველი (11წთ, 4ქ), ელისი (30წთ, 16ქ, 6ბ)

8.08.2009

ავსტრია-საქართველო 71:75

18:22, 22:18, 17:18, 14:17

საქართველო: გამყრელიძე (11 წთ), ვ. ბოისა (31 წთ, 12ქ, 6მ), ცინცაძე (29 წთ, 6ქ, 8ბ, 3ჩ), შერმადინი (34 წთ, 18ქ, 7მ), ტულუში (10 წთ, 3ქ), სანიკიძე (31 წთ, 11ქ, 6მ), მეტრეველი (8 წთ, 2ქ), ელისი (32 წთ, 17ქ), ა. ბოისა (7 წთ, 4ქ), შენგელია (6 წთ, 2ქ)

ლოგლო წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკებიდან

ერთიანი ეროვნული ოლიმპიადა

ხალხური საუნჯე

მოკლე თხილამურები



ხალხური სპორტი ამოუწურავი განძია. საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებებს გარკვეულწილად ხალხური სპორტის ტრადიციებიც განაპირობებს.

დღეს გიამბობთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში გავრცელებულ მოკლე თხილამურების შესახებ, რომელიც, ცპეციალისტების აზრით, უნიკალური საშუალებაა სათხილამურო სპორტის სპექციაში ახალბედა მოვარჯიშეებში თოვლზე სრიალის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად.

ხევსურეთში მოკლე თხილამურებს ლეკმარხილას უწოდებენ, ფშავში - კანკებს, მთიულეთ-გუდამაყარში - კაკდებს, თუშეთში - ქოკებსა და ქოკლოზებს, ზემო სვანეთში - ლაჭირხალარს, ხოლო - საცურიალეებსა და კანკებს... თვითნაკეთი მოკლე თხილამურებით სრიალს ბავშვები 5-6 წლიდან იწყებენ და მისდამი ინტერესი ზოგჯერ 18 წლამდეც გაჰყვებათ ხოლმე.

საქართველოს სხვადასხვა მთიან რაიონში თხილამურების ზომა და დამაგრების წესი სხვადასხვაგვარია.

ჩვეულებრივი მოკლე თხილამური სიგრძით საშუალოდ 85 სანტიმეტრია, თუმცა 120 სმ სიგრძის თხილამურიც გვხვდება. ორივე ბოლოზე მას აქვს ღრმულები, რომლებშიც ჩამაგრებულია რკალივით მოხრილი წნელი. სიმაღლე ნებისმიერია (ჩვეულებრივ, მენჯის სიმაღლეს აღწევს) და ინდივიდუალური წესით მზადდება. რკალის უკანა მხარე უფრო სქელია, რადგან სწორედ ამ ნაწილზე მოდის ყველაზე დიდი დატვირთვა მოსახვევებში, წამუხრუჭებისა და სხვა ილეთების შესრულების დროს.

მოკლე თხილამურებით სისტემატური ვარჯიშის წყალობით მთიელები თავდაპირველად სტიქიურად, შემდეგ კი უკვე წინასწარ მოფიქრებულად და გეგმიანად სწავლობდნენ ციცაბო კლდეების გადალახვას და მთებიდან სწრაფად დაშვების ტექნიკას ეუფლებოდნენ.

ამგვარი თხილამურებით სრიალი და შეჯიბრებები მაშინ იწყება, როცა თოვლი მკვრივდება ან ყინულის თხელი ფენა გადაეკვრის. ტრასას ბავშვები თვითონ ირჩევენ და ტკეპნიან ან საქონლის მიერ დატკეპნილ ბილიკებს იყენებენ. მოზარდები განგებ მოძებნიან ხოლმე ისევ „დაკიდებულ“ და დაკლაკნილ ტრასას (ბილიკს), რომ გამოცდილი სპეციალისტის მიერ შერჩეული გეგონებათ.

ერთხელ ამერიკაში

გურამ მინაშვილი იგონებს

- საბჭოთა ნაკრების კალათბურთელები ამერიკას 20 დღით ვესტუმრეთ და ოთხ ქალაქში ექვსი მატჩი გავმართეთ. კლივლენდთან დაპირისპირების შემდეგ ალექსანდრე გომელსკისთან „ნიუ იორკ ნიქსის“ სელექციონერები მივიდნენ, სამწლიანი კონტრაქტი მოუტანეს და ჩემი ხელმოწერა სთხოვეს. მწვრთნელმა დამიძახა და ჩემი თანდასწრებით უთხრა - ხელმოწერას ახლა ვერ დავსვამთ, მოსკოვში ჩავალთ, კომიტეტის თავმჯდომარეს გავესაუბრებით და კონტრაქტი მერე იყოსო. FBI-დან ერთი პიროვნება გვყავდა მომაგრებული, სახელად ფომა. რუსულ-ინგლისური ლექსიკონი ვაჩუქე და დავუმეგობრდი. „ნიუ იორკიდან“ წინადადების მიღების დღეს იგი მოვიდა და მირჩია: „ასეთი შანსი ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. გირჩევ უარი არ თქვა. თუ საბჭოელებისა გეშინია, ისეთ ადგილას დაგმალავ, რომ ვერც ამერიკელები გიპოვნიანო. ერთ მომენტში ისიც ვიფიქრე, ფომა საბჭოურმა სპეც-სამსახურმა ხომ არ მომიგზავნა-მეთქი (მაგრამ ასე არ ყოფილა) და ცხადია, ისიც უარით გავისტუმრე, რადგან ვიცოდი, რომ ამერიკაში დარჩენა და ჩემი ოჯახის წევრების დაჭერა ერთი იქნებოდა.

პირველი, პირველმა, პირველად

პირველი ბეისბოლის გუნდი საქართველოში შეიქმნა თბილისში 1988 წელს და „ივერია“ ერქვა.

პირველმა საქართველოს ფეხბურთელებიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიიღო **შოთა შავგულიძემ** (1941 წ.)

პირველად ბატუტზე ხტომაში სპორტული სექცია გაიხსნა თბილისში **თენგიზ ხუდოვის** თაოსნობით. ერთი წლის შემდეგ ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი.

ვინ რა თქვა...

„შოთა იამანიძეს ქართულ ფეხბურთში განსაკუთრებული ადგილი უკავია. არც წინა და არც შემდგომ თაობებში მე არ მეგულება ასეთი ბრწყინვალე ოსტატი, თუ არ ჩავთვლით ყიფიანს, რომელიც ასე შესანიშნავად თამაშობდა კოლექტიურ ფეხბურთს. შოთას თავისი მეგობრებისგან დაფარული არაფერი ჰქონდა. ეს იყო საოცარი, სპეტაკი სულის კაცი.“

ვლადიმერ მასლაჩენკო

თარიღი 31 მარტი-6 აპრილი

31. 03. 1990 წ. დაიბადა **გიორგი მაკარიძე** - ფეხბურთი
01. 04. 1986 წ. დაიბადა **ვიქტორ სანიკიძე** - კალაბთბურთი
01. 04. 1938 წ. დაიბადა **ლერი გოგოლაძე** - წყალბურთი
01. 04. 1925 წ. დაიბადა **თენგიზ გიორგაძე** - ჭადრაკი
01. 04. 1933 წ. დაიბადა **რობერტ შავლაყაძე** - მძლეოსნობა
02. 04. 1965 წ. დაიბადა **ზაზა თურმანიძე** - თავისუფალი ჭიდაობა
02. 04. 1970 წ. დაიბადა **კახა ვახტანგიშვილი** - ციგაობა
03. 04. 1940 წ. დაიბადა **ცისანა აბუაშვილი** - ფრენბურთი
04. 04. 1938 წ. დაიბადა **ჯანსუღ ბაგრატიონი** - ხელბურთი
04. 04. 1949 წ. დაიბადა **რომან მარსაგიშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა
05. 04. 1964 წ. დაიბადა **ვახტანგ იაგორაშვილი** - თანამედროვე ხუთჭიდი
05. 04. 1941 წ. დაიბადა **ლუდმილა ივლევა** - მძლეოსნობა
06. 04. 1896 წ. ათენში საზეიმოდ გაიხსნა თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები
06. 04. 1964 წ. დაიბადა **მაია აზარაშვილი** - მძლეოსნობა

თქვენთვის, ერუდიტებო! ვიქტორინა

1. რომელი წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში ჰყავდა ყველაზე მეტი მონაწილე საქართველოს?

ა — 1952 წლის
ბ — 1956 წლის
გ — 1964 წლის

2. რომელ წელს ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადა ბაკურიანში?

ა — 1971 წელს
ბ — 1974 წელს
გ — 1980 წელს

3. საერთო ჯამში სსრ კავშირის რამდენგზის ჩემპიონი იყო თბილისელი ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი პირად, წყვილთა და შერეულ წყვილთა შეჯიბრებებში?

ა — 20-გზის
ბ — 23-გზის
გ — 28-გზის

4. 1935 წლის ოდესის მოსწავლეთა I სპარტაკიადაზე ქართველმა მოსწავლე გოგონამ სპორტის 6 სახეობაში დაიკავა I ადგილი, ორში კი მეორე პრიზიორი გახდა. ვინ იყო იგი?

ა — ნინო დუმბაძე
ბ — ელენე გოკიელი
გ — ნადეჟდა დვალიშვილი

5. რომელ წელს აიგო 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზი თბილისში სანაპიროზე?

ა — 1920 წელს
ბ — 1928 წელს
გ — 1936 წელს

ვიქტორინა: 1-ბ, 2-ბ, 3-გ, 4-ა, 5-ბ

იყო ასეთი შემთხვევა...

წარსულში ცნობილმა მძლეოსანმა **ლამარა ტულუში-სესაძემ** 39 წლის ასაკში დაასრულა სპორტულ შეჯიბრებებში გამოსვლა. მისი რეკორდი ბადროს ტყორცნაში საქართველოს უმაღლესი მიღწევების ცხრილში 21 წელიწადი რჩებოდა ხელუხლებელი. მერე ამ რეკორდის დამხობის დროც მოვიდა — დედის მიღწევა შვილმა — **ელეონორა ტულუშმა** გააუმჯობესა 1981 წელს.

ფოტო კომენტარით

გურამ პაპიტაშვილი (მარცხნივ) და ბიძინა მაზიაშვილი. 1983 წ.

გურამ პაპიტაშვილი და **ბიძინა მაზიაშვილი,** გნებავთ, ასე ვთქვათ, ბიძინა მაზიაშვილი და გურამ პაპიტაშვილი - გადაადგილებით არაფერი შეიცვლება, ისე როგორც საყრდენი სვეტების არარიგითობაა მთავარი, არამედ ფუნქცია. სვეტები თავის საქმეს აკეთებენ - ბურჯად დგანან, ესაა მთავარი.

ჩემ მიერ ხსენებულმა ქართული სპორტის ამ კორიფეებმა თავის დროზე ყველაფერი გააკეთეს საქართველოში ძიუდოსა და სამბოსთვის ნოყიერი ნიადაგის შესაქმნელად, მისი ფესვების გასაძლიერებლად. ამ ფესვებზე აღმოცენებული ხე კი რა „ნაყოფითაც შეიცნობა“, ყველამ კარგად ვიცით. თაობებში გადადის მადლი, რომელიც ჩვენი ეროვნული სპორტის ამ ორმა ბერმუხამ ქართულ ძიუდოს და სამბოს დაანათლა.

გურამ საღარაძე

გვერდი მომზადებულია თენგიზ თომაშვილის პროექტით

კროსვორდი



თარაზულად: 1. ანტიკურ ოლიმპიადებში მუშტი-კრივთან გაერთიანებული ორთაბრძოლა; 7. შსს-ს საკალათბურთო გუნდის ცენტრი; 8. ესტაფეტაში გადასაცემი პატარა ჯოხი; 10. რაგბში დინამიკაში კარში ბურთის დარტყმა; 11. თბილისთან დაძმობილებული საფრანგეთის ქალაქი; 13. ბათუმელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე; 15. ფეხბურთში ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი, მურთაზ...; 18. ჩოგბურთის პარტია; 19. ლეგენდარული სამხტომელი საქართველოდან; 21. სპორტული ბრძოლის წარმართვის ხელოვნება; 24. ხის ჩაქუჩით და ხის ბურთით სპორტული თამაში; 25. საქართველოს საკალათბურთო ნაკრების ნატურალიზებული მოთამაშე; 26. იგივეა, რაც ციგა.

შვეულად: 1. სპეციალური მოწყობილობა ძალოსანთა საწვრთნელი ვარჯიშებისათვის; 2. სამბოს და ძიუდოს ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში; 3. კრივში: დარტყმა ქვეშიდან; 4. მშვილდით სასროლი; 5. "ზესტაფონის" ყოფილი თავდამსხმელი; 6. ქალაქი, სადაც პირველი ოლიმპიური თამაშები ჩატარდა; 9. უცნაური რეკორდების ავტორი; 12. ხასიათის შტრიხი, რომელიც "ვარსკვლავური დაავადებით" შეპყრობილ სპორტსმენებში ვლინდება; 14. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი; 15. ტიტულოვანი ვეტერანი ქართველი აკრობატი ქალი; 16. სიმეტრიის დარღვევა; 17. სპორტული შედეგის განხილვა და შეფასება; 20. სპორტის ზამთრის სახეობა; 22. კიმონოს და საჭიდაო ჩოხის შემოსაკრავი; 23. ჩრდილო კავკასიის საფეხბურთო გუნდი.

ინტერვიუ ბადრი ბოხუასთან

არმია მხოლოდ პირველობისთვის იბრძვის

ქართულ რაგბიში ახალი გუნდი გამოჩნდა. თავდაცვის სამინისტრომ კალათბურთის მსგავსად რაგბის გუნდიც შექმნა. „არმია“ გორის „თსუ\ლომების“ ბაზაზე დაარსდა და შესაბამისად საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაშიც მისი ადგილი დაიკავა. არმიელებს საკმაოდ სერიოზული ამბიციები აქვთ, რომლის საფუძვლიანობაც ახლახან შვიდკაცა რაგბის საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გამარჯვებით დაამტკიცეს.

გუნდის მთავარ მწვთნელად **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** დაინიშნა, რომელიც საქართველოს A ნაკრების მწვრთნელია და გუნდთან ერთად ინგლისში იმყოფებოდა. ამიტომ „არმიას“ მომავალი გეგმების შესახებ მთავარი მწვრთნელის ასისტენტ **ბადრი ბოხუას** ვესაუბრეთ.

- „არმიას“ სარაგბო გუნდი „თსუ\ლომების“ ბაზაზე შეიქმნა. რა ცვლილებები განხორციელდა გუნდში, ვინ დაიმატეთ, ვინ გამოგაკლდათ?

- სარაგბო გუნდი „არმია“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პატრონაჟით შეიქმნა. შევკრიბეთ სრულიად ახალი გუნდი. მთავარ მწვრთნელად ვეტერანი მორაგბე ნიკოლოზ ჭავჭავაძე დაინიშნა. მოთამაშეები მოვიწვიეთ სხვადასხვა კლუბიდან, „უნივერსიტეტიდან“, „ყოჩებიდან“, „აკადემიიდან“. რამდენიმე ქართველი მორაგბე უცხოეთიდან ჩამოვიყვანეთ. ამჟამად გუნდში საქართველოს ნაკრების სამი მოთამაშე ირიცხება, ირაკლი ნატრიაშვილი, ბიძინა სამხარაძე და ჯაბა ბრეგვაძე.

- როგორ მოემზადა გუნდი ახალი სეზონისთვის?

- სეზონისთვის მზადება ძალიან კარგად მიმდინარეობს. საწვრთნელი შეკრება ბათუმში მოვანყვეთ, სადაც „ბათუმი XV“-თან ორი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ. პირველი მატჩი 25:13 მოვიგეთ, მეორეში კი 35:10.

თბილისში დაბრუნებულებმა უმაღლესი ლიგის გუნდ „არმაზს“ ვეთამაშეთ და მშრალი ანგარიშით დავამარცხეთ - 25:0.

- ახლახან შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი გაიმართა, რომელიც „არმიამ“ მოიგო. როგორ შეაფასებდით გუნდის მიერ ნაჩვენებ თამაშს?

- შედეგი, ცხადია, ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს. შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატის პირველ ეტაპზე, რომელიც „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ გაიმართა თექვსმეტმა გუნდმა იასპარეზა. არმიელებმა ყველა მატჩში დამაჯერებლად გავიმარჯვეთ, ფინალში კი ქუთაისის „აიას“ დავუპირისპირდით. მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა. დამატებით დროში კი გამარჯვება ჩვენ ვიზეიმეთ 19:14 და შვიდკაცა რაგბის გაზაფხულის ჩემპიონის ტიტული მოვიპოვეთ.

- რა მიგაჩნიათ თქვენი გუნდის ძლიერ და სუსტ მხარეებად?

- გუნდი თანაბრადაა დაბალანსებული. როგორც ქართული რაგბისთვისაა დამახასიათებელი, ჩვენი შერკინება უფრო ძლავრია, თუმცა უკანა ხაზიც არანაკლებ კვალიფიციური, მაღალი დონის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. როგორც უკვე ვთქვი, ჩვენი გუნდის სამი წევრი ეროვნული ნაკრების მოთამაშეა, ორი საქართველოს A ნაკრებში ირიცხება, 6 მოთამაშე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებშია მიწვეული, ერთიც - 18-წლამდელთა გუნდში.

- რა მდგომარეობაშია კლუბის ინფრასტრუქტურა, რა გეგმები გაქვთ ამ მიმართულებით?

- ვარჯიშისთვის ყველა პირობა გვაქვს, ინფრასტრუქტურა აწყობილია, მოედანი, ბურთები, ეკიპირება სრულ წესრიგშია. ყველაფერი მზად არის საიმისოდ, რომ ნებისმიერ ტურნირში გამარჯვებისთვის ვიასპარეზოთ.

- ეყოლება თუ არა „არმიას“ ბავშვთა, ასევე ჭაბუკთა A და B ლიგის გუნდები?

- ამ ეტაპზე ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ. ჯერჯერობით არ ვიცით.

- რა მიზნებს ისახავს „არმიას“ წლევანდელ სეზონში?

- როგორც ყველა გუნდი, ჩვენც პირველობისთვის ვიბრძოლებთ. წინ ძალიან დაძაბული და საინტერესო თამაშები გველის. დიდი სურვილი გვაქვს ჩემპიონები გავხდეთ. რა თქმა უნდა, თასის მოპოვებასაც ვეცდებით.

- საქართველოს თასისა და ჩემპიონატის გათამაშებაში, რომელი გუნდები იქნებიან თქვენი „კონკურენტები?

- საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოსასპარეზე ყველა გუნდი კონკურენტუნარიანია. ყველას შეუძლია პრობლემები შეგვიქმნას. თუმცა რამდენიმე გუნდი მაინც ანგარიშგასაწევი ძალაა. გამოვყოფდი შარშანდელ ჩემპიონ „ლოკომოტივს“ და თასის მფლობელ „ლელოს“.

ვფიქრობ, ჩვენს წინააღმდეგ ყველა მაქსიმალურად მობილიზებული იბრძოლებს. მერე, მოგვიანებით, როცა საპლეიოფო ოთხეული გამოიკვეთება, გუნდებს სხვა მოტივაცია ექნებათ და იქ განსაკუთრებით თავდადებით ბრძოლა იქნება საჭირო.

P.S. აღსანიშნავია, რომ „არმიაში“ მართლაც სერიოზულმა ძალამ მოიყარა თავი. მთავარი მწვრთნელის შესახებ უკვე ვთქვით. ნიკოლოზ ჭავჭავაძე მოთამაშე მწვრთნელი იქნება. ასევე თამაშს აპირებენ მისი თანაშემწეები, საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბეები **ლევან (ლეონსიო) ცაბაძე** და **კახა კობახიძე.** თითქმის შვიდწლიანი პაუზის შემდეგ არმიელთა რიგებში გამოჩნდება კიდევ ერთი ყოფილი „ბორჯღალოსანი „ **არჩილ ქავთარაშვილი.**

არმია

პირველი ხაზი: ლევან ცაბაძე, ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ირაკლი ქორიძე, ირაკლი ნატრიაშვილი, გიორგი კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე, ლევან შენგელია, ბექა მამრიკიშვილი, დავით ხიდეშელი.

მეორე ხაზი: მამუკა ცხადაძე, ლადო ჩოჩიშვილი, გიორგი ჟღენტი, ბექა ბინაძე, ზაზა ნავროზაშვილი.

მესამე ხაზი: კახა კობახიძე, ლადო კილასონია, ლევან დარასელია, გიორგი კალმახელიძე, გიორგი სურგულაძე, ჯემალ მორჩაძე.

№9: ბიძინა სამხარაძე, ალეკო ზაბახიძე, რამაზ ჯინაშვილი.

№10: ლაშა ბაირამაშვილი, მამუკა ნინიძე, გიორგი ნადარეიშვილი, გივი ნადარეიშვილი.

№12-13: თამაზ მჭედლიძე, რატი ნუცუბიძე.

№11-14: არჩილ ქავთარაშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი, ჯაბა კიკვიძე, რამაზ ხარაზიშვილი.

№15: ირაკლი ფერაძე, ბახვა კობახიძე.

ლეგიონერები

დანის პირზე სიარული-როდემდე?

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატში წლეულს „მონპელიე“, რომელშიც ხუთი ქართველი მორაგბე, **მამუკა გორგოძე, გიორგი ჩხაიძე, გოდერძი შველიძე, გიორგი ჟღენტი** და **მიხეილ ნარიაშვილი** ასპარეზობენ, სეზონის აღმოჩენადაა მიჩნეული. ახალი მწვრთნელების **ფაბიენ გალტიესა** და **ერიკ ბეშუს** მისვლის შემდეგ, გუნდის თამაში კარდინალურად შეიცვალა და მონპელიელებს თავიანთ ხანმოკლე ისტორიაში (კლუბი 1984 წელსაა დაარსებული) პლეი ოფში გასვლის შანსი პირველად მიეცათ.

გასულ უქმეებზე ჩვენებურთა გუნდმა შინ უძნელეს ბრძოლაში დაამარცხა ფრანგული რაგბის ერთ-ერთი გრანდი „სტად ფრანსე“ - 29:23. მატჩის შემდეგ ფაბიენ გალტიე გამუდმებით ბუტბუტებდა: „როგორც ყოველთვის, როგორც ყოველთვის“. რას გულისხმობდა ლეგენდარული ფრანგი, გაუგებარია, თუმცა კარგად იციან „მონპელიეს“ მორაგბეებმა.

გუნდმა უმთავრესი ამოცანა შეასრულა, პარიზელები დაამარცხა და საპლეიოფო ექვსეულში დაიბრუნა ადგილი. „სტად ფრანსესთან“ შეხვედრაში გამორჩეულნი ქართველი მორაგბეები გიორგი ჟღენტი და მამუკა გორგოძე იყვნენ.

აი როგორ აფასებს მათ თამაშს თავის სტატიაში **სტივ ვაითლი:**

„სპეციალური აღნიშვნის ღირსია შერკინების ბურჯის გიორგი ჟღენტის შესანიშნავი თამაში. მისი მძლავრი, თამამი გარღვევები თანაგუნდელებს საბრძოლოდ განაწყობდა. მამუკა გორგოძე, რომელმაც, როგორც ყოველთვის, თავდადებით, ბოლომდე შეუპოვრად ითამაშა.

მეორე ლელო, რომელიც მონპელიემ გაიტანა, ქართველების დამსახურებაა. ჯერ გორგოძემ შეუტია სახიფათოდ, მაგრამ შეაჩერეს, მერე ბურთი ჟღენტმა აიტაცა და ლელოში შეაღწია.“

ჟღენტის მიერ გატანილი ლელო გადამწყვეტი აღმოჩნდა. „მონპელიემ“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

„ჩვენ არ ვბრწყინავდით პირველ ტაიმში, ხშირად ვკარგავდით ბურთს და მეტოქეს აგრესიულ თამაშშიც ჩამოვუვარდებოდით. მეორე ნახევარში ბევრად უკეთესად ვითამაშეთ. ბურთის დიდხანს შენარჩუნება მოვახერხეთ, ორი ლელო, რომელთა გატანაც შევძელით შესანიშნავი იყო“ - თქვა ფაბიენ გალტიემ.

პარიზელებთან გამართული მატჩის სცენარი, ძალიან ჰგავდა მარტის დასაწყისში **ბექა შეყლაშვილის** „აჟენთან“ ნათამაშები მატჩისას. მაშინ მონპელიელებმა გაჭირვებით, მინიმალური სხვაობით მოიგეს - 25:24. მერე კი სტუმრად კიდევ ერთ აუტსაიდერთან, „ლა როშელთან“ წააგეს - 16:20.

რა არის „მონპელიეს“ ასეთი არასტაბილური თამაშის მიზეზი? გალტიე ამაზე ასე პასუხობს:

„იცით რა? ოცნება საჭირო არაა. თუ გავითვალისწინებთ, ტრავმების გამო რამდენი წამყვანი მოთამაშე გვაკლია, გუნდის მიმართ პრეტენზია არ უნდა გვქონდეს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კმაყოფილი ვართ და საქმეს კრიტიკულად არ ვუდგებით. ამასთან მინდა გავამხნევო და მივულოცო იმ მორაგბეებს კარგი თამაში, ვის მხრებზეც ბოლო მატჩების სიმძიმემ გადაიარა. მე ამაყი ვარ მათით“.

მაშ ასე, ვინ აკლია „მონპელიეს?“ მხარი დაიზიანა **ბენჟამინ ტეირიმ**, რომელიც გუნდს ხუთი კვირა ვერ დაეხმარება, ფეხის კუნთი დაიშავა კაპიტანმა და ლიდერმა **ფულენსე უოდრაოგომ**, ის სამი კვირა ვერ ითამაშებს, **მიქაელ ლედუ** კი სეზონის ბოლომდე არ იქნება. ისინი „მონპელიეს“ ვერც შემდეგ ტურში დაეხმარებიან „ბურგენთან“ მატჩში. გამოდის, ჩვენებურთა გუნდს კიდევ ერთი ურთულესი მატჩი ელის და მძიმე ჭაპანი ისევ ქართველებმა უნდა ზიდონ. როდემდე?

ვულკანები სახეს იცვლიან

საფრანგეთის ჩემპიონ **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ კრიზისს განიცდის. შარშანდელი ბრწყინვალე სეზონის შემდეგ, გუნდი თავის თავს აღარ ჰგავს და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე 58 ქულით სატურნირო ცხრილში მისთვის უჩვეულო მე-7 ადგილზეა. ცხადია, ჯერ არაფერი დასრულებულა, „ვულკანებს“ პლეი ოფში მოხვედრის შანსი არ დაუკარგავთ და ისინი კიდევ იბრძოლებენ ტიტულის დასაცავად, მაგრამ ფაქტია, რომ გუნდს ჯანი ძველებურად აღარ ერჩის.

კლუბის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს გუნდი საგრძნობლად გადაახალისონ. რამდენიმე კვირის წინ ცნობილი გახდა, რომ „კლერმონს“ ფიჯის ნაკრების გარემარბი **ნაპოლიონი ნალაგა** დატოვებს. „ვულკანებმა“ მისი შემცვლელი უმალ იპოვეს. უკვე გადაწყვეტილია, რომ ახალი ზელანდიის ნაკრების ფიჯური წარმოშობის გარემარბი **სიტივენი სივივატუ** „ზირაქას“ თანაგუნდელი სამი წლის განმავლობაში იქნება.

სიტივენი სივივატუ

სივივატუ „კლერმონს“ ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის შემდეგ შეუერთდება. ის მერვე მორაგბეა, ვინც „ვულკანებთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. იქამდე კლერმონელთა ყვითელი კვართის მორგებაზე თანხმობა განაცხადეს შერკინების ბურჯმა **დენი კუციამ** (ორიაკი), შერკინების კვაჭმა **ბენჟამინ კაიზერმა** (კასტრი), მეორეხაზელმა **ნათან ჰინესმა** (ლენსტერი), მესამეხაზელმა **ჯერარდ ვოსლოომ** (ბრივი), მგეზავმა **დავიდ სკრელამ** (ტულუზი), შუამარბმა **რიგან კინგმა** (ჰლანეჰლი) და გარემარბმა **ლი ბირნიმ** (ოსფრიზი).

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy-gov-ge

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ლებრონს ისევ ბევრი უყვირეს

სასტიკი შურისძიება

"კლივლენდ კავალიერზის" გულშემატკივრებს უკვე შეუძლიათ ამ სეზონს წარმატებული უწოდონ. მერე რა, რომ ეს გუნდი ბოლო ადგილზეა რეგულარულ ჩემპიონატში, სამაგიეროდ ადგილობრივმა კლუბმა თავისი ყოფილი ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** ახალ სახლში - მაიამიში დამარცხებული გაუშვა.

შურისძიება სასტიკი გამოვიდა - 48 წუთის განმავლობაში "მაიამი" ერთხელაც ვერ გავიდა წინ! მთელი მატჩი ისეთი შეგრძნება იყო, რომ სულ ცოტაც და სტუმრები საბოლოოდ შეძლებდნენ თამაშში გარდატეხის შეტანასა და დაგეგმილი გამარჯვების მოპოვებას. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა - "კლივლენდი" თითქმის ყველა ბურთს აგდებდა კალათაში.

"ჰიტის" მარცხის მიზეზი გახდა ფარქვეშ ცუდი თამაში: მოხსნების მხრივ ანგარიში იყო 44:30 "კლივლენდის" სასარგებლოდ. "მაიამის" ვერ უშველა ლებრონ ჯეიმსის რიგით 31-ე სამმაგმა დუბლმა (27 ქულა, 12 პასი და 10 მოხსნა), **დუეინ უეიდის** უნივერსალიზმმა (24 ქულა, 6 პასი, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 დაფარება) და **მაიკ ბიბის** სნაიპერულმა თვისებებმა (11-დან 7 გამოყენებული სამქულიანი).

მესამე მეოთხედის სტარტზე "კლივლენდმა" თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, როცა **ჰიქსონის, გისა** და **პარკერის** მონდომებით 18:0 გაქცევა მოაწყო და 23 ქულით დაწინაურდა. მაგრამ "მაიამი" იმით არის ცნობილი, რომ უიმედო სიტუაციებშიც არ ნებდება. 332 წამში საპასუხო სპურტი არანაკლებ შთამბეჭდავი გამოდგა - 25:4. და გუნდებს ყველაფრის თავიდან დაწყებამ მოუწიათ.

დარჩენილ შვიდ წუთში "ჰიტის" მხრიდან მხოლოდ ჯეიმსი აგროვებდა ქულებს, ოღონდ ამას არასტაბილურად აკეთებდა და ამიტომაც "კლივლენდი" ისევ სოლიდური სხვაობით გავიდა წინ - 12 ქულა სირენამდე ორი წუთითა და 45 წამით ადრე. მასპინძლებმა ეს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს და სეზონში ყველაზე პრინციპულ გამარჯვებას მიაღწიეს.

■ ■ ■

როგორც ჩანს, გუშინდელი ნაგებით "ფინიქსმა" პლეი ოფში მოხვედრის ბოლო შანსი დაკარგა. "სანზის" ლიდერმა **სტივ ნეშმა** 14 შედეგიანი პასი მიითვალა, მაგრამ თამაშიდან 35-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა და მხოლოდ 13 ქულა დააგროვა, თუმცა, წესით, ესეც საკმარისი უნდა ყოფილიყო დასავლეთის აუთსაიდერის - "საკრამენტოს" დასამარცხებლად. თამაშის დასრულებამდე 8 წუთითა და 51 წამით ადრე "ფინიქსი" 102:93-ს იგებდა და ვალდებული იყო მატჩი ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა, მაგრამ "კინგზს" ამასთან დაკავშირებით სხვა გეგმები ჰქონდა.

ჯეისონ ტომპსონმა საშუალო მანძილიდან ჩააგდო, **ტაირიკ ევანსმა** ერთ შეტევაში სამი ქულა აიღო, **ომრი კასპიმ აარონ ბრუქსს** მოჰპარა ბურთი და ჩატენვით დაასრულა იერიში, მანვე სამი შედეგიანი პასი დაურიგა პარტნიორებს და მალე ტაბლოზე "საკრამენტოს" ორქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა. ბოლო ორი წუთი ნერვების თამაში გახდა. ამას უფრო იოლად მასპინძლები გაუმკლავდნენ და მათ ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგეს.

კლივლენდი-მაიამი 102:90

24:24, 29:18, 22:28, 27:20

კ: ჰიქსონი (21+12 მოხსნა), პარკერი (20+7 მოხსნა), ჰოლინზი (13+3 დაფარება), სემენსი (11+6 მოხსნა+6 პასი), დევისი (13+7 პასი).

მ: ჯეიმსი (27+10 მოხსნა+12 პასი), უეიდი (24+6 პასი+3 ჩაჭრა), ბიბი (23), ბოში (10).

ნიუ ჯერსი-ჰიუსტონი 87:112

21:34, 22:27, 20:22, 24:29

ნ-ჯ: ლოპესი (22+7 მოხსნა+3 დაფარება), ფარმარი (12+7 პასი), ვუიაჩიჩი (11), ჰემფრიზი (6+13 მოხსნა), უზო (10).

ჰ: მარტინი (20), ლოური (16+7 მოხსნა+10 პასი), პატერსონი (13+8 მოხსნა), დრაგიჩი (13), ჰილი (11+8 მოხსნა), ბადინგერი (10), ჰეიესი (8+14 მოხსნა).

ოკლაჰომა-გ. სტეიტი 115:114 (ო)

25:29, 33:21, 20:27, 28:29, 9:8

ო: დურანტი (39+6 მოხსნა+5 პასი), იბაკა (19+8 მოხსნა+3 დაფარება), უესტბრუკი (15+8 მოხსნა+9 პასი), ჰარდენი (14+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

გ-ს: კარი (35+6 მოხსნა+5 პასი), ლი (24+15 მოხსნა), ელისი (20+11 პასი+3 ჩაჭრა), უდო (12+6 მოხსნა), უილიამსი (10), რაიტი (7+10 მოხსნა).

საკრამენტო-ფინიქსი 116:113

30:34, 29:27, 26:32, 31:20

ს: ტორნტონი (24+11 მოხსნა), უდრიხი (19+5 პასი), გრინი (18), კაზინსი (17+7 მოხსნა+8 პასი), ტომპსონი (14+10 მოხსნა), ევანსი (11+10 მოხსნა+8 პასი).

ფ: ფრაი (21+9 მოხსნა), დადლი (21+5 მოხსნა+5 ჩაჭრა), გორტატი (17+11 მოხსნა), ჰილი (15), ნეში (13+14 პასი), ჩილდრესი (10).

ევროლიგა. 1/4 ფინალი. IV მატჩები

ჩემპიონი უფსკრულის პირას

ევროლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე გუნდებმა მესამე მატჩებში გაარკვიეს ურთიერთობა. ოთხივე სერიაში ანგარიში 1:1 იყო და მორიგი შეხვედრების შემდეგ სამმა გუნდმა „ოთხთა ფინალში" გასვლის კარგი შანსი მიიღო - „მონტეპასკი", „მაკაბი" და „პანათინაიკოსი" შემდეგ მატჩებსაც შინ ჩაატარებენ და გამარჯვების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გაღწევენ.

მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი 81:72

21:14, 18:23, 21:13, 21:22

მ: იარიჩი (24), ლავრინოვიჩი (15+7 მოხსნა), კაუკენასი (15), მოსი (11).

ო: ნესტეროვიჩი (16), სპანულისი (15+4 პასი), გორდონი (9+3 ჩაჭრა), პაპალუკასი (8+6 პასი).

სერია: 2-1

პირველ მატჩში 48 ქულით წაგების შემდეგ „მონტეპასკიმ" უკვე მეორე შეხვედრა მოუგო ბერძნულ გრანდს. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მატჩის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტი იყო პირველი ტაიმის ბოლო წამზე „იტალიელი" **კაუკენასის** მიერ ჩაგდებული ორქულიანი. „მონტეპასკი" ორი ქულით გავიდა წინ და როგორც შემდეგ გაირკვა, ამ სროლამ ფსიქოლოგიურად გატეხა „ოლიმპიაკოსი". სტუმრებმა მესამე მეოთხედში ვერაფერი დაუპირისპირეს მეტოქეს. **მარკო იარიჩმა** 10 წუთში ცხრა ქულა მოიპოვა, მისმა გუნდმა ეს მონაკვეთი 21:13 მოიგო და უპირატესობა მატჩის ბოლომდე აღარ გაუშვია ხელიდან.

მარკო იარიჩმა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ევროლიგაზე შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა. 2002 წელს მან 30 ქულა ჩაუგდო „ლონდონ თაუერზს", ამჯერად კი 24 ქულა მიითვალა და ამ დღის პირველი MVP გახდა.

„ოლიმპიაკოსის" მარცხის მიზეზი გახდა 20 შეცდომა (აქედან 11 **პაპალუკასსა** და **სპანულისზე** მოდის), გარდა ამისა, ბერძნებმა ზედიზედ მეორე მატჩში ძალიან ცუდად ისროლეს სამქულიანები - 18-დან 4 შორეული ტყორცნა გამოიყენეს. თუ ასე გააგრძელეს, „ოთხთა ფინალის" მიღმა დარჩებიან.

მაკაბი-ჯ. ლაბორალი 81:60

24:23, 17:7, 28:15, 12:15

მ: პარგო (23), ბლიუ (16), შორცანიდისი (9+8 მოხსნა+5 პასი).

ჯ-ლ: ტელეტოვიჩი (14), ბარაცი (11), ლოგანი (10), უერტასი (9+6 მოხსნა+5 პასი).

სერია: 2-1

ამ მატჩში ყველაფერი პრაქტიკულად მეორე მეოთხედში გადაწყდა. **ჯერემი პარგო** ორი ზუსტი სამქულიანით თავის გუნდს 10:0 გაქცევაში დაეხმარა. „მაკაბის" ერთქულიანი უპირატესობა 11-მდე გაიზარდა და ესპანელი სტუმრები მეტოქეს ვეღარ დაეწივნენ.

„კახა ლაბორალმა" 22 სამქულიანიდან ხუთი გამოიყენა და მეტოქეზე შვიდით მეტი შეცდომა დაუშვა. „მაკაბის" კი თამაშიდან ტყორცნების გამოყენების 52 პროცენტი ჰქონდა და შესაბამისად, მატჩის საბოლოო შედეგი გასაკვირი არ უნდა იყოს.

იარიჩისგან განსხვავებით, ევროლიგაზე შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა პარგომ - მის ანგარიშზე 23 ქულა მოდის.

„მაკაბიმ" ბოლომდე ვერ გაიხარა ამ მოგებით. მოხსნებში გუნდის საუკეთესო სპეციალისტი **დორონ პერკინსი** მეორე მეოთხედში დაშავდა და ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ მას მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტა დაუდგინეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელისთვის ეს სეზონი დასრულებულია.

ვალენსია-რეალი 66:75

19:17, 15:14, 17:17, 15:27

ვ: სავანოვიჩი (21+5 მოხსნა), მარტინესი (11), კუკი (10+8 პასი).

რ: ფიშერი (19+8 მოხსნა), ტომიჩი (15), ტაკერი (13), პრიჯიონი (8+4 პასი).

სერია: 1-2

მეორე მეოთხედში „ვალენსიამ" **სავანოვიჩისა** და **დე კოლოს** მონდომებით 11:2 გაქცევა მოახერხა და 30:19 დაწინაურდა. მაგრამ მასპინძლებმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს - დიდი შესვენებისთვის ამ ჰანდიკაპისგან მხოლოდ სამი ქულა დარჩა, მესამე 10-წუთეულში კი „ვალენსიამ" მართალია რვაქულიანი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ შეხვედრის წარმატებით დასამთავრებლად ძალა აღარ ეყო.

მესამე მეოთხედის ბოლოსა და მეოთხის დასაწყისში „სამეფო კლუბმა" 13 უპასუხო ქულა დააგროვა და რვაქულიანი ჩამორჩენა ხუთქულიან უპირატესობად აქცია. თანაც ათამაშდა **დ'ორ ფიშერი**, რომელმაც ბოლო 10 წუთში 13 ქულა დააგროვა. ფიშერი იარიჩთან ერთად ტურის MVP გახდა. „რეალმა" მეოთხე მეოთხედში 12-დან 10 ორქულიანი ჩააგდო და ბოლო 10 წუთი 27:15 მოიგო.

პანათინაიკოსი-ბარსელონა 76:74

16:13, 17:16, 22:20, 21:25

პ: დიამანტიდისი (18+7 პასი), ნიკოლასი (13), ბატისტი (12+6 მოხსნა), ფოცისი (10+6 მოხსნა).

ბ: რუბიო (16+3 ჩაჭრა), ლაკოვიჩი (13), ანდერსონი (12), მორისი (10).

სერია: 2-1

მეოთხედფინალური ეტაპის ცენტრალურ წყვილში კრიტიკული მომენტი დაუდგა მოქმედ ჩემპიონ „ბარსელონას". კიდევ ერთი მარცხი და კატალონიელები გამოეთიშებიან ევროლიგას.

სერიის მესამე მატჩი თანაბარი აღმოჩნდა და მხოლოდ მესამე მეოთხედის ბოლოსკენ შეძლო „პაომ" შვიდი ქულით წინ გასვლა - **ბატისტის** ჩატენვისა და **სატოს** სამქულიანის შემდეგ. მაგრამ მეოთხე მეოთხედის სტარტზე **ტერენს მორისმა** ორჯერ ჩააგდო სამქულიანი, ერთხელ ეს **რუბიომ** გააკეთა, **ინგლსმა** კი წინ გაიყვანა „ბარსა" - 63:61.

და სწორედ ამ დროს უკეთ წარმოაჩინეს თავი მასპინძლებმა. განსაკუთრებით კარგი იყო **დიამანტიდისი,** ვინც ბოლო ხუთ წუთში 10 ქულა მოიპოვა. კატალონიელებმა ორჯერ მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. სირენამდე ოთხი წამით ადრე იმავე დიამანტიდისმა ორი საჯარიმო გამოიყენა. „პანათინაიკოსმა" სამ ქულამდე გაზარდა ანგარიში და იქვე ტაქტიკური ჯარიმა აიღო **ლაკოვიჩზე** - მას სამქულიანის სროლის საშუალება არ მისცა. სლოვენიელმა ერთი საჯარიმო ჩააგდო, მეორე სპეციალურად ააცილა, მაგრამ მოხსნა **ბატისტმა** მოიგო...

მატჩის შემდეგ „პანათინაიკოსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჟელკო ობრადოვიჩმა** განაცხადა, რომ თავის შეგირდებს **ნავაროს** აქტიური მეურვეობა დაავალა. შედეგად, „ბარსელონას" ერთ-ერთმა ლიდერმა სეზონში მეორედ ვერ შეძლო ვერც ერთი სამქულიანის ჩაგდება და მხოლოდ ცხრა ქულით დაეხმარა თავის გუნდს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

მარკო იარიჩი

NBA. პლეი ოფის კალენდარი

1 აპრილი
ინდიანა-მილუოკი
ორლანდო-შარლოტი
ფილადელფია-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-კლივლენდი
დეტროიტი-ჩიკაგო
ატლანტა-ბოსტონი
ნიუ ორლეანი-მემფისი
მინესოტა-მაიამი
ჰიუსტონი-სან ანტონიო
ფინიქსი-კლიპერსი
პორტლენდი-ოკლაჰომა
საკრამენტო-დენვერი
იუტა-ლეიკერსი

2 აპრილი
ჩიკაგო-ტორონტო
მემფისი-მინესოტა
მილუოკი-ფილადელფია
გ. სტეიტი-დალასი
კლიპერსი-ოკლაჰომა

3 აპრილი
სან ანტონიო-ფინიქსი
ლეიკერსი-დენვერი
ბოსტონი-დეტროიტი
ნიუ ჯერსი-მაიამი
ნიუ იორკი-კლივლენდი
საკრამენტო-იუტა
ტორონტო-ორლანდო
შარლოტი-ვაშინგტონი
ნიუ ორლეანი-ინდიანა
ჰიუსტონი-ატლანტა
პორტლენდი-დეტროიტი

5 აპრილი
ატლანტა-სან ანტონიო
კლივლენდი-შარლოტი
ნიუ ჯერსი-მინესოტა
ორლანდო-მილუოკი
ვაშინგტონი-დეტროიტი
ბოსტონი-ფილადელფია
ნიუ იორკი-ტორონტო
ჩიკაგო-ფინიქსი
მემფისი-კლიპერსი
ჰიუსტონი-საკრამენტო
დენვერი-ოკლაჰომა
პორტლენდი-გ. სტეიტი
ლეიკერსი-იუტა

6 აპრილი
ინდიანა-ვაშინგტონი
მაიამი-მილუოკი
ფილადელფია-ნიუ იორკი
ტორონტო-კლივლენდი
შარლოტი-ორლანდო
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
მინესოტა-ფინიქსი
ოკლაჰომა-კლიპერსი
სან ანტონიო-საკრამენტო
დალასი-დენვერი
გ. სტეიტი-ლეიკერსი

7 აპრილი
ჩიკაგო-ბოსტონი
იუტა-პორტლენდი

8 აპრილი
ინდიანა-ატლანტა
ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი
ფილადელფია-ტორონტო
ბოსტონი-ვაშინგტონი
კლიპერსი-ჩიკაგო
დეტროიტი-მილუოკი
მაიამი-შარლოტი
ნიუ ორლეანი-ფინიქსი
ოკლაჰომა-დენვერი
მემფისი-საკრამენტო
დალასი-კლიპერსი
პორტლენდი-ლეიკერსი

9 აპრილი
ვაშინგტონი-ატლანტა
ჰიუსტონი-კლიპერსი
მილუოკი-კლივლენდი
სან ანტონიო-იუტა
დენვერი-მინესოტა

10 აპრილი
ორლანდო-ჩიკაგო
მაიამი-ბოსტონი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
მემფისი-ნიუ ორლეანი
შარლოტი-დეტროიტი
ინდიანა-ნიუ იორკი
დალასი-ფინიქსი
გ. სტეიტი-საკრამენტო
ლეიკერსი-ოკლაჰომა

11 აპრილი
ატლანტა-მაიამი
ნიუ ჯერსი-შარლოტი
ფილადელფია-ორლანდო
ვაშინგტონი-ბოსტონი
დეტროიტი-კლივლენდი
ნიუ ორლეანი-იუტა
მილუოკი-ტორონტო
ჰიუსტონი-დალასი
დენვერი-გ. სტეიტი
ფინიქსი-მინესოტა
საკრამენტო-ოკლაჰომა

12 აპრილი
ნიუ იორკი-ჩიკაგო
პორტლენდი-მემფისი
ლეიკერსი-სან ანტონიო

13 აპრილი
ბოსტონი-ნიუ იორკი
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
კლივლენდი-ვაშინგტონი
დალასი-ნიუ ორლეანი
მინესოტა-ჰიუსტონი
ორლანდო-ინდიანა
ფილადელფია-დეტროიტი
ოკლაჰომა-მილუოკი
იუტა-დენვერი
ტორონტო-მაიამი
შარლოტი-ატლანტა
გ. სტეიტი-პორტლენდი
კლიპერსი-მემფისი
ფინიქსი-სან ანტონიო
საკრამენტო-ლეიკერსი

ამბები

ფორმულა 1

ზაუბერი არ იჩივლებს

შვეიცარიული საჯინიბოს "ზაუბერის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა არ გააპროტესტოს ავსტრალიის გრანპრიზე მიღებული დისკვალიფიკაცია. შეგახსენებთ, რომ მელბურნის რბოლის სტიუარდებმა გააუქმეს **სერხიო პერესისა** და **კამუი კობაიაშის** შედეგები, რომლებიც წემპიონატის პირველ ეტაპზე შესაბამისად მეშვიდე და მერვე ადგილზე გავიდნენ.

დისკვალიფიკაციის მიზეზი გახდა "ზაუბერის" ბოლიდის უკანა ფრთაზე დამონტაჟებული ერთ-ერთი დეტალი, რომელიც არ შეესაბამებოდა ფორმულა 1-ის ტექნიკურ რეგლამენტს.

გუნდმა შეამოწმა დეტალი და აღმოჩნდა, რომ ცდომილება მართლაც რამდენიმე მილიმეტრს შეადგენდა, რის გამოც შვეიცარიელებმა უარი თქვეს პროტესტის გამოცხადებაზე. მათ უკვე მიიღეს შესაბამისი ზომები მომავალ ეტაპებზე მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად.

კრივი

რუმინეთი ორი წლით დაისაჯა

საერთაშორისო ფედერაციამ ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა რუმინეთის კრივის ფედერაცია. ამ ორგანიზაციის მუშაობაში სადისციპლინო სახის დარღვევები აღმოჩნეს. კერძოდ, რუმინეთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიდან განთავისუფლებული **რუდელ ობრეჰა** მაინც აგრძელებდა მუშაობას ხელმძღვანელის პოსტზე.

დისკვალიფიკაციის მიუხედავად, საერთაშორისო ფედერაციამ რუმინელ სპორტსმენებს მიმდინარე ტურნირების დასრულების უფლება მისცა.

ჰოკეი

იაპონიამ ჰოკეიზე უარი თქვა

იაპონიის ჰოკეის ფედერაციამ ცნობილი მიწისძვრის გამო გადაწყვიტა თავი შეიკავოს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლისგან. პირველობა 17-23 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართება. ამის შესახებ იაპონურმა მხარემ საერთაშორისო ფედერაციას წერილობით აცნობა. ამჟამად იაპონიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დივიზიონში გამოდის.

*"იაპონიაში კატაბრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი კატასტროფა მოხდა, - ამბობს ფედერაციის პრეზიდენტი **რენე ფაზელი**. - გული გვწყდება იმის გამო, რომ იაპონელ ჰოკეისტებს ვერ ვიხილავთ მსოფლიოს ჩემპიონატზე, თუმცა მათთვის ყველა სპორტული ღონისძიება მეორე პლანზე გადავიდა. ამიტომაც გვესმის მათი და შევუნარჩუნებთ ადგილს პირველ დივიზიონში".*

კალათბურთი

რიკი რუბიო NBA-ში მიდის

რიკი რუბიო

ესპანური კალათბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავმა **რიკი რუბიომ**, როგორც იქნა, გადაწყვიტა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლა. თუ ამ ზაფხულს NBA-ის ხელმძღვანელობა თავიდან აიცილებს ლოკაუტს, ესპანელი "მინესოტა ტიმბერვულვზში" გააგრძელებს კარიერას. სწორედ ამ კლუბმა აირჩია შარშანწინდელ დრაფტში რუბიო მეხუთე ნომრად.

იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციაში 2011-12 წლების სეზონი ჩაიშალა, ნიჭიერი კალათბურთელი "ბარსელონაში" დარჩება. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში რუბიო საშუალოდ მატჩში 5.5 ქულასა და 4.0 შედეგიან პასს აგროვებს.

ჯიმი და მანუ ბრუნდებიან

სან ანტონიო და ლეიკერსი მექსიკელზე ნადირობენ

...

ესპანური "ფუენლაბრადას" მექსიკელ ლეგიონერზე **გუსტავო აიონზე** ნადირობა გამოაცხადეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის გუნდებმა. კერძოდ, ამ ფორვარდის ხელში ჩაგდება სურთ "სან ანტონიო სპურსსა" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსს".

როგორც ამერიკული პრესა წერს, "ლეიკერსის" გენერალური მენეჯერი **მიტჩ კუპჩაკი** აიონის პიროვნებით "ბარსელონასა" და "ფუენლაბრადას" მატჩის შემდეგ დაინტერესდა, რომელშიც მექსიკელმა 24 ქულა და 8 მოხსნა დააგროვა.

თუმცა ძნელი სათქმელია როგორ აეწყობა გუსტავოს მომავალი კარიერა, რადგან მას კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს "ფუენლაბრადასთან". ამ სეზონში ფორვარდის მონაგარი 10.3 ქულას, 6.0 მოხსნასა და 1.5 დაფარებას უდრის.

დანკანი ჯერ უსაქმოდაა

რეგულარული ჩემპიონატის ლიდერ "სან ანტონიო სპურსს" კიდევ შვიდი დღე მოუწევს თავისი ლიდერების - **ტიმ დანკანისა** და **მანუ ჯინობილის** გარეშე თამაში. კლუბის წარმომადგენელთა თქმით, ეს წყვილი გუნდს დაახლოებით ერთ კვირაში დაუბრუნდება.

ეს ძალიან აქტუალური საკითხია "სპურსისთვის", რადგან დანკანის ტრავმიდან მოყოლებული, **გრეგ პოპოვიჩის** გუნდმა ზედიზედ ოთხი მატჩი წააგო და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა რეგულარული ჩემპიონატის ტიტული.

შეგახსენებთ, რომ დანკანი ფეხის ტრავმას მკურნალობს, ჯინობილი - მუხლის დაზიანებას. აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ტექსასელები კიდევ ორი კალათბურთელის გარეშე არიან დარჩენილები. ასევე მუხლი აწუხებს **ტონი პარკერს** და ზურგთან დაკავშირებულ პრობლემები აქვს **ანტონიო მაკდაესს**.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 17

საფრანგეთი-ბელარუსი	9:0

ამხანაგური მაჯრი

მაროკო-ბოტსვანა	1:1

ინგლისი

II ლიგა

ბარტონი-მაკლსფილდი	4:0
აპრინგტონი-ჰერეფორდი	3:2

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

მოისელვიტცი-ჰერტა A	0:1

შოგლანლიგის თასი

მოზერველი-დანდი იუნ	3:0

ფინეთის თასი

ვიიკინგიტი-მარიეჰამნი	0:1

ჰოკეი

კელ

მეტალურგი (მ)-ს. იულიაევი	2:4



იუნოსტი-ვმანი	3:4

სლოვაკეთი

კოშიცე-პოპრადი	3:1

ფინეთი

ჰიფკ-ლუკო	2:3 (ო)

ჩეხეთი

სლავია-ტრშინეცი	3:5

კალათბურთი

ევროლიგა

1/4 ფინალი. II მატჩები

გუდიელნიკი-სევილია	80:77
უნიქსი-კაზერტა	79:77
ბენეტონი-ბოტინგენი	84:62
ესტუდიანტესი-ცედევიტა	72:81

ჩოგბურთი

ATP. მაიამი

ფერერი-ფიში	5:7, 2:6

WTA. მაიამი

ზვონარევა-ა. რადვანსკა	7:5, 6:3

TV პროგრამა

31 მარტი. ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ველესი.
12:00 ევრო 2012. შესარჩევი მატჩი. გერმანია-ყაზახეთი.
14:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ოსერი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ნაპოლი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი.
22:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-პსჟ.
12:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ორლანდო.
13:45 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
15:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. რასინგი-ტულუზა.
17:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მონპელიე-სტად ფრანსე.
18:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. მიმოხილვა.
19:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-ნიუ ორლეანი.
21:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-ორლანდო.
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მესამე მატჩების მიმოხილვა.
22:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მეოთხე მატჩი (LIVE).
00:30 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მეოთხე მატჩი.

HTB-პლუსი (სპორტი)

22:40 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პანათინაიკოსი-ბარსელონა. მეოთხე მატჩი (LIVE).
03:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-კოლამბუსი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

22:40 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი. მეოთხე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
03:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
05:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

22:40 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. მაკაბი-კახა ლაბორალი. მეოთხე მატჩი (LIVE).
06:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ფინიქსი-ოკლაჰომა (LIVE).

SPORT+

18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/8 ფინალი. ჩეხოვსკიე მედვედი-ბოსნა (LIVE).
20:55 თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 48, 51, 55 კგ. გერმანია (LIVE).

EUROSPORT

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. IV დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
15:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. IV დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).

EUROSPORT-2

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. IV დღე. პეკინი. ჩინეთი (LIVE).
16:15 ამერიკული პული. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ბრანდებურგი. გერმანია (LIVE).
19:00 ამერიკული პული. ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. ბრანდებურგი. გერმანია (LIVE).
22:00 ამერიკული პული. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. ბრანდებურგი. გერმანია (LIVE).
00:45 ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). ეკვადორი (LIVE).

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

რეკი მე-12 ბომბარდირია

გუშინდელი დღე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა "ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდ **მარკ რეკისთვის**. თავდამსხმელმა "ჩიკაგოსთან" მატჩში ერთი შედეგიანი პასი მიითვალა და ამის წყალობით NHL-ის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა სიაში მე-12 ადგილზე გადაინაცვლა.

ახლა რეკის ანგარიშზე 1532 ქულაა, რაც ერთით მეტია NHL-ის ლეგენდარული მცველის **პოლ კოფის** მონაგარზე. რეკის შემდეგი სამიზნეა **რეი ბურკი**, რომელსაც 1578 ქულა აქვს და მე-11 ადგილზე იმყოფება, თუმცა ამ სეზონში ბოსტონელი ვერ შეძლებს რეკის გასწრებას. შესაძლოა, ეს არც მომდევნო წელს მოხდეს, რადგან ცნობილი არ არის გააგრძელებს თუ არა კარიერას 34 წლის რეკი, რომლის ანგარიშზე 576 შაიბა და 956 შედეგიანი პასი მოდის.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ვაშინგტონი-კაროლინა 2:3 (ბ)

0:0, 2:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ი. იოკინენი-17 (კორვო-26, ტ. რუუტუ-33), 1:1 სიომინი-27 (ლეიჩი-26), 2:1 მ. იოჰანსონი-13 (სიომინი-25, ჯ. კარლსონი-27), 2:2 სკინერი-27 (ბ. ალენი-12).
ბულიტები გაიტანეს: სკინერი (კაროლინა), ტ. რუუტუ (კაროლინა).

ედმონტონი-ლოს ანჯელესი 0:2

0:0, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 დ. ბრაუნი-26 (ლუისი-8, რ. სმიტი-24), 0:2 დ. ბრაუნი-27 (ლუისი-9).

კოლამბუსი-ფლორიდა 3:2 (ბ)

1:0, 1:1, 0:1, 0:0

გოლები: 1:0 აშოლი-21 (დორსეტი-13, პაულსონი-12), 1:1 ბუტი-22 (სამსონოვი-24, სანტორელი-20), 2:1 ვერმეტი-18 (უმბერგერი-31, კალსერტი-6), 2:2 დადონოვი-8 (გარისონი-13, ბერნიე-10).
ბულიტები გაიტანეს: მაიოროვი (კოლამბუსი).

ტორონტო-ბაფალო 4:3

2:1, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 ფანოფი-8 (მაკარტური-37, კულემინი-27), 2:0 ბოისი-5 (კადრი-8, კრები-12), 2:1 ვანეკი-27 (ჰეხტი-17, სტეფორდი-18), 3:1 მაკარტური-21 (კადრი-8, გუნარსონი-13), 3:2 პომინვილი-20 (ტომ კონოლი-25, სეკერა-26), 3:3 რ. ნიდერმაიერი-5 (მონტადორი-18, მაკორმიკი-12), 4:3 გრაბოვსკი-29 (კესელი-29, მაკარტური-38).

ბოსტონი-ჩიკაგო 3:0

0:0, 2:0, 1:0

გოლები: 1:0 ხარა-14 (პ. ბერჟერონი-33, მარჩანდი-18), 2:0 ბოიუკი-3 (რეკი-34, ლუჩიჩი-29), 3:0 ჰორტონი-24 (პეი-6, გ. კემპბელი-14).

ტამპა ბეი-ოტავა 5:2

0:0, 2:0, 3:2

გოლები: 1:0 სენტ ლუისი-28 (ლეკავალიე-27, საიმონ განიე-17), 2:0 მური-16 (მ-ა. ბერჟერონი-5, ტირელი-8), 3:0 სენტ ლუისი-29 (საიმონ განიე-18, სტემკოსი-44), 3:1 სპეცა-17 (გრინინგი-6, ჰეილი-3), 4:1 მური-17 (ტირელი-9, ბ. კლარკი-22), 4:2 მ. მიხალეკი-17 (კუბა-12, სპეცა-31), 5:2 სტემკოსი-44 (ჰოლი-10, მური-13).

პიტსბურგი-ფილადელფია 2:5

1:1, 1:2, 0:2

გოლები: 1:0 კოვალიოვი-16 (ლეტანგი-41, ლეტესტუ-13), 1:1 ჯ. კარტერი-35 (ქობურნი-14, მ. კარლი-36), 2:1 ტაილერ კენედი-19 (ორპიკი-12, კუნიტცი-24), 2:2 ჰარტნელი-21 (ლეინო-33, ტიმონენი-29), 2:3 კ. ფირუ-25 (ო'დონელი-14, მეზაროში-21), 2:4 ლეინო-18 (პარტნელი-24, ბრიერი-30), 2:5 ლეინო-19 (ბრიერი-31, ო'დონელი-15).

ნეშვილი-ვანკუვერი 1:3

0:0, 1:0, 0:3

გოლები: 1:0 ფიშერი-18 (ბლუმი-4, ს. კოსტიცინი-25), 1:1 ბაროუზი-23 (ვ. სედინი-71, დ. სედინი-57), 1:2 ბაროუზი-24 (დ. სედინი-58, ჰ. სედინი-72), 1:3 რომი-1 (ჰანსენი-17).

მონრეალი-ატლანტა 3:1

2:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 ჰამრლიკი-5 (ჰალპერნი-15, კამალერი-26), 2:0 დერჩი-10 (გომესი-29), 2:1 ანტროპოვი-14 (ბულტონი-4), 3:1 ა. კოსტიცინი-20 (მარა-4).

ფინიქსი-დალასი 2:1 (ბ)

0:0, 1:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 შლემკო-4 (როჭსივალი-15, ბელანგე-24), 1:1 ბენი-22 (რობიდასი-25, ლანგენბრუნერი-22).
ბულიტები გაიტანეს: ბენი (დალასი), ვრბატა (ფინიქსი), რეი უოტნი (ფინიქსი).

სტ. ლუისი-მინესოტა 2:3 (ბ)

1:1, 0:0, 1:1, 0:0

გოლები: 0:1 ნისტრიომი-4 (ჰავლატი-40, სტოუნერი-6), 1:1 კ. სტიუარტი-25 (ბერგლუნდი-28, ენდი მაკდონალდი-26), 2:1 კ. სტიუარტი-26 (შატენკირკი-28, კოლაიაკოვო-19), 2:2 ბუშარი-10 (სტოუნერი-7).
ბულიტები გაიტანეს: ბუშარი (მინესოტა), მ. კოივუ (მინესოტა), ენდი მაკდონალდი (სტ. ლუისი).

NHL აპრილის კალენდარი

1 აპრილი
კოლამბუსი-ჩიკაგო
ნ. ჯერსი-ფილადელფია
სტ. ლუისი-კალგარი
ფინიქსი-კოლორადო

2 აპრილი
ბოსტონი-ატლანტა
მინესოტა-ტამპა ბეი
ნეშვილი-დეტროიტი
ლოს ანჯელესი-დალასი
ფლორიდა-პიტსბურგი
ნიუ ჯერსი-მონრეალი
აილენდერსი-კაროლინა
ოტავა-ტორონტო
ვაშინგტონი-ბაფალო
ვანკუვერი-ედმონტონი
სან ხოსე-ანაჰაიმი

3 აპრილი
ფილადელფია-რეინჯერსი
კაროლინა-ბაფალო
კოლამბუსი-სტ. ლუისი
დეტროიტი-მინესოტა
ჩიკაგო-ტამპა ბეი
ანაჰაიმი-დალასი
კოლორადო-კალგარი

4 აპრილი
რეინჯერსი-ბოსტონი
სან ხოსე-ლოს ანჯელესი

5 აპრილი
ბაფალო-ტამპა ბეი
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი
ტორონტო-ვაშინგტონი
მონრეალი-ჩიკაგო
ოტავა-ფილადელფია
ნეშვილი-ატლანტა
სტ. ლუისი-კოლორადო
დალასი-კოლამბუსი
ედმონტონი-ვანკუვერი

6 აპრილი
ბოსტონი-აილენდერსი
კაროლინა-დეტროიტი
ნიუ ჯერსი-ტორონტო
ვაშინგტონი-ფლორიდა
ჩიკაგო-სტ. ლუისი
კალგარი-ედმონტონი
ანაჰაიმი-სან ხოსე
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

7 აპრილი
რეინჯერსი-ატლანტა
ოტავა-მონრეალი
დალასი-კოლორადო
ვანკუვერი-მინესოტა

8 აპრილი
დეტროიტი-ჩიკაგო
აილენდერსი-პიტსბურგი
ატლანტა-კაროლინა
ბაფალო-ფილადელფია
ტამპა ბეი-ფლორიდა
ნეშვილი-კოლამბუსი
კოლორადო-დალასი
ედმონტონი-მინესოტა
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
ფინიქსი-სან ხოსე

9 აპრილი
რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
ბოსტონი-ოტავა
კაროლინა-ტამპა ბეი
კოლამბუსი-ბაფალო
ფლორიდა-ვაშინგტონი
ფილადელფია-აილენდერსი
ტორონტო-მონრეალი
სტ. ლუისი-ნეშვილი
კალგარი-ვანკუვერი
ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
სან ხოსე-ფინიქსი

10 აპრილი
ატლანტა-პიტსბურგი
კოლორადო-ედმონტონი
ნიუ ჯერსი-ბოსტონი
ჩიკაგო-დეტროიტი
მინესოტა-დალასი

● ჩოგბურთი. მიმოხილვა

ქალური თრილერები

ანა ივანოვიჩი

ქალთა ტურნირზე ჯერ კიდევ გასამართია ნახევარფინალები და ფინალი, მაგრამ უკვე თამამად შეიძლება მაიამის ერთ-ერთ გმირად გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩის** გამოცხადება. მერვედფინალში მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკის** დამარცხების შემდეგ ანდრეამ მეექვსე ნომერი **ელენა იანკოვიჩიც** ჩამოაშორა ბრძოლას.

ჩოგბურთელებმა პირველი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:2 მოიგეს. პირველი პარტიის წაგების შემდეგ პეტკოვიჩს მეორე სეტში ჰქონდა კრიტიკული მომენტი, როცა 2:2-ზე ოთხი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია, მაგრამ გერმანელმა გადაარჩინა საკუთარი გეიმი და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.

მაგრამ პეტკოვიჩის პრობლემები ამით არ დასრულებულა. იანკოვიჩმა მესამე პარტიაში თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, როცა 4:2 დაწინაურდა, მაგრამ ანდრეამ კიდევ ერთი გარღვევა შეძლო. განსაკუთრებით საინტერესო იყო 5:4-ზე მეათე გეიმი, რომელშიც შვიდჯერ დაფიქსირდა „თანაბარი" და ნერვების თამაშში ბოლო სიტყვა გერმანელმა თქვა - 6:4.

გუშინდელი სათამაშო დღის ნამდვილი მშვენება გახდა სამსეტიანი მარათონი მსოფლიოს მეორე ჩოგან **კიმ კლაისტერსსა** და სერბ **ანა ივანოვიჩს** შორის. ეს გახლდათ მერვედფინალიდან გადმოტანილი შეხვედრა, რომელიც წვიმის გამო იყო გადადებული. მატჩის შემდეგ ივანოვიჩმა ჩოგანი დაამსხვრია და ამის მიზეზი მართლაც ჰქონდა. გადამწყვეტ სეტში სერბი 5:1-ს იგებდა და მეტოქის მოწოდებაზე 40:0 იყო დაწინაურებული. ანამ სამივე მატჩბოლი გაფლანგა, შემდეგ კიდევ ორჯერ მიეცა სეტის ერთი დარტყმით მოგების შანსი და ისევ ვერ იხეირა. სწორედ ამას მოჰყვა უკვე ნახსენები ნერვული შეტევა. მოგვიანებით ივანოვიჩი დამშვიდდა, მაგრამ ფსიქოლოგიური უპირატესობა უკვე კლაისტერსის მხარეს იყო, რომელმაც ტაი-ბრეიკზე მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური. როგორც ჩანს, ბელგიელს ისევ აწუხებდა მხარი - სხვანაირად ახსნა არ აქვს მის 11 ორმაგ შეცდომას.

„დიახ, დღეს ძალიან რთული დღე მქონდა. ხომ ნახეთ, რა დაემართა ჩემს ჩოგანს. და მაინც, ვგრძნობ, რომ ყველაფერს აბსოლუტურად სწორად ვაკეთებდი. თამაშის ჩემს სასარგებლოდ დასრულების ბევრი შანსი მქონდა, მაგრამ მეტოქემ ბრნყინვალე ჩოგბურთი აჩვენა. მატჩის შემდეგ ცოტა ვიტირე, ჩოგანი გავტეხე... და გულზე მომეშვა. რეიტინგს ყურადღებას ნუ მიაქცევთ: კიმი დღეისთვის მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელია", - განაცხადა მატჩის შემდეგ ივანოვიჩმა.

ასევე ორი ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო **მარია შარაპოვასა** და **ალექსანდრა დულგერუს** მატჩში. რუმინელმა სწრაფად აუღო ალღო რუსის აგრესიულ სტილს და ინიციატივა მოიპოვა, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შარაპოვა ტრადიციულად ძალიან ბევრს ცდებოდა - ამაზე ერთი სტატისტიკური მონაცემი მეტყველებს: დულგერუმ ისე მოიგო სეტი, რომ მხოლოდ ერთი „ვინერსი" გააკეთა!

მეორე სეტში თითქმის სულ წინ შარაპოვა იყო, მაგრამ საბოლოო დარტყმის მიყენებას დიდი ხანი ვერ ახერხებდა. რუსმა ვერ ჩაანოდა სეტზე, ტაი-ბრეიკზე კი 6:1 დაწინაურდა, ხუთმაგი სეტბოლი მიიღო, მაგრამ ზედიზედ ხუთი გათამაშება წააგო და ანგარიში გაათანაბრა. მიუხედავად ამისა, მარია არ დანებდა, მეექვსე სეტბოლი მოიპოვა, რომელიც კარგი მოწოდების ხარჯზე გამოიყენა.

ჩოგბურთელები უკვე ორსაათნახევარი იყვნენ კორტზე. შარაპოვას გამუდმებული შეტევების გამო დულგერუ უკანა ხაზზე ბევრს დარბოდა და ამის გამო დაღლილი ჩანდა. რომ არა რუსის შეცდომები, რუმინელი მალე დანებდებოდა მეტოქეს, ასე კი მოგების რეალური შანსი მიიღო - მატჩზე მოსაწოდებლად გაემზადა. ალექსანდრა სწორედ ამ დროს ანერვიულდა და ვერც მეტოქის შეცდომებს ეღირსა. ანგარიში ისევ გათანაბრდა და ისევ ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო. აქ კი უფრო წარმატებული კვლავ შარაპოვა იყო. 76 უნებლიე შეცდომის (მათ შორის 17 ორმაგი) მიუხედავად, 3 საათსა და 28 წუთში ნახევარფინალის საგზური რუსმა მოიპოვა. კიდევ 11 წუთი და ეს დაპირისპირება ამ საუკუნეში WTA-ის ყველაზე ხანგრძლივი მატჩი გახდებოდა. შარაპოვა ნახევარფინალში პეტკოვიჩს შეხვდება, რომელთანაც წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე დამარცხდა.

WTA

Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 4 500 000 დოლარი

1/8 ფინალი

კიმ კლაისტერსი (ბელ, 2)-ანა ივანოვიჩი (სერ, 19) 7:6(4), 3:6, 7:6(5).

1/4 ფინალი

ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 21)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 6) 2:6, 6:2, 6:4; **მარია შარაპოვა (რუს, 13)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 26) 3:6, 7:6(6), 7:6(5).

1/2 ფინალი

პეტკოვიჩი (21)-შარაპოვა (13); ა. რადვანსკა (9)/ზვონარევა (3)-აზარენკა (8)/კლაისტერსი (2).

რადიო პალიტრა და ლუდი ჰეინეკენი
წარმოგიდგენთ
საფეხბურთო ვიქტორინას

გადაცემა „შუადღე"

გაეცით ვიქტორინის კითხვებს სწორი პასუხი
და მოიგეთ 1 შეკვრა ლუდი ჰეინეკენი
და შანსი გაემგზავრო უეფას ჩემპიონთა
ლიგის ნახევარფინალზე, ფეხბურთში.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

ყოველ შაბათს
12 სთ-დან – 16-მდე.

FM 103.9
რადიო პალიტრა

რადიო პალიტრის ეთერში

www.palitratv.ge

PALITRA TV-RADIO

ლიდერებმა გაისეირნეს

ხვალიდან ამერიკულ ჩოგბურთს, შესაძლოა, ახალი პირველი ნომერი ჰყავდეს. თუ **მარდი ფიში** მეოთხედფინალში შეძლებს ესპანელი **დავიდ ფერერის** დამარცხებას, 29 წლის ჩოგბურთელი უკან ჩამოიტოვებს **ენდი როდიკს** და ამერიკული ჩოგბურთის ახალი ლიდერი გახდება.

რა თქმა უნდა, ფიშისა და **ხუან მარტინ დელ პოტროს** მატჩში ფავორიტად არგენტინელი ჩოგბურთელი მიიჩნეოდა, რომელმაც წინა წელში მოულოდნელად იოლად მოუგო შვედ **რობინ სიოდერლინგს**. მაგრამ ამჯერად ორ სეტში დამარცხდა მასპინძელთან. თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ დელ პოტრო ამ მატჩში უშანსოდ იყო. მაგალითად, პირველ სეტში 4:4-ზე არგენტინელს ხუთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ბრეიკამდე საქმე ვერ მიიყვანა. ბოლოს კი ხუთი სეტბოლი მოიგერია, თუმცა პარტია ვერ გადაარჩინა.

ამერიკელი უფრო აქტიური იყო და ორჯერ მეტი „ვინერსიც" დაუგროვდა. ამან ფიშს დიდი უპირატესობა მაინც ვერ მოუტანა და მეორე სეტში საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ოდნავი ინიციატივა მასპინძელს ჰქონდა და შემოკლებული გეიმი მან 7:5 მოიგო.

როგორც ზემოთ გითხარით, ფიში მეოთხედფინალში დავიდ ფერერს შეხვდება. ესპანელი ბრნყინვალე ფორმაშია. მერვედფინალში მან თანამემამულე **მარსელ გრანოლერსი** გაანადგურა - 6:1, 6:2, სულ კი ბოლო სამ მატჩში მხოლოდ 12 გეიმი წააგო.

მამაკაცთა ტურის ლიდერებმა მაქსიმალურად სწრაფად მოიგეს თავიანთი მატჩები. **როჯერ ფედერერმა, რაფაელ ნადალმა** და **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ჯამში იმაზე ნაკლები დრო გაატარეს კორტზე, ვიდრე **მარია შარაპოვამ** და **ალექსანდა დულგერუმ**. შვეიცარიელი 50 წუთში გაუსწორდა ბელგიელ **ოლივიე როხუსს**. იოლი ამოცანა ჰქონდა ნადალს, რადგან მეტოქედ უკრაინელი **ალექსანდ დოლგოპოლოვი** ჰყავდა, რომელსაც იმ დღეს ორი მატჩის ჩატარებამ მოუწია. ჯერ 7:5 მოუგო **ჟოვილფრიდ ცონგას** გადამწყვეტი სეტი გადადებულ მატჩში, შემდეგ კი ნადალთან სათამაშოდ გავიდა, მაგრამ იმდენად დაღლილი ჩანდა, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანს წინააღმდეგობა საერთოდ ვერ გაუწია. რაფამ მხოლოდ სამი გეიმი დათმო და სულ ხუთი უნებლიე შეცდომა დაუშვა.

რაც შეეხება ჯოკოვიჩს, მან კარიერაში მეცხრედ დაამარცხა მეგობარი და თანამემამულე **ვიქტორ ტროიცკი** და ამ სეზონში მოგებათა სერია 23 მატჩამდე აიყვანა. ნოვაკს ბოლომდე დომინირება არ გამოუვიდა, რადგან ტროიცკიმ საპატიო შედეგს მიაღწია - ხუთი გეიმი მოიგო. სხვათა შორის, სერბს ბოლო სამ მატჩში მხოლოდ რვა გეიმი აქვს წაგებული.

ერთადერთი, ვისაც ფავორიტთა ჯგუფიდან გაუჭირდა, ჩეხი **ტომაშ ბერდიხი** იყო, ვინც ორსაათნახევარი მოანდომა გერმანელი **ფლორიან მაიერის** დამარცხებას. მატჩის ბედი გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკზე გაირკვა.

ATP

Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 645 000 დოლარი

1/16 ფინალი

ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 21)-ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 15) 6:7, 6:4, 7:5.

1/8 ფინალი

დავიდ ფერერი (ესპ, 6)-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:1, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 21) 6:1, 6:2; **მარდი ფიში (აშშ, 14)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 7:5, 7:6; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ჯონ ისნერი (აშშ, 30) 6:3, 7:6; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 2:6, 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ, 16) 6:3, 6:2; **ჟილ სიმონი (საფ, 25)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 4:6, 7:6, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:3, 6:1.

1/4 ფინალი

ნადალი (1)-ბერდიხი (7); ფედერერი (3)-სიმონი (25); ფერერი (6)-ფიში (14); ანდერსონი-ჯოკოვიჩი (2).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

მარდი ფიში